# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 9 ოქტომბერი 2002 №191 (1713) | ფასი 50 თეთრი


# ჩივაძის შეკვეთა

## თერთმეტი ეროვნული სული და ერთი განსხვავებული ანალიზი

რუსული ავიაციისთვის საქართველოს საზღვრის ჩაკეტვისა რა მოგახსენოთ, საქართველოს ნაკრებთა — საფეხბურთოსიც და სარაგბოსიც — ბაზები კი საიმედოდ ჩაიკეტა. არც ერთი სიტყვა თამაშამდეო, ბრძანა კლოდ სორელმა, ალექსანდრე ჩივაძემ კი ბოლო პრესკონფერენცია გამართა — სხვა სიტყვებით, პირველი პრესკონფერენცია შვეიცარიასთან შერცხვენის მერე.

ნაგებული თამაშების მიზეზებს გუნდშივე გავარჩევთ და გარწმუნებთ, შესაბამის დასკვნებს გამოვიტანთო, თქვა გუშინ ჩივაძემ რუსებთან შეხვედრამდე სამი დღით ადრე.

რაღაც ხომ არ გაგახსენდათ? ერთი თვის წინ, 5 სექტემბერს, შვეიცარიასთან თამაშამდე სამი დღით ადრე, ბატონმა ალექსანდრემ გერმანიაში ჩვენს კორესპონდენტს უთხრა: „თურქეთთან ნაგებულ მატჩს ღრმა ანალიზი გავუკეთეთ."

ვაი, ჩვენს გახეთქილ გულებს და წყალში გადაყრილ 20-30 ლარს, მწვრთნელი ახლაც ისეთსავე ანალიზს თუ გააკეთებს.

ჩივაძემ ისიც თქვა, სხვაგან ეგრეა და ჩვენთანაც ნაკრების წარმატების საფუძველი ეროვნული სული უნდა იყოსო. ასე რომ არის, მტკიცება არ უნდა. საკითხავი ისაა, აქამდე რატომ არ ჰქონდა ნაკრებს ეს სული. მოგეხსენებათ, ეროვნული სულისკვეთება ისეთი რამაა, ან გაქვს, ან არა და მისი ორ დღეში შეძენა ცოტა საეჭვოა.

თუმცა, ჰა, ბურთი და ჰა, მოედანი — მწვრთნელ-ფეხბურთელები მოსაგებად მაქსიმუმის გაკეთებას ერთხმად გვპირდებიან. აქამდე ეს მაქსიმუმი რაც იყო, შეხსენება საჭირო არ უნდა იყოს.

კლოდ სორელთან და მის ბორჯღალოსნებთან საუბარი კი, როგორც თავში მოგახსენეთ, არ ხერხდება. ჯანდაბას საუბარი, მთავარი ხომ მოგებაა.

## კლოდ სორელმა საქმის გაკეთებამდე სიტყვა აკრძალა






საქმეს დასჭირდა და გუშინდელმა ჭირისუფალმა გოჩა ჯამარაულმა ალექსანდრე ჩივაძეს რუსებთან თამაშზე თანხმობა მისცა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. X ჯგუფი

# საქართველო — რუსეთი

თბილისი. ლოკომოტივი. 12 ოქტომბერი. 20 საათი

*გუშინ საქართველოს ნაკრები რუსეთთან 12 ოქტომბრის შესარჩევი მატჩისთვის მზადებას შეუდგა. ეროვნული გუნდი უკვე სრული შემადგენლობითაა, სარუსეთოდ გამოძახებული ცხრამეტივე ფეხბურთელი მწვრთნელ ალექსანდრე ჩივაძის განკარგულებაშია, ყველა ჯანმრთელადაა.*

*ნაკრები სასტუმრო „საირმეში" გუშინწინ ღამით უნდა შეკრებილიყო, მაგრამ ლეგიონერებს ჩამოსვლა რომ შეუგვიანდათ, გუნდმა პირველი ვარჯიში დილის საწვრთნელ ბაზაზე გუშინ საღამოს გამართა*



# ჩივაძემ ეროვნული სული გამოიძახა

## გაზაევს შეტევის მოერიდება, თქვა საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა და ბაზის კარი ჩაკეტა

**აქვე ვთქვათ,** რომ 12 ოქტომბერს სათამაშოდ მზადება სხვებთან ერთად გოჩა ჯამარაულმაც დაიწყო, რომელმაც მწვრთნელს გუშინდელ ვარჯიშამდე თამაშზეც თანხმობა განუცხადა. ჯამარაული და ნაკრები ბაზაზე თითქმის ერთდროულად მივიდნენ. ფეხბურთელი და მწვრთნელი ერთმანეთს მიესალმნენ, ორიოდ წუთით შეყოვნდნენ, ისაუბრეს, გოჩამ გასახდელს მიაშურა, მწვრთნელმა კი დანარჩენ ფეხბურთელებთან ერთად პრესკონფერენციის დარბაზს.

თურქეთთან და შვეიცარიასთან მატჩების შემდეგ ალექსანდრე ჩივაძე ჟურნალისტებს პირველად გუშინ შეგვხვდა, თუმცა გუნდის ფიასკოზე საუბარი არ ისურვა:

— ორივე მარცხი გუნდმა გულთან ახლოს მიიტანა. მერწმუნეთ, რუსეთამდე შესაბამის დასკვნებს გავაკეთებთ. წაგებული თამაშების მიზეზებს გუნდშივე გავარჩევთ — თქვა ნაკრების მწვრთნელმა. იქამდე კი ალექსანდრე ჩივაძემ, რა თქმა უნდა, რუსებთან მომავალ შეხვედრაზე ილაპარაკა.

— მოახლოებული მატჩისთვის ნაკრების კანდიდატთა უფრო ფართო სია მქონდა. თანაშემწეებთან კონსულტაციების შემდეგ კი ჩავთვალე, რომ ზაზა ჯანაშია, ედიკ საჯაია, ოთარ ხიზანეიშვილი და რევაზ ქემოკლიძე ამ ეტაპზე ეროვნულ გუნდში თამაშისთვის მოუმზადებლები არიან. მათგან ორნი — საჯაია და ხიზანეიშვილი ახალგაზრდულ ნაკრებში იქნებიან.

— ზედმეტად მიმაჩნია იმის თქმა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი და პრინციპული მატჩი გველის, თუნდაც ჩვენი შესარჩევი ჯგუფის სატურნირო ვითარებიდან გამომდინარე. შესაძლოა, ასეთი შეხვედრა ფეხბურთელსაც და მწვრთნელსაც კარიერაში ერთხელ ჰქონდეთ. გპირდებით, მოსაგებად ყველანი მაქსიმუმს გავაკეთებთ.

— ნაკრებს ვინ უკაპიტნებს არ გადამიწყვეტია, ჯერ იმასაც ვერ გეტყვით, როგორი შემადგენლობით ვათამაშებ გუნდს.

— გოჩა ჯამარაულმა, მიუხედავად ფსიქოლოგიური მდგომარეობისა, თავადვე გადაწყვიტა და გუნდთან ერთად იქნება. მისი დიდი იმედი გვაქვს. ტრავმირებული იყო ლევან ცქიტიშვილი, თუმცა რამდენიმე დღე დაისვენა, იმკურნალა და ახლა არაფერი აწუხებს.

— ის ფეხბურთელები, რომლებიც რუსეთთან მატჩისთვის არ გამოვიძახე ნუ იფიქრებენ, რომ ნაკრების კარი დაკეტილია. უბრალოდ, მათი მოწვევა ამ ეტაპზე საჭიროდ არ ჩავთვალე. ეს ფეხბურთელებისთვის გაკვეთილი იქნება.

— კარგია, რომ ქეცბაია გამოჯანმრთელდა და უეფას თასზე გოლიც გაიტანა, თუმც ამჯერად მისი ნაკრებში გამოძახებისგან თავი შევიკავეთ.

— ვალერი გაზაევის საქართველოსთან სათამაშოდ გამოძახებულ შემადგენლობაში ჩემთვის მოულოდნელი არაფერია. ვფიქრობ, რომ რუსეთის ნაკრები თბილისში თამაშისას აქცენტს დაცვაზე გააკეთებს. გაზაევი თავის გუნდებს შემტევ ფეხბურთს კი ათამაშებს, მაგრამ თბილისში, არა მგონია, ასე გააკეთოს. რუსებს საკმაოდ მობილური შუა ხაზი ჰყავთ. ნახევარდაცვა მათ გუნდში ყველაზე ძლიერი რგოლია.

— ამას წინათ ვარშავაში ევროპის ქვეყნების ნაკრებთა მწვრთნელების კონფერენციაზე გახლდით. სწორედ იქ გამოჩენილ მწვრთნელებს ფიოლერს, გიუნეშს, მაკარტისა და სხვებს ჰკითხეს, რა არის თქვენი გუნდის წარმატების საფუძველი, ყველამ ერთი თქვა — ეროვნული სული! ასე უნდა იყოს ჩვენთანაც.

ალექსანდრე ჩივაძემ ბაზაზე სტუმრობისთვის მადლობა გადაგვიხადა და გუნდს მოედანზე გაუძღვა. ფეხბურთელებმა კი ორიოდ სიტყვით რუსეთთან მატჩზე ეს თქვეს.

*ალექსანდრე გოგობერიშვილი*

მართალია, დებიუტანტი ვარ, მაგრამ სულაც არ ვღელავ. ფეხბურთელთა უმეტესობას კარგად ვიცნობ და, არა მგონია, ეროვნულ გუნდთან შეგუება გამიჭირდეს. სწორედ რუსეთთან მატჩში უნდა დაამტკიცოს ფეხბურთელმა თავისი შესაძლებლობები. ვიმეორებ, არ ვღელავ და სათამაშოდ მზად ვარ. დანარჩენი მწვრთნელის კომპეტენციაა.

*ალექსანდრე იაშვილი*

მთავარია, რომ ჯანმრთელად და კარგ ფორმაში ვარ, ტრავმა მოვიშუშე. სხვა ყველაფერს კი ორ სიტყვაში ჩავტევ — რუსეთს ვეთამაშებით. ამით, ვფიქრობ, სათქმელი ნათქვამია.

*ლევან კობიაშვილი*

ობიექტურად რუსეთი ამჟამად ჩვენზე ძლიერი გუნდია, თუმც არა იმდენად, მათი დამარცხება არ შეგვეძლოს. საქართველოს ნაკრებმა თუ ისე მოინდომა, იბრძოლა, როგორც რუსებმა ირლანდიელებთან, ვერაფერი გაგვაჩერებს, მეტოქეს დავამარცხებთ. აღრეც ვთქვი, გაზაევის მწვრთნელად დანიშვნის შემდეგ რუსეთის ნაკრები საგრძნობლად გაძლიერდა.

ეროვნულ გუნდს დილომში დიდხანს არ უვარჯიშია. ფეხბურთელები ნამგზავრები იყვნენ და ჩივაძე, ეტყობა, მათ დატვირთვას მოერიდა. სულ საათი-საათნახევარი დაჰყო გუნდმა მოედანზე. იყო კვადრატი, თავბურთი, კარში დარტყმა, პენალტები. მხოლოდ შოთა არველაძე გამოეყო გუნდს და დამუნჯულებდა, შემდეგ კი კუნთები ტრენაჟორებზე გაივარჯიშა: „უეფას თასზე „ტიუკოვთან" 120 წუთი ვითამაშე, მერე ჩემპიონატში „სელტიკთან" ნამდვილი ომი გადავიტანე. თბილისში დილაუთენია ჩამოვედი, თანაც მგზავრობისას ოდნავ წელმა შემაწუხა და ვარჯიშს მოვერიდე. სიფრთხილეს ხომ თავი არ სტკივა" — თქვა შოთა არველაძემ. დანდელი ზურაბ ხიზანიშვილი კი, რომელიც ტრავმირებული იყო და რა ხანია, არ უთამაშია, მწვრთნელთან საუბარს დღეს აპირებს და შესაძლოა, ახალგაზრდულ ნაკრებს მიაშუროს: „ფიზიკურად მზად ვარ 90 წუთის სათამაშოდ, მაგრამ პრაქტიკა მაკლია და არ მსურს, ასეთი პრინციპული შეხვედრისას გავრისკო და თამაში არ გამომივიდეს" — გვითხრა ზურამ.

ნაკრებმა ვარჯიში რვა საათისთვის დაამთავრა, ფეხბურთელებმა ახლობელ-მეგობრები მოინახულეს და საირმეზე გასწიეს, საწვრთნელი ბაზა კი დღეიდან ჩაიკეტება.

**კობა ინასარიძე**



საქართველოს ნაკრების პირველ ვარჯიშზე თავბურთიც ვიხილეთ,
ალექსანდრე ჩივაძეს კი დილომში გოჩა ჯამარაულის გამოჩენამ გუნება გამოუკეთა



**ინგლისი**

პირველი დივიზიონი
გადადებული მატჩი
**გრიმსბი 3:0 იფსვიჩი**

მეორე დივიზიონი
გადადებული მატჩი
**სტოკპორტი 2:1 პიტერბორო**

**პორტუგალია**

I ლიგა. VI ტური
**ბოავიშტა 2:1 ვარზიმი**

**ესპანეთი**

პრიმერადივიზიონი
გადადებული მატჩი
**ბეტისი 1:1 რეალი**

# პარლამენტურად ნაწრთობი პრესატაშე?

**მას შემდეგ,** რაც მერაბ ჟორდანია ხელმეორედ აირჩიეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტად, სფფ-ში რამდენიმე საკადრო ცვლილება მოხდა. მათ შორის ისიც, რომ პრესსამსახურის უფროსი მამუკა კვარაცხელია უსაფრთხოების კომიტეტის ხელმძღვანელად გადაიყვანეს.

პრესსამსახურს კი ჯერაც არ ჰყავს პატრონი, თუმც საკითხი მალევე გადაწყდება, რადგან რამდენიმე კანდიდატურა უკვე იხილება.

როგორც შევიტყვეთ, ამ პოსტის მთავარი პრეტენდენტი სულხან მელაძე გახლავთ — პარლამენტის პრესსამსახურის ყოფილი უფროსი.

**ლავრენტი ზელია**

5 ოქტომბერს, წყალტუბოში, „ტორპედო“ – „სიონის“ მატჩისას მეტად უსიამოვნო ინციდენტი მოხდა. მალხაზ ასათიანი და მწვრთნელი ალექსანდრ შტელინი სათადარიგოთა სკამთან მოულოდნელად შელაპარაკდნენ და ატყდა ერთი ამბავი, ჩოჩქოლი და განევ-გამოწევა. საქმე იქამდეც კი მისულა, ფეხბურთელსა და შტელინს შუა პოლიცია ჩამდგარა

# დარტყმა არა, მცდელობა კი

## შტელინი-ტორპედო-სადისციპლინო

# ასათიანის ბედს სამეული გადაწყვეტს



ალექსანდრ შტელინი

„ტორპედოს“ მწვრთნელი ალექსანდრ შტელინი კი მატჩის შემდეგვე მოსკოვს გაემგზავრა, საიდანაც ბელგიას მიაშურა. თბილისში ის საქართველო — რუსეთის მატჩზე დასასწრებად ჩამოვა, თუმც იქამდე ქუთაისელთა მწვრთნელს გუშინ ტელეფონით დავუკავშირდით და ინციდენტის თაობაზე ვკითხეთ.

**— მართალია, რომ თქვენ და ასათიანმა მატჩისას ერთმანეთისკენ გაიწიეთ?**

— დიახ, მართალია.

**— ფეხბურთელმა ხელი დაგარტყათ?**

— ასათიანისგან ამის მცდელობა იყო, მაგრამ საქმე დარტყმამდე არ მისულა, შუაში პოლიცია ჩადგა. ძალიან ცუდი ფაქტი მოხდა.

**— უფრო კონკრეტულად ვერ გვეტყოდით, რა მოხდა?**

— ფეხბურთელმა თავისი საქმე უნდა გააკეთოს და მწვრთნელის მითითება შეასრულოს. მალხაზი უდავოდ ნიჭიერი ფეხბურთელია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რაც მოესურვება ის აკეთოს. ფეხბურთელს აგდებული ქცევისთვის, ზერელე ვარჯიშისთვის რამდენჯერმე შენიშვნა მივეცი, ვთხოვე, საქმისადმი დამოკიდებულება შეეცვალა. მისთვის ჩემი სიტყვა სულ ერთი იყო. ჩვენი ურთიერთობა ნელ-ნელა გამწვავდა, დაიძაბა, საბოლოო კი შედეგი „სიონთან“ მატჩისას მივიღეთ. მეტს ვერაფერს ვიტყვი, კლუბთან კონსულტაცია მჭირდება.

**— ამბობენ, ამ ინციდენტის შემდეგ, შესაძლოა, ასათიანი, ფეხბურთიდან მოკვეთონო. თქვენ რას იტყვით?**

— შეიძლება ასეც მოხდეს. მე ვალდებული ვარ, ყველაფერი ვთქვა. ამ საღამოს კლუბში წერილს გავაგზავნი და ოფიციალურ განცხადებას „ტორპედოს“ ხელმძღვანელები გააკეთებენ.

**— ისიც თქვეს, ასათიანს „ტორპედოს“ თავკაცებთან ურთიერთობა მას შემდეგ გაურთულდა, რაც გუნდიდან წასვლაზე უარი მიიღოო.**

— ეს არ არის სიმართლე. კლუბი არაფერ შუაშია: „ტორპედო“ ყოველთვის ცდილობდა, ასათიანისთვის და სხვა ფეხბურთელებისთვის კარგი მომზადებისა და თამაშისთვის ყველა პირობა შეექმნა. ასათიანი „ტორპედოს“ კონტრაქტით ეკუთვნის და ვალდებული იყო, გუნდისთვის ბოლომდე დახარჯულიყო, ჩემი მითითებები შეესრულებინა. მან კი უბრალოდ არ იცის, როგორ მოიქცეს. ასათიანს პასუხს კლუბი გასცემს, მეტს ვერაფერს გეტყვით. დაელოდეთ „ტორპედოს“ ოფიციალურ განცხადებას.

**ამ ამბავს** გამოხმაურება გუშინწინ მოჰყვა. საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში რუსეთთან მატჩისთვის გამოძახებული მალხაზ ასათიანი შეკრებაზე დროულად გამოცხადდა, თუმც ფეხბურთის ფედერაციის მოთხოვნით მწვრთნელმა ფეხბურთელი უკანვე, ქუთაისში გააბრუნა. ფეხბურთელის საქმეს ახლა სადისციპლინო კომიტეტი გაარჩევს. ამბობენ, გამორიცხული არ არის, ასათიანი ფეხბურთიდან საერთოდ მოკვეთონ, მწვრთნელს ხელი როგორ დაარტყაო. ამავდროულად, მალხაზ ასათიანი და მისი თანაგუნდელები ირწმუნებიან, შტელინს არ მოხვედრიაო. თუმცა, როგორც უნდა იყოს, ასათიანი ახალგაზრდულ ნაკრებს ჩამოაშორეს, მისი საქმე კი დისციპლინარებს აქვთ და მაშინ განიხილავენ, როგორც კი „ტორპედოსგან“ მომხდარის თაობაზე წერილს მიიღებენ: „ასათიანი უმსგავსოდ მოიქცა. თუ კლუბმა თავის წერილში დაადასტურა, რომ ასათიანმა მწვრთნელს ხელი დაარტყა, ფეხბურთელი უმკაცრესად დაისჯება. სადისციპლინო კომიტეტი საქმეზე მაშინ იმსჯელებს, „ტორპედო“ მომხდარის შესახებ ოფიციალურ პაქტს რომ გამოაგზავნის“ — გვითხრა გუშინ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ.

**კობა ინასარიძე**

# მოდებაძის ცხვირმა ტარანი გააბრაზა, თავმა ზაპოროჟიე გაახარა



...17 წლისა საქართველოს ცხრამეტწლამდელთა და ახალგაზრდული ნაკრებების წევრია. თავის კლუბში, ზაპოროჟიეს „მეტალურგში“, ევროპელ და სამხრეთამერიკელ ლეგიონერებს ამჯობინებენ, თითქმის სულ ძირითადშია და ბოლო დროს გოლი გოლზე გააქვს, ჰოდა, კლუბმაც სექტემბრის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელა.

ირაკლი მოდებაძემ 3 ოქტომბერს ტერი ვენეიბლზის „ლიდსსაც“ გაუტანა. უკრაინული „მეტალურგიც“ ახლოს იყო სენსაციასთან, მაგრამ ინგლისელთა მაღალმა კლასმა თავისი საქმე გააკეთა.

მაღალი, თხელი და სწრაფი ფორვარდი დღეს თბილისში რუს თანატოლთა დასახვედრად ემზადება. მისი ეიმედებათ, პრემიერლიგის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდისთვის გოლის გამტანმა იქნებ ქართველი ქომაგიც გაახაროს. მანამდე კი გაიცანით ირაკლი მოდებაძე, ვისაც საქართველოს ჩემპიონატში არც უთამაშია

— თავიდან იყო „ნორჩი დინამოელის“ საფეხბურთო სკოლა, მერე გომელაურის ცხრამეტწლამდელთა ნაკრები, საიდანაც „გოლეადორში“ მოვხვდი. ბონდო კაკუბავას კარგი გუნდი ჰყავდა, სამწუხაროა, რომ დაიშალა. მე შანსი მომეცა, კარიერა უკრაინაში გამეგრძელებინა. არ მიყოყმანია და ვფიქრობ, არჩევანში არც შევმცდარვარ.

**— იქნებ უმჯობესი იყო, ცოტა ხნით საქართველოს ჩემპიონატში გეთამაშათ?**

— ცუდი, ალბათ, არც ის ვარიანტი იქნებოდა, მაგრამ მე წავედი იმ ქვეყანაში, სადაც უკეთესი პირობები მექნებოდა. ფულს და ანაზღაურებას არ ვგულისხმობ. ზაპოროჟიეში ვარჯიშის და დაოსტატებისთვის ყველაფერია. უკრაინელებსაც გაცილებით მაღალი დონის ჩემპიონატი აქვთ.

**— მაინც რითი გვჯობიან უკრაინელები?**

— იქ იოლი თამაში თითქმის არ არის. მაღალი ტემპი, ბრძოლა მთელი 90 წუთის მანძილზე ზრდის წინაპირობას გიქმნის. სეზონის წინ სულ ცოტა სამი შეკრება უნდა გაიარო, ზოგი გუნდი მოსამზადებლად ოთხ ეტაპს იყენებს. სარეაბილიტაციო ცენტრი და აღდგენითი პროცესები უმაღლეს დონემდეა აყვანილი. ვარჯიშებზე ექიმები გაკვირდებიან, ყოველი პრინციპული თამაშის წინ სისხლის ანალიზი უნდა ჩააბარო, ყოველმხრივ შეგამოწმებენ და მწვრთნელმაც იცის, რა დონეზე ხარ მზად. სათითაოდ იქნებ არაფერი, მაგრამ მთლიანობაში ყველაფერი დიდ უპირატესობას იძლევა. ამიტომ არის უკრაინული ჩემპიონატი უკეთესი, თორემ ზოგჯერ ხელფასს იქაც აგვიანებენ.

**— უკრაინულ კლუბთან რამდენწლიანი კონტრაქტი გაკავშირებთ?**

— მე ჯერაც თბილისური „მერანის“ კუთვნილება ვარ. ზაპოროჟიეში იჯარის წესით ვთამაშობ, რომელსაც ვადა ერთ წელიწადში გასდის. კლუბმა ახალი კონტრაქტი კი შემომთავაზა, მაგრამ ჯერ არ ვჩქარობ. ერთ წელიწადში შეიძლება ბევრი რამ შეიცვალოს.

**— „მეტალურგში“ გადაბარგებული თავიდანვე ძირითადში გაგამწესეს, მერე სასტარტო თერთმეტეულიდან გაუჩინარდით და ბოლო დროსღა გამოჩნდით. უთამაშებლობის მიზეზი რა იყო?**

— წინა ჩემპიონატის დასრულების შემდეგ კლუბის თანხმობით თბილისში გამოვემგზავრე. ცხვირის ოპერაცია გავიკეთე და უკან ერთი თვის მერე უნდა დავბრუნებულიყავი, ექიმებმა კი ვარჯიში ორი თვით ამიკრძალეს და მეც დავრჩი.

ზაპოროჟიეში ჩასულს მწვრთნელმა ოლეგ ტარანმა სათადარიგოებისკენ მიმითითა. დაგვიანების მიზეზი კი ავუხსენი, მაგრამ ამან არ გაჭრა. ტარანთან ჩინებული ურთიერთობა მქონდა, იმასაც ვგრძნობდი, რომ გუნდში ჩემს გარდა ორ ათეულზე მეტი ფეხბურთელი იყო. წესი და რიგი კი ერთია ყველასთვის. რაღა დამრჩენოდა, მოთმინებით ველოდებოდი მორიგ შანსს.

ამასობაში ისე მოხდა, რომ ტარანი თანამდებობიდან გაათავისუფლეს. ახალ თავკაცად გუნდის მეკარეთა მწვრთნელი ოლეგ ლუცკოვსკი დაინიშნა. მისი დაჟინებული მოთხოვნით ძირითად შემადგენლობაში დამაბრუნეს და მეც ვეცადე, შანსი გამომეყენებინა. სადღეისოდ ჩემს ანგარიშზე ექვსი გოლია. ხუთი ჩემპიონატის თამაშებში შევაგდე, ერთიც უეფას თასზე, „ლიდსს“ გავუტანე.

**— უკრაინელი ჟურნალისტები აღნიშნავენ, ლამაზი გოლი იყოო.**

— ბრაზილიელმა ფაბიომ ფლანგიდან გაარღვია სტუმართა დაცვა და საჯარიმოში ჩააწოდა. ბურთი უცნაური ტრაექტორიით წავიდა და ხარიხას მოხვდა, მიწიდან ასხლეტილს კი თავი შევაგებე და მეკარეს შორეულ კუთხეში გავუტანე.

**— ამის შემხედვარე ქომაგმა კი ირწმუნა, რომ „მეტალურგს“ მეტოქის დამარცხება ძალუძდა.**

— ტრიბუნებზე წარმოუდგენელი რამ ხდებოდა. ასე გახარებული გულშემატკივარი მანამდე არც მენახა. სამწუხაროდ, ბოლომდე ვერ გავძელით. „ლიდსი“ ძალიან ძლიერი გუნდია, სმიტი, კიუელი და ბოიერი კი მაღალი კლასის ოსტატები არიან.

**— მატჩის მერე პირდაპირ თბილისში გამოემგზავრეთ, უკრაინის ჩემპიონატის ბოლო ტური რატომღა გამოტოვეთ?**

— დისკვალიფიკაციის გამო. ოთხი ყვითელი ბარათი დამიგროვდა და თამაში ძალაუნებურად უნდა გამომეტოვებინა.

**— ფორვარდისთვის ოთხი გაფრთხილება ბევრი ხომ არ არის?**

— მსაჯთან კამათისთვის და ამგვარი საქციელისთვის არასდროს დავსჯილვარ. ფეხბურთია და მეც ბოლომდე ვიბრძვი. უხეში მოთამაშე არ ვარ, მაგრამ თამაშში ბევრი რამ ხდება.

**— „მეტალურგში“ თქვენს გარდა დავით ოქროცოვიძე და გიგლა ახალაია ირიცხებიან, მაგრამ ძირითად გუნდში ჯერ შანსი არ მისცემიათ.**

— ისინი ახლოს არიან მიზანთან. ძირითად გუნდში ვარჯიშობენ და სარეზერვოებში თამაშობენ. ჩემი აზრით, მწვრთნელები მათაც მალე გამოუცხადებენ ნდობას.

**— უკრაინაში მოთამაშე სხვა ქართველ ლეგიონერებს თუ ეხმიანებით?**

— კარგი ურთიერთობა მაკავშირებს ვასილ გიგიაძესთან და გოჩა ტრაპაიძესთან. ეროვნული გუნდის წევრი გოჩა ჯამარაული ჩვენი გუნდების მატჩისას გავიცანი. შალვა აფხაზავას ჯერ არ ვიცნობ, მაგრამ ეგ არ არის ძნელი საქმე. ჩათვალეთ, უკრაინაში ერთი დიდი ქართული ოჯახია.

**— ორ დღეში რუს ახალგაზრდებთან თამაშია. რას უნდა ელოდეს თქვენგან ქომაგი? კიდევ ერთი წაგება ჯგუფიდან გაღწევის შანსებსაც დაასამარებს და გულშემატკივარს მომავლის იმედსაც მოუკლავს.**

— მე არ მესმის, რატომ უნდა შევუშინდეთ მეტოქეს. ფეხბურთში დაუმარცხებელი არავინაა და არც რუსეთის გუნდია უნაკლო. გამარჯვებისთვის უნდა ვითამაშოთ. მერწმუნეთ, ძალიან მინდა, ქომაგი „ეროვნულიდან“ გახარებული წავიდეს.

**მამუკა ქვანტალიანი**

## 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის X შესარჩევი ჯგუფი

# ჩვენი მეტოქეები

## ირლანდია

**16 ოქტომბერს** დუბლინის „ლენსდაუნ როუდს“ საქართველოს 4:1 გამანადგურებელი შვეიცარია ეწვევა.

ირლანდიის ეროვნული გუნდის თავკაცმა მიკ მაკარტიმ საამატჩოდ 22 ფეხბურთელი შეიგულა.

შვეიცარიელებთან მატჩისთვის მაკარტი გუნდს კი მოამზადებს, მაგრამ მერე შესაძლოა, უმწვრთნელოდ დარჩენილი ინგლისური „სანდერლენდი“ ჩაიბაროს.

***მეკარეები:*** შეი გივენი (ნიუკასლი, ინგლისი), დინ კელი (ჩარლტონი, ინგლისი), ნიკ კოლგანი (ჰიბერნიანი, შოტლანდია);

***მცველები:*** იან ჰარტი (ლიდსი, ინგლისი), გარი ბრინი (ვესტ ჰემი, ინგლისი), გარი კელი (ლიდსი, ინგლისი), კენი კანინგემი (ბირმინგემი, ინგლისი), ჯონ ოში (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი), ენდი ობრაიენი (ნიუკასლი, ინგლისი), ფილ ბები (სანდერლენდი, ინგლისი), ჯეფ კენა (ბირმინგემი, ინგლისი);

***ნახევარმცველები:*** მეტ ჰოლანდი (იფსვიჩი, ინგლისი), კოლინ ჰელი (სელტიკი, შოტლანდია), მარკ კინსელა (ასტონ ვილა, ინგლისი), ლი კარსლი (ევერტონი, ინგლისი), რორი დელაპი (საუთჰემპტონი, ინგლისი), სტივენ მაკფილი (ლიდსი, ინგლისი), კევინ კილბეინი (სანდერლენდი, ინგლისი);

***თავდამსხმელები:*** რობი კინი (ტოტენჰემი, ინგლისი), კლინტონ მორისონი (ბირმინგემი, ინგლისი), დემიენ დაფი (ბლეკბერნი, ინგლისი), გარი დოჰერტი (ტოტენჰემი, ინგლისი)

## ალბანეთი

**ალბანეთის** ეროვნული გუნდის იტალიელმა მწვრთნელმა ჯუზეპე დოსენამ ევროპის 2004 წლის შესარჩევში შვეიცარიის და რუსეთის ნაკრებებთან მატჩებისთვის 21 ფეხბურთელს უხმო.

მწვრთნელს ძალიან სურდა, ნაკრებში ვეტერანი ფორვარდი ბლეიდარ კოლაც მიეწვია, მაგრამ მისდა სამწუხაროდ, კოლამ მუხლის ტრავმა მიიღო. მას იტალიური „ჩეზენას“ თავდამსხმელი ფლორიან მურტაი შეცვლის.

დოსენას რჩეულნი კი ესენი არიან:

***მეკარეები:*** ფოტო სტრაკოშა (კალითეა, საბერძნეთი), არიან ბექაი (ოფი, საბერძნეთი), ილიონ ლიკა (დინამო);

***მცველები:*** არიან ჯუმა (კალითეა, საბერძნეთი), ერვინ ფაკაი (უგუნდოდ), გერი ჩიპი (გენტი, ბელგია), ლულზიმ ჰუში (დელემონი, შვეიცარია), ელვის ხინა (ტირანა), არიან ბელაი (პანიონიოსი, საბერძნეთი), ალბერტ დური (ნაციონალი, რუმინეთი);

***ნახევარმცველები:*** ედვინ მურატი (ირაკლისი, საბერძნეთი), ბესნიკ ჰასი (ანდერლეხტი, ბელგია), ალტინ ლალა (ჰანოვერი, გერმანია), დევი მუკა (ტირანა), ფატმირ ვატა (არმინია, გერმანია), ალტინ ჰაჯი (ირაკლისი, საბერძნეთი);

***თავდამსხმელები:*** იგლი ტარე (ბრეშა, იტალია), კლოდიან დური (მალათიასპორი, თურქეთი), ალბან ბუში (ტრაბზონსპორი, თურქეთი), ფლორიან მურტაი (ჩეზენა, იტალია), ერიონ ბოგდანი (რეჯინა, იტალია).

## შვეიცარია

**შვეიცარიის** ეროვნული გუნდის მწვრთნელმა იაკობ კუნმა დაასახელა ის 20 ფეხბურთელი, რომლებიც ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში ალბანელებს და ირლანდიელებს დაუპირისპირდებიან.

***მეკარეები:*** იორგ შტილი (მონხენგლადბახი, გერმანია), პასკალ ცუბერბიულერი (ბაზელი), ფაბრის ბორერი (გრასჰოპერი);

***მცველები:*** ფრანკ ბერნერი (ფრაიბურგი, გერმანია), სტეფან ანში (ლივერპული, ინგლისი), მურატ იაკინი (ბაზელი), ბერნტ ჰასი (ბაზელი), სტეფან კელერი (ციურიხი), ლუდოვიკ მანინი (ვერდერი, გერმანია), რემო მაიერი (მიუნხენ 1860, გერმანია);

***ნახევარმცველები:*** რიკარდო კაბანასი (გრასჰოპერი), მარიო კანტალუპი (ბაზელი), ჰაკან იაკინი (ბაზელი), პატრიკ მიულერი (ლიონი, საფრანგეთი), ფაბიო სელესტინი (მარსელი, საფრანგეთი), იოჰან ფოგელი (პსვ ეინდჰოვენი, ჰოლანდია), რაფაელ ვიკი (ჰამბურგი, გერმანია);

***თავდამსხმელები:*** სტეფან შაპუიზა (იანგ ბოისი), ალექსანდრ ფრეი (სერვეტი), ლეონარდ ტურე (სერვეტი)

# კალაძე და შვიდი გოლი

## აშვეთიამ გამოაცხო, მუჯირმა გადაყლაპა



კახა კალაძე

**რუსეთთან მატჩამდე** ქართველებმა ამ უქმეებზე ბოლოჯერ გათელეს ბალახი ევროპულ ჩემპიონატებში. პოდა, „ბებერმა კონტინენტმაც“ სულ შვიდი ქართული გოლი იხილა.

კახა კალაძის „მილანის“ უძლეველობის მითი ვერც „ტორინომ“ დაანგრია. „სან სიროს“ ბინადრებმა უმოწყალოდ გადაურბინეს სტუმრებს და 6:0 გააცამტვერეს. სასიხარულოა, რომ კვლავ მაღალი შეფასება მიიღო ქართველმა მცველმა. ფილიპო ინძაგიმ კი სამიდან ერთი გოლი კალაძის პასით გაიტანა.

ნამატჩევს ჩვენებურმა აღიარა, არ მეგონა, „ტორინო“ ასეთი სუსტი თუ იყოო. რა გვეთქმის, მილანელებისთვის ხომ ახლა ნებისმიერი მეტოქე სუსტია.

შოტლანდიაში საგოლედ მოიქნია შოთა არველაძემ. ტყუპისცალმა „ოლდ ფირმში“ კი დააწინაურა თანაგუნდელები, თუმც სამ წუთში „სელტიკმა“ წონასწორობა აღადგინა, არველაძემ კი გოლის ზედმეტად ემოციური აღნიშვნისთვის ყვითელი ბარათიც დაიმსახურა. ფრის მიუხედავად, „ჩაფრები“ კვლავაც პირველობენ ჩემპიონატს. შოთამ კი კარიერაში პირველად გაუტანა „სელტიკს“.

გიორგი ნემსაძემ და „დანდიმ“ მძიმე ბრძოლაში სძლიეს „კილმარნოკს“. ზურაბ ხიზანიშვილი პირველად მოხვდა განაცხადში ხანგრძლივი ტრავმის შემდეგ, თუმც ჯიმ დაფიმ მისი მოედანზე შეშვება არ გარისკა.

ეტყობა, დავით მუჯირის საგოლე მადის აღმძვრელი აბები ყლაპეს და ისიც სტაბილურად, შედეგიანად მიუძღვება „შტურმს“. გრაცელები სტუმრად ორიოდ წლის წინ „ვიტ ჯორჯიას“ მიერ ინტერტოტოს თასიდან გაგდებულ „რიდთან“ აგებდნენ, თუმც „მუჯომ“ ფეხი გამოიღო და გამთანაბრებელი ძლიერი დარტყმით შეგდო. ბოლო წუთზე კი ჩარლზ ამოამ სტუმრებს სულაც მოაგებინა. კრისტოფ დაუმის მიერ დაწუნებულ „შტურმს“ კი სათავეში, შესაძლოა, ფრანკო ფოდა დაუტოვონ, რომელიც შესაშური შედეგიანობით ათამაშებს გუნდს.

გერმანიაში სამივე ქართულმა გუნდმა მოიგო. „ფრაიბურგმა“ იაშვილ-კობიაშვილის დახმარებით შეინარჩუნა პირველი ადგილი, არჩილ არველაძის „კიოლნმა“ კი ბერლინის „უნიონი“ გაანადგურა. არველაძე ტრავმის მერე ჯერაც სარეაბილიტაციო კურსს გადის. მის გამოჩენას უკვე ელიან კიდეც „თხები“, მაგრამ ჩვენებურს დრო სჭირდება.

„12 ოქტომბრამდე რუსეთში ქართველმა თავდამსხმელებმა გაილაღეს“ — ასე გამოეხმაურნენ აშვეთია-დემეტრაძის შედეგიანობას რუსეთში. ვლადიკავკაზის „ალანიამ“ საჭირო სამი ქულა აცალა „შინიკს“. ანგარიში დემეტრაძემ მე-13 წუთზე გახსნა. საქართველოს ნაკრების ფორვარდმა კუთხური გაითამაშა ბაზაევთან და მახვილი კუთხიდან ჩააწოდა. მერე აშვეთიასაც შეეძლო გატანა, მაგრამ ძელმა დაალალატა, კიდევ რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი კი ქარს გაატანა.

მეორე ტაიმში მოედანზე ძალლი შეიჭრა და მატჩიც რამდენიმე წუთით შეწყდა. ადამიანის ოთხფეხა მეგობარი „ალანიას“ კარის დარაჯმა გაბულოვმა გაიტყუა და თამაშიც განახლდა. 62-ე წუთზე კი ვლადიკავკაზელთა ძალლის მომთვინიერებელმა მეკარემ კქჩინოვის დარტყმული ვეღარ მოარჯულა.

მიხეილ აშვეთიამ ბოლოსლა გაიხსენა გოლის გატანის რეცეპტი და გამარჯვებაც გამოაცხო.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად რუსმა ჟურნალისტებმა გიორგი დემეტრაძე სცნეს, რომელიც ტურის სიმბოლურ ნაკრებშიც მოხვდა (ამ სეზონში უკვე მესამედ).

ტრავმის შემდეგ რუსულ პრემიერლიგაში პირველად გამოჩნდა სპარტაკელი ვალერი აბრამიძე და საკმაოდ კარგადაც გაისარჯა. მართალია უხეშობისთვის გააფრთხილეს კიდეც, თუმც მოედანზე ერთ-ერთი საუკეთესო იყო და 6,0 ქულა დაუწერეს.

უკრაინის ჩემპიონატის ოთხეულში სამი ქართული კლუბი იწონებს თავს.

ზედიზედ ექვსმატჩიანი მოგებათა სერია შეწყვიტა კიევის „არსენალმა“. დედაქალაქელებმა სტუმრად ფრედ ითამაშეს ხარკოვის „მეტალისტთან“. ასეთი შედეგისთვის კი „არსენალს“ საგარეო მატჩებში 16(!) თვეა არ მიუღწევია. გოლი მასპინძლებს შალვა აფხაზავამ გაუტანა, რაც ჩვენებურისთვის მეშვიდე გამოდგა ამ სეზონში და ბომბარდირთა დავაშიც მეორე ადგილზეა.

წინა ტურში მოგების მერე წააგო მიხეილ ყაველაშვილის „ლუცერნმა“. ჩვენებურმა 90 წუთი დაჰყო მოედანზე და ბევრიც ეომა თავის ყოფილ კლუბს, თუმც მასპინძლებმა მეტოქე მაინც გატეხეს და ბოლო წუთზე გადამწყვეტი გოლი გაიტანეს.

საქართველოს ნაკრების თავკაც ალექსანდრე ჩივაძის დამწუნებელი გოგა გახოკიძე გუს პიდინკის სამწვრთნელო ლაბირინთებში ჩაიკარგა. გახოკიძე უკვე რამდენიმე ტურია, შემადგენლობაში არ ჩანს. მისი „პსვ ეინდჰოვენი“ კი კვლავაც ლიდერობს ჩემპიონატს.

ბულგარეთში ისევ გოლით გამოიჩინა თავი ამირან მუჯირმა. „მარეკმა“ სტუმრად ცსკა-თან კი წააგო, მაგრამ მუჯირი ერთ-ერთი გამორჩეული იყო. ჩვენებურმა შვიდ თამაშში უკვე მეხუთე გაიტანა, რაც, ცხადია, ურიგო შედეგი ნაღდად არ არის.

**კახა ზალამბერიძე**



მიხეილ აშვეთია

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **იტალია. სერია A** | | | | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | შ | ტორინო 6:0 | 90 | საგოლე პასი | 4 | 0 | 2 |
| **გერმანია. მეორე ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | შ | ვალდჰოფი 4:1 | 21 | შეცვლაზე ითამაშა | 7 | 0 | 1 |
| ლევან კობიაშვილი | ფრაიბურგი | შ | ვალდჰოფი 4:1 | 90 | | 8 | 3 | 1 |
| ლევან ცქიტიშვილი | ფრაიბურგი | შ | ვალდჰოფი 4:1 | 0 | | 7 | 0 | 1 |
| გიორგი კიკნაძე | ფრაიბურგი | შ | ვალდჰოფი 4:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 1 |
| ზაზა ზამთარაძე | ფრაიბურგი | შ | ვალდჰოფი 4:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 1 |
| არჩილ არველაძე | კიოლნი | შ | უნიონი 7:0 | 0 | | 0 | 0 | 2 |
| გიორგი დვალიშვილი | ფიურტი | შ | მაინცი 2:0 | 0 | განაცხადში ვერ მოხვდა | 0 | 0 | 9 |
| **ავსტრია. მაქსბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| დავით მუჯირი | შტურმი | ს | რიდი 2:1 | 90 | 1 გოლი | 9 | 2 | 3 |
| **ინგლისი. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| გიორგი ქინქლაძე | დერბი ქაუნთი | შ | უოლსოლი 2:2 | 7 | შეცვლაზე ითამაშა | 5 | 1 | 10 |
| **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | რეინჯერსი | ს | სელტიკი 3:3 | 90 | 1 გოლი, გააფრთხილეს | 10 | 5 | 1 |
| გიორგი ნემსაძე | დანდი | შ | კილმარნოკი 2:1 | 72 | შეცვალეს | 8 | 0 | 6 |
| ზურაბ ხიზანიშვილი | დანდი | შ | კილმარნოკი 2:1 | 0 | სათადარიგო | 0 | 0 | 6 |
| **ჰოლანდია. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| გოგა გახოკიძე | პსვ | ს | ბრედა 2:2 | 0 | | 3 | 0 | 1 |
| **ბელგია. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| გელა შეყილაძე | ლიერსი | შ | ანტვერპენი 3:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 2 |
| **შვეიცარია. A ჯგუფი** | | | | | | | | |
| მიხეილ ყაველაშვილი | ლუცერნი | ს | ციურიხი 1:2 | 90 | | 7 | 1 | 10 |
| ლევან ხომერიკი | აარაუ | ს | ქსამაქსი 1:3 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 12 |
| **რუსეთი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| გიორგი დემეტრაძე | ალანია | შ | შინიკი 2:1 | 90 | 1 გოლი | 11 | 6 | 12 |
| გია იმედაძე | ალანია | შ | შინიკი 2:1 | 0 | ტრანსფერზეა | 10 | 2 | 12 |
| მიხეილ აშვეთია | ალანია | შ | შინიკი 2:1 | 90 | 1 გოლი | 12 | 6 | 12 |
| დავით ხმელიძე | როსტსელმაში | ს | ურალანი 0:0 | 0 | | 0 | 0 | 13 |
| კახა მჟავანაძე | ანჟი | ს | ზილ 0:1 | 90 | გააფრთხილეს | 24 | 1 | 15 |
| ედიკ სადჟაია | ტორპედო | ს | დინამო 3:3 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 14 | 0 | 6 |
| დავით ნაკანი | ტორპედო | ს | დინამო 3:3 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 6 |
| ვალერი აბრამიძე | სპარტაკი | შ | კრილია 3:1 | 90 | გააფრთხილეს | 3 | 0 | 3 |
| სევასტი თოდუა | ურალანი | შ | როსტსელმაში 0:0 | 90 | | 3 | 0 | 11 |
| **რუსეთი. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| თეიმურაზ გადელია | კრისტალი | შ | გაზოვიკი 1:1 | 45 | შეცვლაზე ითამაშა | 22 | 0 | 10 |
| თენგიზ სიჭინავა | კრისტალი | შ | გაზოვიკი 1:1 | 90 | | 26 | 2 | 10 |
| ზვიად ჯელაძე | კრისტალი | შ | გაზოვიკი 1:1 | 90 | | 18 | 0 | 10 |
| გიზო ჯელაძე | რუბინი | შ | ტომი 1:0 | 27 | შეცვლაზე ითამაშა, გააფრთხილეს | 17 | 0 | 1 |
| ლევან სილაგაძე | რუბინი | შ | ტომი 1:0 | 90 | | 12 | 0 | 1 |
| დავით ჩალაძე | რუბინი | შ | ტომი 1:0 | 63 | შეცვალეს | 24 | 16 | 1 |
| პაატა ჯინჭარაძე | ლოკომოტივი | შ | ვორონეჟი 2:2 | 90 | 1 გოლი | 22 | 4 | 12 |
| პაატა ბერიშვილი | ვორონეჟი | ს | ლოკომოტივი 2:2 | 0 | | 4 | 1 | 16 |
| ალექსანდრე გელაძე | სკა როსტოვი | შ | სკა ენერგია 3:4 | 0 | | 7 | 0 | 17 |
| გოჩა გოგრიჭიანი | სკა როსტოვი | შ | სკა ენერგია 3:4 | 90 | | 5 | 1 | 17 |
| ვლადიმერ კაკაშვილი | სკა როსტოვი | შ | სკა ენერგია 3:4 | 26 | გააფრთხილეს, შეცვალეს | 10 | 0 | 17 |
| **უკრაინა. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| გოჩა ტრაპაიძე | ტავრია | ს | დნიპრო 0:2 | 25 | შეცვლაზე ითამაშა | 8 | 0 | 11 |
| ვასილ გოგიაძე | ტავრია | ს | დნიპრო 0:2 | 90 | | 12 | 6 | 11 |
| ირაკლი მოდებაძე | მ. ზაპოროჟიე | ს | ჩერნომორეცი 0:1 | 0 | დისკვალიფიცირებული იყო | 5 | 2 | 13 |
| გიგლა ახალაია | მ. ზაპოროჟიე | ს | ჩერნომორეცი 0:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 13 |
| დავით ოქროცვაძე | მ. ზაპოროჟიე | ს | ჩერნომორეცი 0:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 13 |
| შალვა აფხაზავა | არსენალი | ს | მეტალისტი 1:1 | 87 | 1 გოლი, შეცვალეს | 11 | 7 | 3 |
| გოჩა ჯამარაული | მ. დონეცკი | შ | დინამო 1:0 | 0 | | 5 | 2 | 4 |
| ზურაბ ფოფხაძე | კრივბასი | ს | ობოლონი 1:0 | 17 | შეცვალეს | 4 | 0 | 7 |
| მიხეილ ფოცხვერია | დნიპრო | შ | ტავრია 2:0 | 0 | | 0 | 0 | 1 |
| **პოლონეთი. პირველი ლიგა** | | | | | | | | |
| მამია ჯიქია | ამიცა | ს | გარბარნია 2:2 | 0 | | 7 | 1 | 6 |
| **ბულგარეთი. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ამირან მუჯირი | მარეკი | ს | ცსკა 2:5 | 72 | 1 გოლი, გააფრთ., შეცვალეს | 7 | 5 | 7 |
| **ლატვია. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ალექსანდრე რეხვიაშვილი | სკონტო | ს | ვალმიერა 6:2 | 0 | | 16 | 1 | 2 |
| ზურაბ მენთეშაშვილი | სკონტო | ს | ვალმიერა 6:2 | 0 | ტრავმირებულია | 14 | 2 | 2 |
| ლევან კორღალიძე | სკონტო | ს | ვალმიერა 6:2 | 0 | ტრავმირებულია | 17 | 3 | 2 |
| თამაზ პერტია | რიგა | შ | დაუგავა 0:0 | 0 | | 14 | 1 | 7 |

შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში

# ლაშა ჯაკობიას მონსი ქაღალდზეც არ შენახავს

**ორიოდ თვის წინ** ბელგიურმა სპორტულმა სააგენტოებმა გვამცნეს, ქართველმა ფორვარდმა ლაშა ჯაკობიამ უმაღლესი ლიგის „მონსთან“ გააფორმა კონტრაქტიო. მას აქეთ თვალს ვადევნებდით ბელგიური კლუბის თამაშებს, მაგრამ ჯაკობია არც გუნდის განაცხადში შეუყვანიათ და არც იქაურები წერდნენ ჩვენებურზე რამეს.

ლაშას ბელგიაში ვეძებდით და თურმე თვეზე მეტია, თბილისშია, ძველ ტრავმას იშუშებს და ინდივიდუალურად ვარჯიშობს. ჯაკობიას გუშინ სასტუმრო „მესახლვრეში“ შევხვდით. ახალგაზრდული გუნდის თავკაცები მოიკითხა, ყოფილი თანაგუნდელები მოინახულა და ორი წუთით ჩვენთვისაც მოიცალა:

— მკურნალობის კურსს ვამთავრებ. მგონი, სრულად გამოვჯანმრთელდი, ადრინდელივით საზარდულები უკვე აღარ მაწუხებს და ორ-სამ კვირაში, ალბათ, მზადყოფნაში ვიქნები. სადღეისოდ ინდივიდუალურად ვვარჯიშობ, ტრენაჟორები, აუზი და ამგვარი აღდგენითი ვარჯიშები დამინიშნეს.

რაც შეეხება ჩემსა და „მონსს“ შორის გაფორმებულ ხელშეკრულებას, მე ხელი არაფრისთვის მომიწერია. ჩემი საფეხბურთო აგენტი დამიკავშირდა და მითხრა, ახალ კლუბთან შენს ნაცვლად მე გავაფორმე წინასწარი კონტრაქტიო. ვიდრე საბოლოოდ არ გამოვჯანმრთელდები, არაფრის გაგონება არ მინდა. ვერც „მონსზე“ ვიფიქრებ სერიოზულად. ამიტომ აგენტს ვთხოვე, წინასწარი შეთანხმება გაეუქმებინა. ალბათ, ზამთრამდე ფორმაში ვიქნები და ახალ კლუბზე მერე ვიფიქრებ.

**გამუკა ძვანტალიანი**



# ტულუშის 301

## დაეწია და უნდა გაუსწროს მარეხაშვილს

**დიდი** ვერაფერი ხვითოა ეს ჩვენი საფეხბურთო ჩემპიონატი, მაგრამ არსებობის 12 წელიწადს ითვლის და ევროპულის თუ მსოფლიოს სხვადასხვა ჩემპიონატების დარად თავისი რეკორდებითაც დაიკვეხნის.

დღეს ერთ-ერთ მათგანზე მინდა მოგახსენოთ. უფრო სწორად, იმ ფეხბურთელზე, ვინც მივიწყებული გაგვახსენა.

ორი წლის წინ გორის „დილას“ ვეტერანმა ნახევარმცველმა ჯიმშერ მარეხაშვილმა ფეხბურთიდან წასვლა დააპირა, მაგრამ მეგობრები და თანაგუნდელები შეუჩნდნენ, ეროვნულ ჩემპიონატში ნათამაშევი მატჩების ოდენობით რეკორდსმენი კი ხარ, მაგრამ სამასამდე არაფერი გაკლია და ცოტა ხნით დარჩიო. „მარეხამ“ იცოდა, მისი მატარებელი უკვე ჩავლილი იყო, თუმც მაინც დარჩა, მესამასე მატჩიც ითამაშა და სამს მეერთეც. მარეხაშვილს „დილამ“ ათწლიანი უანგარო სამსახური დაუფასა, ჩინებული გაცილება მოუწყო და გზაც დაულოცა.

მაშინ ვივარაუდეთ, გორელის რეკორდს ერთხანს დამხობა არ უწერიაო. ამის თქმის საბაბს „დილას“ მცველის ხვიჩა გაგნიძის და ბათუმელი ლიბეროს მალხაზ მახარაძის გადაწყვეტილება გვაძლევდა. ბათუმელს სულაც ხუთი მატჩი დააკლდა რეკორდის დასამხობად, მაგრამ მოცდას და ოფლის ღვრას პენსიაზე გასვლა არჩია. უფრო მეტი, თოთხმეტი მატჩი უნდა ეთამაშა გაგნიძეს, თუმც თანაქალაქელს და მეგობარს არ შეეცილა და ფეხბურთელის ტრუს-მაისურას მსაჯის ჭრელი სამოსი ამჯობინა.

ორი წელიწადი ეროვნულმა თავისი გზით იგორა, მეთოთხმეტე ჩემპიონატის საწყის ტურებში ქუთაისელ დავით ჯანაშიას ჰქონდა შანსი, რეკორდსმენს ჯერ დაწეოდა და შემდეგ გადაესწრო კიდეც, მაგრამ „ტორპედოს“ უკრაინელ თავკაც ალექსანდრ შტელინს ვერ შეეწყო და გუნდიდან დაითხოვეს.

რეკორდის სიახლოვეს ტრიალებდნენ კოლხები — ვალერი ტორჩინავა და ბადრი ახვლედიანი, მაგრამ პირველმა მოცდა არ ინდომა, მეორე კი სოსო ფილიამ ურჩობისთვის დაითხოვა გუნდიდან.

და მაინც, 2002 წლის 6 ოქტომბრიდან გორელი ჯიმშერ მარეხაშვილი ერთპიროვნული რეკორდსმენი არ არის. კვირას „ბათუმი“ — „დინამოს“ მატჩში ნათამაშევი 38 წუთით ბათუმელი თეიმურაზ ტულუში თანარეკორდსმენი შეიქნა. მანაც სამას მეერთედ ითამაშა ეროვნულ ჩემპიონატში. ტულუშს ფეხბურთიდან მივდივარო, ჯერ არ უთქვამს, ამიტომ მარეხაშვილის რეკორდიც, ალბათ, უახლოეს ტურში თუ არა, მალე მაინც დაემხობა.

და თუ ასე მოხდება, ტულუშმა ფეხბურთიდან წასვლაზე სეზონის ბოლომდე მაინც არ უნდა იფიქროს, რადგან მდევარი არც ისე შორსაა რეკორდსმენებს კვალში ქუთაისელი ზურაბ იონანიძე და ბოლნისელი გიალო ჩხაიძე უდგანან. სადღეისოდ ორივეს 290 მატჩი უთამაშია.

**მამუკა ძვანტალიანი**



თეიმურაზ ტულუში (№10) მალე რეკორდსაც დაამხობს

| | | |
|---|---|---|
| ჯიმშერ მარეხაშვილი (კარიერა დაასრულა) | | 301 |
| თეიმურაზ ტულუში (ბათუმი) | | 301 |
| მალხაზ მახარაძე (კარიერა დაასრულა) | | 297 |
| დავით ჯანაშია (უგუნდო) | | 297 |
| ზურაბ იონანიძე (ტორპედო) | | 290 |
| გია ჩხაიძე (სიონი) | | 290 |
| ხვიჩა გაგნიძე (კარიერა დაასრულა) | | 288 |
| ვალერი ტორჩინავა (კარიერა დაასრულა) | | 285 |
| ბადრი ახვლედიანი (უგუნდო) | | 283 |



გია გეგუჩაძე

# გორდა თეატრში

## გეგუჩაძემ რუსთავში მერის კაცური სიტყვა მოისმინა

***გუშინ „გორდა“ რუსთავის დრამატულ თეატრში იყო. ეროვნული ჩემპიონატის აუტსაიდერი გუნდის ფეხბურთელებს სპექტაკლისთვის რომ არ სცხელათ, ცხადია, თვეობით აუღებელი ხელფასები ადარდებთ, მაგრამ „გორდას“ ხელმძღვანელებმა სწორედ თეატრში მიიყვანეს გუნდი გულშემატკივრებთან და ჟურნალისტებთან შესახვედრად.***

***შეხვედრის მიზეზი ჰქონდათ რუსთაველებს, გუნდს ახალი მწვრთნელი ჰყავს. გია გეგუჩაძე თავისი ხალხით და ხუთწლიანი პროგრამით დაუბრუნდა „გორდას“***

50 კაციანი აუდიტორიის წინაშე ჯერ „გორდა 2000“-ის დირექტორმა და, ფაქტობრივად, კლუბის პრეზიდენტმა სერგო ბუილიშვილმა ისაუბრა. მან დამსწრეთ გუნდის ახალი პრესატაშე წარუდგინა. დღეიდან „გორდას“ პრესსამსახურს სპორტული კომენტატორი თემურ ჯაფარიძე უხელმძღვანელებს.

„რთული ფინანსური სიტუაციის და ბევრი ხელისშემშლელი ფაქტორის მიუხედავად, დღემდე მოვედით და ამაში დიდი წვლილი ვარლამ კილასონიას მიუძღვის. მან გუნდიდან წასვლა გადაწყვიტა და მთელი ქალაქის სახელით მადლობას ვუხდი გაწეული შრომისთვის. გმირობის ტოლფასი იყო, კილასონიამ წინა სეზონში „გორდას“ უმაღლეს ლიგაში ადგილი რომ შეუნარჩუნა. სამწუხაროა, რომ მან წასვლა გადაწყვიტა. იმედი მაქვს, სამომავლოდ თავის ცოდნას და გამოცდილებას ისევ მოახმარს მშობლიურ გუნდს“ — თქვა ბუილიშვილმა და სიტყვა უფრო კილასონიას გადასცა.

ვარლამმა წარმატება უსურვა გია გეგუჩაძეს და ამის შემდეგ სცენაზე (დღეს გოგი ქავთარაძის დასი „ცოლების შვილებს“ რომ წარმოადგენს) „გორდას“ ახალი თავკაცი, ახალი პრესატაშე და კაპიტანი კახა ალადაშვილი ავიდნენ.

„გუნდში ასისტენტობას ჯემალ მახარაშვილი გამიწევს. ეს პიროვნება საქართველოს მოყვარულთა ნაკრებს ხელმძღვანელობდა და თავისი საქმის პროფესიონალია. მახარაშვილი ამავდროულად „გორდა 2“-საც უთავკაცებს, ჩემი პრინციპული მოსაზრება იყო, რომ გუნდის მეორე მწვრთნელი ფარმ-კლუბის ხელმძღვანელი ყოფილიყო. დამეხმარება ნიჭიერი მწვრთნელი გია ჭყონიაც, იგი ბავშვებთანაც იმუშავებს. ბავშვთა საფეხბურთო სკოლას ტატო წიკლაური უხელმძღვანელებს. იასონ ალადაშვილს დიდი წვლილი მიუძღვის გუნდისთვის, იგი კვლავაც „გორდაში“ რჩება, გუნდის უფროსის ფუნქციებს შეასრულებს. მოვიყვანეთ ახალგაზრდა ექიმი ლაშა ცქიტიშვილი, ჩვენს გუნდშია „გორდას“ ვეტერანი ფეხბურთელი ლევან გოგუაძეც, იგი ფარმ-კლუბში მახარაშვილის თანაშემწე იქნება ადმინისტრაციულ საკითხებს კვლავაც თამაზ გაბრიჭიძე გაუძღვება.

მიუხედავად იმისა, რომ გუნდში დღეს ცუდი ფინანსური სიტუაციაა, იმედიანად ვარ. პერსპექტივა არის და თუკი სწორი მიმართულებით ვიარეთ, დიდი საქმე გაკეთდება. ლაპარაკია ხუთწლიან პროგრამაზე, რომლის განხორციელების შემთხვევაში უფრო თასზე თამაშის საშუალებაც გვექნება. გულშემატკივრების, ქალაქის ხელმძღვანელთა მხარდაჭერის იმედი მაქვს და მჯერა, ყველაფერი სასიკეთოდ იქნება“ — თქვა გეგუჩაძემ.

იმედიანი იყო კახა ალადაშვილიც — „გორდას“ დღევანდელი მდგომარეობა ნაწილობრივ ჩვენი, ფეხბურთელების ბრალიცაა, მაგრამ გუნდში აუტანელი ფინანსური კრიზისია, თუმცა, ვფიქრობ, რომ კლუბის მესვეურთა ძალისხმევით ყველაფერი სასიკეთოდ შეიცვლებაო.

გუშინდელ შეხვედრაზე თავიანთი სურვილები გამოთქვეს გულშემატკივრებმაც, მათ მეტი აქტიურობა მოსთხოვეს გორდელებს სარეკლამო თვალსაზრისით. ქომაგთ ბუილიშვილი დაპირდა, კლუბის ატრიბუტიკას დავამზადებთ და პრესასთან და ტელევიზიასთან უფრო მჭიდროდ ვითანამშრომლებთო.

ბუილიშვილმა ისიც თქვა, ამ ეტაპზე ქალაქის მერიაზე ვართ დამოკიდებული, რადგან მერიამ ითავა 20 ლარიანი 3000 აბონენტის გაყიდვაო.

ჯერჯერობით 325 აბონემენტია გაყიდული, თუმც ქალაქის მერი დაგვპირდა, რომ აბონემენტების გასაღების მიზნით კიდევ ერთხელ შეხვდება სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებს და ჩვენი მდგომარეობაც რადიკალურად შეიცვლებაო.

ნათიატრევს **გია გეგუჩაძეს** გავესაუბრეთ.

**— მოულოდნელი იყო ახალგაზრდა, ამბიციური მწვრთნელის ფინანსურად უპერსპექტივო გუნდში გამოჩენა...**

— რატომ? პერსპექტივა არის. სანამ რუსთაველთა წინადადებას დავთანხმდებოდი, ორკვირიანი მოლაპარაკება მქონდა რუსთაველებთან. ქალაქის მერს, ბატონ მერაბ ტყეშელაშვილსაც შევხვდი, კაცური სიტყვა თქვა, დაგეხმარებით, გვერდში ამოგიდგებითო. ჩვენც, მწვრთნელებიც, ჩვენის მხრივ ცდას არ დავაკლებთ გუნდის საკეთილდღეოდ და მჯერა, შედეგი იქნება.

**— ისიც მოულოდნელი იყო, გია კილასონიაზე რომ თქვით უარი. ეს ფეხბურთელი ლამის ნახევარი გუნდის საქმეს აკეთებდა.**

— კილასონია მართლაც გამორჩეული იყო „გორდაში“, მაგრამ აქცენტს ახალგაზრდებზე ვაკეთებ. მირჩევნია დღეს ის ვათამაშო, ვინც ხვალაც უნდა ითამაშოს. შეიძლება ვრისკავ კიდეც, რადგან ორი კურდღლის დაჭერა მსურს — გაახალგაზრდავების მაგივრად მინდა გამოცდილება არ მოაკლდეს გუნდს.

ასეა თუ ისე, რუსთაველები ახალ ცხოვრებას გეგუჩაძის და აბონემენტების გასაღების იმედად იწყებენ. რამდენად რეალურია ის, რომ ქალაქის მერია „გორდას“ გვერდით ამოუდგება, თავად განსაჯეთ: გუშინდელ შეხვედრას მერიის არცერთი ჩინოსანი არ დასწრებია, ის კი არა, 18 საათზე დაგეგმილი შეხვედრა ნახევარი საათის დაგვიანებით დაიწყო, რადგან თეატრს შუქი გამოურთეს. „გორდა“ კი მაინც მერიის იმედზეა, სჯერათ რუსთაველებს.

**ბაადურ(?) ძვანტალიანი**

საქართველოს ჩემპიონატი 14 — პირველი ლიგა — პირველი ეტაპი

მეექვსე ტური

6 ოქტომბერი

მერცხალი — მცხეთა 1:1; ლაზიკა — ივერია 2:1; თსუ — სამტრედია 1:0; ჭაბუკთა ნაკრები — ცხინვალი გადაიდო

7 ოქტომბერი

გურია — დინამო 2 2:1; ქობულეთი — ლოკომოტივი 2 1:0; ალაზანი — ხობი 2:2; ლოკო — სამგურალი 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მერცხალი | 6 | 4 | 2 | 0 | 12:4 | 14 |
| ლაზიკა | 6 | 4 | 2 | 0 | 12:6 | 14 |
| ივერია | 6 | 4 | 1 | 1 | 11:7 | 13 |
| თსუ | 6 | 4 | 0 | 2 | 6:4 | 12 |
| მცხეთა | 5 | 3 | 1 | 1 | 9:3 | 10 |
| ცხინვალი | 5 | 3 | 1 | 1 | 8:2 | 10 |
| გურია | 6 | 3 | 1 | 2 | 5:6 | 10 |
| ქობულეთი | 6 | 3 | 0 | 3 | 4:5 | 9 |
| სამგურალი | 6 | 1 | 4 | 1 | 6:7 | 7 |
| ჭაბუკთა ნაკრები | 5 | 2 | 0 | 3 | 11:9 | 6 |
| სამტრედია | 6 | 2 | 0 | 4 | 5:8 | 6 |
| ლოკომოტივი 2 | 5 | 1 | 2 | 2 | 3:4 | 5 |
| დინამო 2 | 6 | 1 | 1 | 4 | 6:10 | 4 |
| ლოკო | 6 | 1 | 1 | 4 | 4:9 | 4 |
| ხობი | 6 | 0 | 2 | 4 | 2:10 | 2 |
| ალაზანი | 6 | 0 | 2 | 4 | 5:15 | 2 |

საქართველოს ჩემპიონატი 14 — რეგიონული ლიგა — პირველი წრე

აღმოსავლეთი

მესამე ტური

5 ოქტომბერი

სიონი 2 — კახეთი 3:1; ჰერეთი — შავნაბადა 3:1; ნორჩი დინამოელი — სამგორი 3:0; მაუდი — ერთობა 8:0; გორდა 2 — დინამო 2 (სოხ.) 2:0; ზოოვეტი — დინამო 3 2:2; პოლიციის აკადემია — კრწანისი 1:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამოელი | 3 | 3 | 0 | 0 | 11:0 | 9 |
| ჰერეთი | 3 | 3 | 0 | 0 | 12:2 | 9 |
| სიონი 2 | 3 | 2 | 1 | 0 | 9:1 | 7 |
| ზოოვეტი | 3 | 2 | 1 | 0 | 7:3 | 7 |
| მაუდი | 3 | 2 | 0 | 1 | 10:3 | 6 |
| გორდა 2 | 3 | 2 | 0 | 1 | 5:5 | 6 |
| დინამო 3 | 3 | 1 | 1 | 1 | 8:4 | 4 |
| კახეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:4 | 4 |
| კრწანისი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:5 | 3 |
| დინამო 2 (სოხ.) | 3 | 1 | 0 | 2 | 2:7 | 3 |
| შავნაბადა | 3 | 0 | 2 | 1 | 2:4 | 2 |
| პოლ. აკადემია | 3 | 0 | 0 | 3 | 2:8 | 0 |
| სამგორი | 3 | 0 | 0 | 3 | 1:11 | 0 |
| ერთობა | 3 | 0 | 0 | 3 | 0:18 | 0 |

ცენტრალური

მეოთხე ტური

4 ოქტომბერი

მესხეთი — ლიახვი 3:0; მცხეთა 2 — დილა 2 5:1; ცხინვალი 2 — ოლიმპი 3:1; ყაზბეგი — ვარძია 8:1; ცხუმი — ვიტ ჯორჯია 2 0:1; ვაკე 91 — თორი ჩაიშალა

5 ოქტომბერი

პრემა — ფეხბურთის აკადემია 2:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიტ ჯორჯია 2 | 4 | 3 | 1 | 0 | 8:2 | 10 |
| ფეხბ. აკადემია | 4 | 2 | 2 | 0 | 9:5 | 8 |
| მცხეთა 2 | 4 | 2 | 2 | 0 | 8:3 | 8 |
| მესხეთი | 4 | 2 | 2 | 0 | 7:2 | 8 |
| ვაკე 91 | 3 | 2 | 0 | 1 | 9:3 | 6 |
| ცხინვალი 2 | 4 | 2 | 0 | 2 | 5:7 | 6 |
| ყაზბეგი | 3 | 1 | 2 | 0 | 9:2 | 5 |
| თორი | 3 | 1 | 2 | 0 | 9:3 | 5 |
| პრემა | 4 | 1 | 1 | 2 | 6:6 | 4 |
| ლიახვი | 4 | 1 | 1 | 2 | 5:11 | 4 |
| ცხუმი | 3 | 1 | 0 | 2 | 1:3 | 3 |
| ოლიმპი | 4 | 1 | 0 | 3 | 2:6 | 3 |
| ვარძია | 4 | 0 | 1 | 3 | 2:15 | 1 |
| დილა 2 | 4 | 0 | 0 | 4 | 4:16 | 0 |

დასავლეთი

მეოთხე ტური

2 ოქტომბერი

შევარდენი — ოდიში 2002 0:2; სულორი — სსუ 2:1; სქური — ბათუმი 2 2:1; სალხინო — მადაროელი 1:2; კოლხეთი 2 — მეშახტე 0:1; ლუკა — რაჭა 1:0; დინამო (ზუგ.) — ჩიხურა 1:3; ინტერი — დინამო (სოხ.) 0:0-ზე უამინდობის გამო მეორე ტაიმში შეწყდა

მეხუთე ტური

6 ოქტომბერი

ჩიხურა — შევარდენი 1:0; რაჭა — დინამო (ზუგ.) 8:1; მეშახტე — ლუკა 3:1; მადაროელი — კოლხეთი 2 1:1; ბათუმი 2 — სალხინო 2:0; სსუ — სქური 0:0

7 ოქტომბერი

დინამო (სოხ.) — სულორი 1:3; ოდიში 2002 — ინტერი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩიხურა | 5 | 5 | 0 | 0 | 18:3 | 15 |
| ოდიში 2002 | 5 | 4 | 1 | 0 | 10:4 | 13 |
| მეშახტე | 5 | 4 | 0 | 1 | 7:5 | 12 |
| მადაროელი | 5 | 3 | 2 | 0 | 10:6 | 11 |
| ლუკა | 5 | 3 | 0 | 2 | 6:7 | 9 |
| სულორი | 5 | 2 | 1 | 2 | 7:6 | 7 |
| სქური | 4 | 2 | 1 | 1 | 6:5 | 7 |
| რაჭა | 4 | 2 | 0 | 2 | 11:5 | 6 |
| ბათუმი 2 | 5 | 2 | 0 | 3 | 6:7 | 6 |
| დინამო (ზუგ.) | 5 | 2 | 0 | 3 | 8:14 | 6 |
| ინტერი | 4 | 1 | 2 | 1 | 5:4 | 5 |
| სალხინო | 5 | 1 | 0 | 4 | 7:14 | 3 |
| შევარდენი | 5 | 1 | 0 | 4 | 3:10 | 3 |
| სსუ | 4 | 0 | 2 | 2 | 3:6 | 2 |
| კოლხეთი 2 | 5 | 0 | 1 | 4 | 2:10 | 1 |
| დინამო (სოხ.) | 3 | 0 | 0 | 3 | 2:6 | 0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა



პოლ სქოულზმა „ევერტონის“ ნაქები დაცვა ბოლოსკენ მაინც გაარღვია

# ოლდ ტრეფორდმა გრძნობა დაიბრუნა

**ინგლისი**

**პრემიერლიგა. IX ტური**

**მანჩესტერი 3:0 ევერტონი**

1:0 სქოულზი (86), 2:0 ვან ნისტელროი (88პ), 3:0 სქოულზი (90)

მანჩესტერი: ბარტეზი, გ. ნევილი, ბლანი, ოში, სილვესტრი, ბექემი, ვერონი (სოლსკიაერი 63), ბათი (ფორლანი 85), სქოულზი, გიგზი, ვან ნისტელროი (ფ. ნევილი 90)

მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი

ევერტონი: რ. რაიტი, ჰაიბერტი, ვეირი, იობო, ანსუორთი, კარსლი, ტიე, გრავესენი, პემბრიჯი, ა. კემბელი, რადძინსკი (რონი 74)

მწვრთნელი: დევიდ მოიესი

გაფრთხილება: ანსუორთი, გრავესენი

გაძევება: ვეირი (90)

მსაჯი: რაილი

67 629 მაყურებელი

„მანჩესტერ იუნაიტედმა“ ძველი დრო გაიხსენა მატჩში, რომელიც აშკარად უგოლო ფრისკენ მიდიოდა 87-ე წუთამდე და 3:0 კი მოიგო. „ევერტონმა“, ბოლო სამი წუთის გამოკლებით, მშვენიერი დაცვა და კონტრშეტევის უნარი აჩვენა.

„ევერტონმა“ მეოთხე გასვლითი შეხვედრა წააგო, „მანჩესტერმა“ კი წლევანდელ საპრემიერლიგო თამაშებში პირველად გაიტანა „ოლდ ტრეფორდზე“ ერთზე მეტი გოლი.

მთელი მატჩის განმავლობაში „მანჩესტერს“ ბურთი ეჭირა, მაგრამ სტუმართა მეკარე რაიტს იშვიათად აწუხებდა. სიმწვავემ მას შემდეგ იმატა, რაც მოედანზე ოლე გუნარ სოლსკიაერი შევიდა, თუმცა, სამიზნე ამანაც ვერ გაასწორა. ისიც უნდა ითქვას, რომ ბოლო ოცდახუთ წუთში მასპინძლებმა ტემპს უმატეს და ნამდვილი შტურმიც მოაწყვეს, რამაც საბოლოოდ გატეხა კიდეც სტუმრები.

პოლ სქოულზმა კარის წინიდან შეჩხირა ბურთი და ამან „ევერტონს“ ხელი ჩააქნევინა, რასაც კაპიტან დევიდ ვეირის მიერ საჯარიმოში სოლსკიაერის მაისურის შემოხევა, წითელი ბარათი და რუუდ ვან ნისტელროის ზუსტი პენალტი მოჰყვა. მსაჯმა ორი წუთი კიდევ დაამატა და სტუმართა მორღვეულ დაცვას კვლავ სქოულზმა გაუჩალიჩა: შორეული დარტყმით, ზედა ძელიდან ასხლეტილი ბურთი ხაზს იქით ჩავარდა. ტრავმის შემდეგ გამოსულმა სქოულზმა ორ თამაშში მესამე გოლი გაიტანა, „მანჩესტერმა“ კი სუნთქვა არ აირია და ლიდერების დევნას განაგრძობს.

„დიდებული ფეხბურთი იყო. ამ სტადიონზე კარგა ხანია, ამდენი გრძნობა არ ყოფილა. არც ასეთი კარგი „ევერტონი“ მინახავს რა ხანია. 3:0 ნამდვილად არ არის ამ თამაშის სამართლიანი შედეგი“ — თქვა ალექს ფერგიუსონმა მატჩის შემდეგ.

„წაგებას არ ვიმსახურებდით“ — ცხადია ასეთი იყო სტუმართა მენეჯერის, დევიდ მოიესის სიტყვები.

**ირაკლი გამყრელიძე**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 9 | 7 | 2 | 0 | 24:9 | 23 |
| ლივერპული | 9 | 6 | 3 | 0 | 19:8 | 21 |
| მიდლსბრო | 9 | 5 | 2 | 2 | 13:5 | 17 |
| მანჩესტერი | 9 | 5 | 2 | 2 | 12:6 | 17 |
| ტოტენჰემი | 9 | 5 | 1 | 3 | 13:13 | 16 |
| ფულემი | 8 | 4 | 2 | 2 | 13:8 | 14 |
| ჩელსი | 9 | 3 | 4 | 2 | 15:12 | 13 |
| ნიუკასლი | 8 | 4 | 1 | 3 | 12:9 | 13 |
| ლიდსი | 9 | 4 | 1 | 4 | 11:9 | 13 |
| ბლექბერნი | 9 | 3 | 3 | 3 | 11:10 | 12 |
| ბირმინგემი | 9 | 3 | 2 | 4 | 10:11 | 11 |
| ევერტონი | 9 | 3 | 2 | 4 | 11:14 | 11 |
| საუთჰემპტონი | 9 | 2 | 4 | 3 | 6:8 | 10 |
| ასტონ ვილა | 9 | 3 | 1 | 5 | 6:9 | 10 |
| ვესტ ბრომვიჩი | 9 | 3 | 0 | 6 | 7:15 | 9 |
| სიტი | 9 | 2 | 2 | 5 | 7:14 | 8 |
| სანდერლენდი | 9 | 2 | 2 | 5 | 4:13 | 8 |
| ბოლტონი | 8 | 2 | 1 | 5 | 8:14 | 7 |
| ჩარლტონი | 9 | 2 | 1 | 6 | 7:14 | 7 |
| ვესტ ჰემი | 8 | 1 | 2 | 5 | 8:16 | 5 |



# ახლოა ნიშნული

## ალან შირერი მესამასე გოლისთვის ემზადება

**ალან შირერი**, ეს მართლა უბერებელი, ახლოა თავის მესამე გოლთან სალიგო და სათასო თამაშებში.

მალე თამაში „ივუდ პარკზე“, მისი ძველი კლუბის „ბლექბერნის“ წინააღმდეგ, სადაც ნიუკასლელთა კაპიტანი თავისას შეეცდება.

„ბლექბერნი“ იმავდროულად მისი წარსულის დიადი ფურცელიცაა. ალანი 1995 წელს ამ გუნდთან ერთად გახდა ინგლისის ჩემპიონი. იმ სეზონში მან 34 გოლი გაიტანა. საერთოდ კი ლანკაშირელთა თეთრ-ლურჯ სამოსში გამოწყობილმა შირერმა 130-ჯერ დალაშქრა მოწინააღმდეგეთა კარი და 1996 წელს გადავიდა თავისი მშობლიური ქალაქის, ნიუკასლის კლუბში, იმ დროისთვის მსოფლიოს სარეკორდო ტრანსფერით, 15 მილიონ გირვანქად. იმხანად შირერი მსოფლიო ვარსკვლავი იყო და ასე განსაჯეთ, ევროპის საუკეთესო ფეხბურთელადაც კი შეეძლო გახდომა იურგენ კლინსმანსა და ჟორჟ ვეასთან ჭიდილში. „კარგია, რომ სწორედ ბლექბერნში შემიძლია მესამასე გოლის გატანა, რადგან ჩემი მეგოლეობა სწორედ „ბლექბერნში“ დაიწყო“ — თქვა შირერმა, რომელიც ახლა ვარჯიშსა და გოლფით გართობას უთავსებს ერთმანეთს.

ეგებ ალანს ადრეც უნდა დაეძლია სამასიანი ნიშნული, მაგრამ ორმა უმძიმესმა ტრავმამ მისი კარიერა დაბლანდა. შირერი, ნაკრების კაპიტანი, თავად გამოეთხოვა ეროვნულ გუნდს ბოლო ევროპის ჩემპიონატის შემდეგ და საკლუბო ფეხბურთელად დარჩა. ისიც სათქმელია, რომ შირერი როგორლაც ადრე გამოიტირეს როგორც დიდი ფორვარდი, თუმცა, შარშანდელმა სეზონმა დაადასტურა, რომ დიდი ფეხბურთელი არ წამხდარა.

წლევანდელი სეზონი მძიმედ დაიწყო: ევროპულ სარბიელზე „ნიუკასლმა“ 3 თამაში წააგო, პრემიერლიგაშიც ამდენივე.

„ჩვენ 24 დღეში რვა თამაში მოგვიწია. ესე იგი, სამ დღეში ერთხელ ვთამაშობდით. კი, კარგად გვიხდიან, მაგრამ ათ გირვანქას გიხდიან, თუ ათი ათასს, დაღლილობას არ შველის“, ამბობს ალანი.

ამ სეზონში შირერმა ექვსი გოლი გაიტანა, რაგინდარა შეჯიბრებებში. აქედან ორი გასულ შაბათს, „ვესტ ბრომვიჩის“ კარში.

ნამდვილ მეგოლედ დაბადებულ ამ კაცს კვლავ სურს გაიტანოს, ეს ხომ მისი პროფესიაა. რომ შეხედო, პრემიერლიგის რამდენიმე ბურჯიდან ერთ-ერთი სწორედ ალან შირერია.

**ირაკლი გამყრელიძე**

# რიდის რიდი გვაქვს, მაგრამო...



**პიტერ რიდი**, პრემიერლიგის ყველაზე ყიამყრალი მწვრთნელი, უმუშევარია. აბა, „არსენალთან“ ვის არ წაუგია, მაგრამ საკვირაო 1:3 „პაიბერიზე“ სანდერლენდელი ბოსებისთვის საკმარისი საბაბი გამოდგა. დაშორება მშვიდობიანად მოხდა: რიდი გათავისუფლებას იქამდეც ელოდა და პროტესტი არ გამოუთქვამს, მით უმეტეს, რომ მალე საკომპენსაციო თანხას, 1,5 მილიონ გირვანქას ჩაიჯიბავს.

„შავი კატების“ თავმჯდომარის ბობ მურეის ეს ნაბიჯი ნამდვილად დროული გახლდათ — ინგლისის ნაკრების ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩის გამო პრემიერლიგა 11 დღით ისვენებს, ეს კი ახალი მწვრთნელის მოსაძებნად საკმარისი დროა. კანდიდატები ბევრია, თუმცა, როცა დევიდ ოლირი უსაქმოდაა, ცხადია, უკეთესი კანდიდატურის ძებნა უაზრობაა. თავად „ლიდსის“ ექს-თავკაცმა არ დამალა, რომ დღე-დღეზე სატელეფონო ზარს ელის: ვწუხვარ პიტერის გათავისუფლების გამო, მაგრამ ახლა უმუშევარი ვარ და ნებისმიერ მისაღებ წინადადებას განვიხილავო.

ისე, უქმად „ლიდსის“ კიდევ ერთი ყოფილი მწვრთნელი ჯორჯ გრემიცაა და ის ინგლისელი ბუქმეიკერების მიერ შედგენილ სიაში მეორე ფავორიტია. ამ სიაში კიდევ რამდენიმე კაცს შეხვდებით, მათ შორის „სანდერლენდის“ თავდამსხმელს, ირლანდიელ ვეტერან ნაილ ქუინს.

რაც შეეხება პიტერ რიდისა და „სანდერლენდის“ 7-ნახევარ წლიან ურთიერთობას, აუცილებლად უნდა გავიხსენოთ, რომ სწორედ „ბოლტონის“, „ევერტონისა“ და „მანჩესტერ სიტის“ ყოფილმა ნახევარმცველმა ალაზევა კლუბი პრემიერლიგაში, თუმცა იქ მეშვიდე ადგილს ვერ ასცდა, შარშანდელი შობის მერე კი ლიგაში ოლენ ხუთი მატჩი მოიგო და ამ ყველაფერმა ლოგიკური დასასრული კვირას „პაიბერიზე“ ჰპოვა.

ბოლოს კი, მკითხველი რომ არ დაბნეს, სულ თავში ნახსენებ რიდის ყიამყრალობასაც დავუბრუნდებით: სამიოდ წლის წინ BBC-ის ტელეკამერებმა დააფიქსირეს, რომ შესვენებაზე, საკუთარი ფეხბურთელების დამოძღვრისას პიტერ რიდმა 1 წუთში 46(!) უწმაწური სიტყვის თქმა მოახერხა.

**გიგა ძოგახიძე**

# მერე რა, რომ შავი ვარ

**ინგლისური** კლუბების შავკანიან ფეხბურთელებს ევროთასებზე სტუმრად შავი დღე აყარეს. ასე მაგალითად, ჩემპიონთა ლიგაში „არსენალი“, რომელიც შავკანიანთა სიმრავლით გამოირჩევა, ჰოლანდიაში „შეამკეს“. უეფას თასზე, იუგოსლავიაში, არც იფსვიჩელებისთვის დაუკლიათ შეურაცხმყოფელი სიტყვები.

მართალია, ნაგინებ გუნდებში „ნიუკასლი“ არ ერია, მაგრამ „კაჭკაჭთა“ ნახევარმცველ კირონ დაიერს თანამოძმეთა რასისტული შეურაცხყოფა მაინც გულზე მოხვედრია. „ეს უკვე იმ დონემდე მივიდა, რომ ზოგიერთმა ფეხბურთელმა შეიძლება მოედანზე გასვლაც კი არ ისურვოს. ძალიან ძნელია ფეხბურთზე იფიქრო, როცა ტრიბუნებიდან უკანასკნელი სიტყვებით გლანძღავენ. მაგალითად, მე რომ ასეთი რამ შემემთხვეს, ალბათ სათამაშო პოტენციალის ათ პროცენტს მაინც დავკარგავ“ — განაცხადა დაიერმა. მისი თქმით, თუ ასე გაგრძელდება, რასისტულმა შეურაცხყოფამ შესაძლოა, შავკანიან ფეხბურთელთა გაფიცვაც კი გამოიწვიოს.

„რასისტული ხასიათის შეძახილებისთვის ხალხი უნდა დაისაჯოს“ — თქვა ნიუკასლელმა.

თავის მხრივ უეფამ ზემოთ აღნიშნული ინციდენტების თაობაზე გამოძიება უკვე დაიწყო და, ოფიციალური პირების თქმით, ის კლუბები, ვისმა ფანებმაც ამ საქმეში თავი გამოიჩინა, სათანადოდ დაისჯებიან.

**სერგი ძორიძე**

სარბიელი
სამუშაოდ იწვევს
გაზეთში ნამუშევარ დამკაბადონებელს
მიღება მოხდება შერჩევით
მსურველებმა მოგვაკითხეთ „სარბიელის“ რედაქციაში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული, 15-დან 18 საათამდე.
ცნობებისთვის დარეკეთ 39-48-29, 38-11-14

# კალჩოს კაცები

იტალიამ წინა სეზონის საუკეთესოთა გამოსავლენად და დასაჯილდოვებლად მოიცალა. „კალჩოს" მოყვარულების რჩეულთა ნუსხას ჩვენც სიამოვნებით წარმოგიდგენთ.

| | |
|---|---|
| საუკეთესო მეკარე: ჯანლუიჯი ბუფონი | იუვენტუსი |
| საუკეთესო მცველი: ალესანდრო ნესტა | მილანი |
| საუკეთესო ნახევარმცველი: რობერტო ბაჯო | ბრეშა |
| საუკეთესო თავდამსხმელი: კრისტიან ვიერი | ინტერი |
| საუკეთესო უცხოელი: დავიდ ტრეზეგე | იუვენტუსი |
| ტიფოზთა საყვარელი მოთამაშე: რობერტო ბაჯო | |
| საუკეთესო მსაჯი: პიერლუიჯი კოლინა | |
| საუკეთესო მწვრთნელი: ლუიჯი დელ ნერი | კიევო |

## ფინეთი

### პლეი ოფი

26-ე ტური: ინტერი — ჰიკ 0:1; ლაჰტი — ჰაკა 0:1; იარო — ტამპერე 3:1; ალიანსი — მიუპა 0:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰიკ | 26 | 19 | 3 | 4 | 47:18 | 60 |
| მიუპა | 26 | 15 | 8 | 3 | 49:20 | 53 |
| ჰაკა | 26 | 14 | 6 | 6 | 43:22 | 48 |
| ალიანსი | 26 | 11 | 4 | 11 | 37:42 | 37 |
| იარო | 26 | 10 | 5 | 11 | 31:40 | 35 |
| ტამპერე | 26 | 7 | 13 | 6 | 27:22 | 34 |
| ინტერი | 26 | 8 | 8 | 10 | 30:26 | 32 |
| ლაჰტი | 26 | 9 | 5 | 12 | 24:40 | 32 |

### პლეი აუტი

30-ე ტური: კტპ — ჰამენლინა 2:0; ჯაზი — ოიკერიტი 2:0; ტპს — ვაასა 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტპს | 5 | 3 | 2 | 0 | 7:4 | 12 |
| კუოპიო | 5 | 2 | 1 | 2 | 7:4 | 10 |
| კტპ | 5 | 2 | 2 | 1 | 8:6 | 9 |
| ჰამენლინა | 5 | 2 | 0 | 3 | 5:7 | 8 |
| ვაასა | 5 | 2 | 1 | 2 | 5:8 | 8 |
| ოიკერიტი | 4 | 2 | 1 | 1 | 10:8 | 7 |
| ტპ-47 | 5 | 1 | 1 | 3 | 3:6 | 4 |
| ჯაზი | 4 | 0 | 2 | 2 | 2:4 | 2 |

## ჩეხეთი

30-ე ტური: პრაღის კრალოვი — სპარტა 0:2; სლავია — ლიბერეცი 1:0; თეპლიცე — სინოტი 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტა | 9 | 6 | 3 | 0 | 15:3 | 21 |
| სლავია | 9 | 5 | 3 | 1 | 18:7 | 18 |
| ლიბერეცი | 9 | 5 | 2 | 2 | 14:8 | 17 |
| ბანიკი | 9 | 5 | 1 | 3 | 14:10 | 16 |
| იაბლონეცი | 9 | 4 | 4 | 1 | 12:10 | 16 |
| ჟიჟკოვი | 9 | 4 | 3 | 2 | 12:9 | 15 |
| ბლშანი | 9 | 3 | 3 | 3 | 8:8 | 12 |
| პრჟიბრამი | 9 | 3 | 3 | 3 | 6:6 | 12 |
| ტეპლიცე | 9 | 4 | 0 | 5 | 11:15 | 12 |
| სიგმა | 9 | 2 | 4 | 3 | 10:9 | 10 |
| ბრნო | 9 | 3 | 1 | 5 | 11:13 | 10 |
| ზლინი | 9 | 2 | 4 | 3 | 9:13 | 10 |
| ბოჰემიანსი | 9 | 2 | 2 | 5 | 13:18 | 8 |
| სინოტი | 9 | 2 | 2 | 5 | 7:13 | 8 |
| ბუდეიოვიცე | 9 | 2 | 0 | 7 | 9:21 | 6 |
| ჰრადეც კრალოვე | 9 | 0 | 5 | 4 | 6:12 | 5 |

## ნორვეგია

24-ე ტური: ვიკინგი — ოდ გრენლანდი 0:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| როზენბორგი | 24 | 16 | 4 | 4 | 51:28 | 52 |
| მოლდე | 24 | 15 | 4 | 5 | 43:19 | 49 |
| ლინი | 24 | 14 | 4 | 6 | 35:27 | 46 |
| ვიკინგი | 24 | 10 | 10 | 4 | 42:30 | 40 |
| ოდ გრენლანდი | 24 | 12 | 4 | 8 | 35:26 | 40 |
| სტაბეკი | 24 | 10 | 6 | 8 | 37:30 | 36 |
| ლილესტრომი | 24 | 8 | 6 | 10 | 32:29 | 30 |
| ვოლერენგა | 24 | 6 | 11 | 7 | 32:29 | 29 |
| ბრინი | 24 | 8 | 5 | 11 | 35:36 | 29 |
| სოგნდალი | 24 | 8 | 4 | 12 | 32:46 | 28 |
| ბრანი | 24 | 8 | 3 | 13 | 34:46 | 27 |
| ბოდო გლიმტი | 24 | 7 | 4 | 13 | 33:41 | 25 |
| მოსი | 24 | 6 | 6 | 12 | 30:40 | 24 |
| სტარტი | 24 | 2 | 5 | 17 | 21:65 | 11 |

## პორტუგალია

### I ლიგა. VI ტური

**სპორტინგი 3:0 მორეირენსე**

1:0 კუტუზოვი (30), 2:0, 3:0 ჟ. რონალდუ (34, 90)
გაძევება: ჟ. ფერეირა (90, მორეირენსე)

**ბეირა მარი 1:1 პორტუ**

0:1 დერლეი სილვა (11), 1:1 რიკარდუ სოუზა (64)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 6 | 4 | 2 | 0 | 10:4 | 14 |
| ბენფიკა | 6 | 4 | 1 | 1 | 12:5 | 13 |
| გიმარაეში | 6 | 4 | 1 | 1 | 14:8 | 13 |
| ბელენენსეში | 6 | 4 | 1 | 1 | 11:7 | 13 |
| ფერეირა | 6 | 3 | 1 | 2 | 11:5 | 10 |
| ბრაგა | 6 | 3 | 1 | 2 | 9:8 | 10 |
| სპორტინგი | 6 | 3 | 1 | 2 | 9:9 | 10 |
| სეტუბალი | 6 | 2 | 3 | 1 | 10:5 | 9 |
| ნასიონალი | 6 | 2 | 1 | 3 | 5:5 | 7 |
| ვარზიმი | 5 | 2 | 1 | 2 | 4:5 | 7 |
| ბოავიშტა | 5 | 2 | 1 | 2 | 4:5 | 7 |
| სანტა კლარა | 6 | 2 | 1 | 3 | 8:11 | 7 |
| მარიტიმუ | 6 | 2 | 1 | 3 | 4:10 | 7 |
| ლეირია | 6 | 2 | 0 | 4 | 5:9 | 6 |
| ჟილ ვისენტე | 6 | 1 | 2 | 3 | 6:10 | 5 |
| ბეირა მარი | 6 | 1 | 2 | 3 | 4:8 | 5 |
| მორეირენსე | 6 | 1 | 0 | 5 | 6:12 | 3 |
| აკადემიკა | 6 | 0 | 2 | 4 | 4:10 | 2 |

## შვედეთი

23-ე ტური: იურგორდენი — ჰამარბი 2:1; ელფსბორგი — კალმარი 1:0; გოთებორგი — ჰელსინგბორგი 0:1; ოორებრო — აიკ 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იურგორდენი | 23 | 13 | 4 | 6 | 46:32 | 43 |
| მალმიო | 23 | 13 | 3 | 7 | 47:31 | 42 |
| ოორგრიტე | 23 | 11 | 8 | 4 | 46:33 | 41 |
| აიკ | 23 | 8 | 9 | 6 | 32:31 | 33 |
| ჰელსინგბორგი | 23 | 9 | 6 | 8 | 35:37 | 33 |
| სუნდსვალი | 23 | 8 | 8 | 7 | 26:30 | 32 |
| ოორებრო | 23 | 8 | 7 | 8 | 27:33 | 31 |
| ელფსბორგი | 23 | 8 | 6 | 9 | 25:29 | 30 |
| ლანდსკრონა | 23 | 8 | 5 | 10 | 39:35 | 29 |
| ჰალმსტადი | 23 | 5 | 12 | 6 | 27:28 | 27 |
| ჰამარბი | 23 | 6 | 8 | 9 | 37:38 | 26 |
| ნორჩიოპინგი | 23 | 6 | 7 | 10 | 33:34 | 25 |
| გოთებორგი | 23 | 7 | 3 | 13 | 24:37 | 24 |
| კალმარი | 23 | 5 | 6 | 12 | 18:34 | 21 |

## გერმანია

### II ბუნდესლიგა. VIII ტური

**კიოლნი 7:0 უნიონი**

1:0 ჩიკონი (1), 2:0, 3:0 კრინგსი (4, 9), 4:0 ლოტნერი (43), 5:0 შერცი (61), 6:0 ლოტნერი (77), 7:0 კურტი (85)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფრაიბურგი | 8 | 6 | 1 | 1 | 16:5 | 19 |
| კიოლნი | 8 | 5 | 3 | 0 | 18:7 | 18 |
| ლიუბეკი | 8 | 5 | 0 | 3 | 18:9 | 15 |
| ტრიერი | 8 | 5 | 0 | 3 | 17:9 | 15 |
| აინტრახტი | 8 | 5 | 0 | 3 | 14:7 | 15 |
| ობერჰაუზენი | 8 | 4 | 2 | 2 | 8:4 | 14 |
| მაინცი | 8 | 4 | 1 | 3 | 11:7 | 13 |
| ბურგჰაუზენი | 8 | 3 | 3 | 2 | 13:10 | 12 |
| ფიურტი | 8 | 3 | 3 | 2 | 10:7 | 12 |
| როიტლინგენი | 8 | 4 | 0 | 4 | 13:15 | 12 |
| უნიონი | 8 | 3 | 2 | 3 | 9:18 | 11 |
| ალემანია | 8 | 2 | 4 | 2 | 9:10 | 10 |
| ალენი | 8 | 2 | 3 | 3 | 12:12 | 9 |
| დუისბურგი | 8 | 2 | 3 | 3 | 11:14 | 9 |
| ზანქტ პაული | 8 | 2 | 1 | 5 | 16:25 | 7 |
| ბრაუნშვაიგი | 8 | 1 | 1 | 6 | 9:23 | 4 |
| კარლსრუე | 8 | 0 | 3 | 5 | 4:13 | 3 |
| ვალდჰოფი | 8 | 1 | 0 | 7 | 9:22 | 3 |

## პოლონეთი

30-ე ტური: ლეგია — პოლონია 4:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვისლა | 9 | 5 | 3 | 1 | 23:11 | 18 |
| ოდრა | 9 | 5 | 3 | 1 | 13:10 | 18 |
| ლეგია | 9 | 4 | 5 | 0 | 17:11 | 17 |
| კატოვიცე | 9 | 5 | 2 | 2 | 11:5 | 17 |
| გურნიკი | 9 | 4 | 2 | 3 | 18:13 | 14 |
| ამიცა | 9 | 3 | 5 | 1 | 10:8 | 14 |
| გროცლინი | 9 | 3 | 4 | 2 | 12:13 | 13 |
| პლოცკი | 9 | 3 | 3 | 3 | 11:11 | 12 |
| პოლონია | 9 | 3 | 2 | 4 | 13:16 | 11 |
| ვიძევი | 9 | 2 | 4 | 3 | 10:10 | 10 |
| რუხი | 9 | 2 | 4 | 3 | 8:11 | 10 |
| გარბანია | 9 | 2 | 3 | 4 | 13:18 | 9 |
| ლეხი | 9 | 1 | 5 | 3 | 9:10 | 8 |
| ოსტროვეცი | 9 | 2 | 2 | 5 | 9:16 | 8 |
| ზაგლემბე | 9 | 2 | 1 | 6 | 11:13 | 7 |
| პოგონი | 9 | 1 | 2 | 6 | 7:19 | 5 |


სპეციალიზირებული სალონ-მაღაზია
**ბილიარდის მაგიდები** რუსული პირამიდა, პული, სნუკერი
**აქსესუარები**
1000 მეტი დასახელება
კიები, ბურთები, ნათურები მსოფლიოში ნამყვანი მწარმოებლებისაგან,
ინდივიდუალური მიდგომა, ხელსაყრელი პირობები და შეღავათები, გარანტია

Zeus ზევსი
Biljardai
Tilen ტიტანი მასტერი
Master
saluc
☎ 95-57-75, 95-88-46
ქ. თბილისი, უზნაძის ქ. 2


# უეფას თასი 2002–2003

## მეორე ეტაპის წილისყრა

| | | |
|---|---|---|
| ფენერბაჰჩე (თურქეთი) | – | პანათინაიკოსი (საბერძნეთი) |
| მალაგა (ესპანეთი) | – | ამიცა (პოლონეთი) |
| ლაციო (იტალია) | – | ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) |
| იფსვიჩი (ინგლისი) | – | ლიბერეცი (ჩეხეთი) |
| ფერენცვაროში (უნგრეთი) | – | შტუტგარტი (გერმანია) |
| ბოავიშტა (პორტუგალია) | – | ანართოსისი (კვიპროსი) |
| დინამო (ხორვატია) | – | ფულემი (ინგლისი) |
| პარმა (იტალია) | – | ვისლა (პოლონეთი) |
| ანდერლეხტი (ბელგია) | – | მიდტიულანდი (დანია) |
| პარტიზანი (იუგოსლავია) | – | სლავია (ჩეხეთი) |
| აპოელი (კვიპროსი) | – | ჰერტა (გერმანია) |
| ალავესი (ესპანეთი) | – | ბეშიქთაში (თურქეთი) |
| ლეგია (პოლონეთი) | – | შალკე (გერმანია) |
| შტურმი (ავსტრია) | – | ლევსკი (ბულგარეთი) |
| პაოკ (საბერძნეთი) | – | გრასჰოპერი (შვეიცარია) |
| იურგორდენი (შვედეთი) | – | ბორდო (საფრანგეთი) |
| ჟიჟკოვი (ჩეხეთი) | – | ბეტისი (ესპანეთი) |
| ლიდსი (ინგლისი) | – | ჰაპოელი (თელ ავივი, ისრაელი) |
| აუსტრია (ავსტრია) | – | პორტუ (პორტუგალია) |
| სპარტა (ჩეხეთი) | – | დენიზლისპორი (თურქეთი) |
| ნაციონალი (რუმინეთი) | – | პსჟ (საფრანგეთი) |
| სელტიკი (შოტლანდია) | – | ბლექბერნი (ინგლისი) |
| ვიტესი (ჰოლანდია) | – | ვერდერი (გერმანია) |
| სელტა (ესპანეთი) | – | ვიკინგი (ნორვეგია) |

I მატჩები – 31 ოქტომბერი, საპასუხოები – 14 ნოემბერი

# ზოროს ბუცები

## ბობანმა მსოფლიო შეყარა

ორშაბათს ზაგრებში ისეთი ბიჭები შეიკრიბენ, კაცი იტყოდა, თვალი მომცა და მაყურებინაო.

ამის მიზეზი ზვონიმირ ბობანის ფეხბურთიდან წასვლა გახლდათ. ხორვატმა ბუცები ჩამოკიდა და გამოსათხოვარი მატჩიც გამართა, რომელშიც ხორვატიის 1998 წლის ნაკრები მსოფლიოს ნაკრებს ებურთავა.

მსოფლიოს გუნდში მოთამაშეთაგან რამდენიმე სახელს გეტყვით: ლოთარ მათეუსი, ფრანკო ბარეზი, ჯუზეპე ბერგომი, ჟან პიერ პაპენი და ჟორჟ ვეა.

ცხადია, მასპინძლებს რობერტ პროსინეჩკი, რობერტ იარნი, იგორ შტიმაცი და ძმანი მათნი წარმოადგენდნენ. მშობლიურ ნაკრებში ჩოგანმცემელმა გორან ივანიშევიჩმაც ითამაშა, რადგან ოდესლაც ფეხბურთელობდა და რომ არა კორტი, ეგებ დიდი ფეხბურთელიც გამხდარიყო.



ზვონიმირ ბობანი ფეხბურთიდან წავიდა, ფერნანდო რედონდო კი დაუბრუნდა



REUTERS ზაგრებიდან

ალსანიშნავი კიდევ ისაა, რომ ორწლიანი იძულებითი შესვენების შემდეგ ფერნანდო რედონდომაც გააგორა ბურთი, თან საკმაო ხანი, 40 წუთი დაჰყო მინდორზე და ჩვეულადაც გაირჯა.

შეხვედრა მსოფლიოს ვარსკვლავთა ნაკრებმა 2:1 მოიგო, ნამატჩევს კი ზვონიმირ ბობანი ყველამ, ვისაც არ ეზარებოდა, აქო და ადიდა.

ფრანკო ბარეზი: „ის დიდებული ფეხბურთელი იყო. მან ბევრი გააკეთა, როგორც ნაკრებისთვის, ისე „მილანისთვის".

ჟორჟ ვეა: „დასანანია, რომ „ზორო" მიდის. ასეთი კლასის ფეხბურთელს კიდევ ორი-სამი წელი შეეძლო ეთამაშა. ბედნიერი ვარ, რომ არ დამივიწყა და დამპატიჟა. ის საუკეთესო იყო „მილანში" და ფეხბურთის განვითარებაშიც თავისი წვლილიც შეიტანა."

**გაგა ხუციშვილი**

# 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი



ფრანჩესკო ტოტის საიტალიოდ მუხლმა უმტყუნა

# უშევჩენკო უკრაინა შევჩენკოთი იმუქრება

## რუმინეთი

**ევროპის ჩემპიონატის** საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ ტურში ბოსნიელთა დიდი ანგარიშით მძლეველი რუმინელები შინ დანიელებთან ფრის გამხერხებელ ნორვეგიელებს დაუპირისპირდებიან.

ანგელ იორდანესკუმ შემადგენლობაც დაასახელა და შეგირდებიც უკვე შეკრიბა.

მწვრთნელს „ბეტისის" ცენტრალურ მცველზე იულიან ფილიპესკუზე ეთანაღრება გული. ბეტისელი მარცხენა ფეხს ძველი ტრავმის გამო იტკივებს და მისი სანაკრებოდ მომჯობინება მესამე ტურის თამაშისთვისაც კი სათუოა.

შვიდიდან ხუთი მცველი, რომლებსაც ანგელ იორდანესკუ სკანდინაველებთან მატჩისთვის ზვერავს, ადგილობრივი, რუმინული გუნდებიდან არიან. სამაგიეროდ, ხუთივე თავდამსხმელი ლეგიონერია. ნაკრებს დაუბრუნდა „ნანტის" ფორვარდი ვიორელ მოლდოვანი, რომელსაც თითქოს თანამემამულეებზე გული ჰქონდა აცრუებული და გუნდში აღარ აპირებდა თამაში.

ალბათ ითამაშებს ადრიან ილიეც, რომელმაც ახლახან „ალავესის" მაისურა მოირგო. ანგელ იორდანესკუ ნორვეგიელებთან, ცხადია, მოგებას აპირებს და შემტევი ფეხბურთით იმუქრება.

***მეკარეები:*** ბოგდან სტელია (სალამანკა, ესპანეთი), ბოგდან ვინტილია (ნაციონალი), ემილიან დოლია (რაპიდი);

***მცველები:*** ფლორენტინ დუმიტრუ (სტიაუა), კოზმინ კონტრა (ატლეტიკო, ესპანეთი), კრისტიან კივუ (აიაქსი, ჰოლანდია), გეორგე პოპესკუ (დინამო), იულიან მიუ (სტიაუა), რაზვან რატი (რაპიდი), მირელ რადოი (სტიაუა);

***ნახევარმცველები:*** ფლორინ ჩერნატი (დინამო, უკრაინა), დორინელ მუნტიანუ (ვოლფსბურგი, გერმანია), ტიბერიუ გიოანე (დინამო, უკრაინა), ადრიან მუტუ (პარმა, იტალია), ფლორინ ხოავა (რაპიდი), პოლ კოდრია (ჯენოა, იტალია);

***თავდამსხმელები:*** მარიუს ნიკულაე (სპორტინგი, პორტუგალია), ვიორელ მოლდოვანი (ნანტი, საფრანგეთი), იონელ განია (შტუტგარტი, გერმანია), დანიელ პანჩუ (ბეშიქთაში, თურქეთი), ადრიან ილიე (ალავესი, ესპანეთი)

## ინგლისი

**სვენ გორან ერიკსონის** სლოვაკებთან და მაკედონიელებთან სათამაშო განაცხადში ახალი სახელი გაჩნდა. დევიდ ტომპსონმა შვედის ყურადღება ბოლო დროს „ბლექბერნში" რიგიანი ბურთაობით მიიპყრო: „დევიდის თამაშს ბოლო რამდენიმე კვირის მანძილზე ვაკვირდები და საუკეთესო შთაბეჭდილება დატოვა. ვგრძნობ, დიდი შანსი აქვს, სლოვაკებთან და მაკედონიელებთან მატჩებში თავი გამოიჩინოს" — თქვა ინგლისის ნაკრების დამრიგებელმა.

ტომპსონისთვის მიწვევა მოულოდნელი გახლდათ და ამ სასიამოვნო სიახლეს ბლექბერნელი ნახევარმცველი გარკვეულწილად ტრევორ სინკლერის ტრავმას უნდა უმადლოდეს. დევიდი სწორედ მისი მტკივანი ფეხის გამო მოხვდა განაცხადში.

სვენ გორან ერიკსონი რიო ფერდინანდსაც მოისაკლისებს. მანჩესტერელს მუხლის სასწრაფო ოპერაცია აქვს გასაკეთებელი.

***მეკარეები:*** დევიდ სიმენი (არსენალი), დევიდ ჯეიმსი (ვესტ ჰემი), პოლ რობინსონი (ლიდსი);

*მცველები:* გარი ნევილი (მანჩესტერ იუნაიტედი), უგო ეჰიოგუ (მიდლსბრო), სოლ კემპბელი (არსენალი), ეშლი კოული (არსენალი), დენი მილსი (ლიდსი), ჯონათან ვუდგეიტი (ლიდსი), გარეთ საუთგეიტი (მიდლსბრო), უეინ ბრიჯი (საუთჰემპტონი);

***ნახევარმცველები:*** დევიდ ბექჰემი (მანჩესტერ იუნაიტედი), სტივენ ჯერარდი (ლივერპული), ნიკი ბათი (მანჩესტერ იუნაიტედი), პოლ სქოულზი (მანჩესტერ იუნაიტედი), ტრევორ სინკლერი (ვესტ ჰემი), ფრენკ ლამპარდი (ჩელსი), კირონ დაიერი (ნიუკასლი), ოუენ ჰარგრივსი (ბაიერნი, გერმანია);

***თავდამსხმელები:*** მაიკლ ოუენი (ლივერპული), ემილ ჰესკი (ლივერპული), ალან სმიტი (ლიდსი), დარიუს ვასელი (ასტონ ვილა)

## ბელგია

ბულგარელებთან მარცხის შემდეგ ბელგიელთა ახალი თავკაცი ემე ანტუნესი ექსპერიმენტებს აგრძელებს. მისი დანიშვნიდან დღემდე ბელგიამ ორი მატჩი გამართა. ერთი წააგო, მეორე კი ფრედ დაასრულა. ცხადია, ანტუნესი პირველი გამარჯვებისთვის ემზადება და საამისოდ ანდორა კარგი ლუკმაა.

19-კაციან სიაში სამი ახალწვეულია. როტერდამის „ფეიენოორდიდან" ნახევარმცველ თომას ბუფელს უხმეს, „ბრიუგედან" მცველი ოლივიე დე კოკი მიიწვიეს, ხოლო კერკესდეს „როდადან" — ფორვარდი ტომ სოტერსი.

ემე ანტუნესს კონტრაქტი 2004 წლამდე აქვს გაფორმებული და მისი გახანგრძლივება, ცხადია, ნაკრების შედეგზეა დამოკიდებული.

ძველი გვარდიელებიდან ეროვნულ გუნდს ვეღარ დაეხმარებიან მარკ ვილმოტსი, იონ ვალემი და ბრანკო შტრუპარი, რადგან სანაკრებო კარიერა დაასრულეს, ხოლო ემილ მპენზა და ერიკ დეფლანდრე გუნდს ტრავმების გამო დააკლდებიან.

ანდორის შემდეგ ბელგიის ნაკრები ესტონეთს ეწვევა.

***მეკარეები:*** გერტ დე ფლიგერი (ტილბურგი, ჰოლანდია), ფრედერიკ ერპოლი (გენტი);

***მცველები:*** დანიელ ვან ბუიტენი (მარსელი, საფრანგეთი), ოლივიე დე კოკი (ბრიუგე), დიდიე დედენი (ანდერლეხტი), იოხ ვალგაერენი (სელტიკი, შოტლანდია), პეტერ ვანდერპიდენი (ბრიუგე);

***ნახევარმცველები:*** ვალტერ ბასეჯიო (ანდერლეხტი), თომას ბუფელი (ფეიენოორდი, ჰოლანდია), კოენ დაერდენი (გენკი), გატან ენგლებერტი (ბრიუგე), ბარტ გოორი (ჰერტა, გერმანია), ტიმი სიმონსი (ბრიუგე), ბერნდ ტიისი (გენკი), ივ ვანდერეგე (ანდერლეხტი);

***თავდამსხმელები:*** უესლი სონკი (გენკი), მბო მპენზა (მუსკრონი), ბობ პეეტერსი (ვიტესი, ჰოლანდია), ტომ სოტერსი (როდა, ჰოლანდია)



ემე ანტუნესს წაგება და ფრე აქვს, მოგებას ელოდება

## იტალია

სერია A-ს ოთხ ტურში ექვს-ექვსი გოლის გამტანებს, ფილიპო ინძაგის და ფრანჩესკო ტოტის უელსში გასამართ მატჩში იტალიელთა შემტევი წყვილი უნდა შეექმნათ, თუმცა შესაძლოა, ჯოვანი ტრაპატონის ტრავმამ ტოტი წაჰგვარა. გუშინაც მოგახსენეთ, რომ „უდინეზესთან" მატჩისას „რომას" კაპიტანმა მუხლი იტკინა.

უკვე მეორე კვირაა, იტალიაში ინძაგის ტრავმაზეც საუბრობენ. მაგრამ ფიცი გვწამს, ბოლო გვაკვირვებსო — ფილიპომ „ტორინოსთან" მატჩში ჰეთ თრიკი გააზრხა.

ინძაგის გარდა, დონ ტრაპის ალესანდრო დელ პიეროსა და ვინჩენცო მონტელას იმედი უნდა ჰქონდეს. შესაძლოა, კარდიფის „მილენიუმზე" თავისი შანსი ახალგაზრდა მასიმო მარაცინასაც მიეცეს. „კიევოს" ფორვარდისთვის ეს მეორე სანაკრებო მატჩი იქნება, მისი დებიუტი კი თებერვალში, ამერიკელებთან ამხანაგური მატჩისას შედგა.

***მეკარეები:*** ჯანლუიჯი ბუფონი (იუვენტუსი), კრისტიან აბიატი (მილანი);

***მცველები:*** დანიელე ადანი (ინტერი), ფაბიო კანავარო (ინტერი), ფრანჩესკო კოკო (ინტერი), მატეო ფერარი (პარმა), მარკ იულიანო (იუვენტუსი), ალესანდრო ნესტა (მილანი), კრისტიან პანუჩი (რომა), მასიმო ოდო (ლაციო);

***ნახევარმცველები:*** ლუჩანო ძაური (ატალანტა), მასიმო ამბროზინი (მილანი), ლუიჯი დი ბიაჯო (ინტერი), კრისტიანო დონი (ატალანტა), ჯენარო გატუზო (მილანი), ანდრეა პირლო (მილანი), დამიანო ტომაზი (რომა);

***თავდამსხმელები:*** ფილიპო ინძაგი (მილანი), ალესანდრო დელ პიერო (იუვენტუსი), ვინჩენცო მონტელა (რომა), მასიმო მარაცინა (კიევო)

## უკრაინა

**ლეონიდ ბურიაკმა** ტრავმის მიუხედავად ანდრეი შევჩენკო შემადგენლობაში მაინც შეიყვანა. შეგახსენებთ, რომ შევჩენკო ორი თვის წინ „ლიბერეცთან" მატჩისას დაშავდა და ნოემბრამდე ბურთს ვერ გააგორებს. უკრაინელები ჯერ ბერძნებს უმასპინძლებენ, მერე კი ჩრდილოეთ ირლანდიას ესტუმრებიან.

მწვრთნელმა დნეპროპეტროვსკის „დნიპროს" მცველი სერგეი მატიუკინი დაიმატა და ტოტენჰემელ სერგეი რებროვსაც უხმო. შევჩენკოს გუნდში ყოფნა კი ლეონიდ ბურიაკმა ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ახსნა.

***მეკარეები:*** ვიტალი რევა (დინამო), ნიკოლაი მედინი (დნიპრო), დმიტრი შუტკოვი (შახტარი);

***მცველები:*** ოლეგ ლუჟნი (არსენალი, ინგლისი), ანდრეი ნესმაჩნი (დინამო), იური დმიტრულინი (დინამო), ალექსანდრ რადჩენკო (დინამო), სერგეი მატიუშკინი (დნიპრო), გენადი მოროზი (დნიპრო), მიხაილ სტაროსტიაკი (შახტარი), ვიქტორ სკრიპნიკი (ვერდერი, გერმანია);

***ნახევარმცველები:*** გენადი ზუბოვი (შახტარი), ანატოლი ტიმოშჩუკი (შახტარი), ანდრეი გუსინი (დინამო), სერგეი კონოვალოვი (არსენალი), სერგეი სერებრიანიკოვი (ბრიუგე, ბელგია), სერგეი კორმილცევი (ტორპედო, რუსეთი), მაქსიმ კალინიჩენკო (სპარტაკი, რუსეთი);

***თავდამსხმელები:*** ანდრეი შევჩენკო (მილანი, იტალია), სერგეი რებროვი (ტოტენჰემი, ინგლისი), ანდრეი ვორობეი (შახტარი), ოლეგ ვენგლინსკი (დნიპრო), ალექსანდრ მელაშჩენკო (დინამო), ანდრეი ვორონინი (მაინცი, გერმანია)

## ბელარუსი

**ჰოლანდიასთან** დამარცხებამ ედუარდ მალოფეევს ცვლილებებისკენ უბიძგა. მწვრთნელმა გუნდში აღარ უხმო სამ ლეგიონერს, რომლებიც რუსულ პრემიერლიგაში თამაშობენ. ნაკრებს მიღმა დარჩნენ თავდამსხმელი პიოტრ კაჩურო და მცველი არტიომ ჩელიადინსკი სარატოვის „სოკოლიდან", ხოლო სამარის „კრილია სოვეტოვიდან" — დენის კოვბა.

გუნდში კვლავ დააბრუნეს მცველი ანდრეი ლავრიკი, რომელსაც 2001 წლის მარტის შემდეგ ეროვნული გუნდის მაისური აღარ მოურგია.

***მეკარეები:*** გენადი ტუმილოვიჩი (ანტვერპენი, ბელგია), იური ციგალკო (დინამო, მინსკი), ვალერი შანტალოსოვი (ტორპედო-მაზი);

***მცველები:*** ანდრეი ლავრიკი (დინამო, სანქტ პეტერბურგი, რუსეთი), ანდრეი ოსტროვსკი (არსენალი, უკრაინა), სერგეი შტანიუკი (სტოკი, ინგლისი), ალექსანდრ ლუხვიჩი (ტორპედო, რუსეთი), სერგეი იასკოვიჩი (ლეჟ, საფრანგეთი), სერგეი ომელიანჩუკი (ლეგია, პოლონეთი), ვლადიმირ შუნეიკო (კრილია სოვეტოვი, რუსეთი), ალექსანდრ ხრაპკოვსკი (სოკოლი, რუსეთი);

***ნახევარმცველები:*** სერგეი გურენკო (პიაჩენცა, იტალია), ალექსანდრ გლები (შტუტგარტი, გერმანია), ალექსანდრ ხაცკევიჩი (დინამო, უკრაინა), იგორ ტარლოვსკი (ალანია, რუსეთი), ალექსანდრ კულჩი (შინიკი, რუსეთი), მაქსიმ რომაშჩენკო (გაზიანთეფსპორი, თურქეთი), ვიტალი ვოლოდენკოვი (სოკოლი, რუსეთი);

***თავდამსხმელები:*** ვიტალი კუტუზოვი (სპორტინგი, პორტუგალია), რომან ვასილიუკი (დინამო, მინსკი), ნიკოლაი რინდიუკი (რუბინი, რუსეთი)

ეროვნული ბიბლიოთეკა





ამერიგო გალიეგომ თავის „ინდეპენდიენტეს" ისე შეუძახა, წაგებული თამაში შეატრიალებინა

# არგენტინის ფრონტი უცვლელია

## არგენტინა

### აპერტურა

**მე-11 ტური:** როსარიო — ურაკანი 2:2; ხიმნასია — ოლიმპო 1:1; სან ლორენსო — ოლდ ბოიზი 2:1; ნუევა ჩიკაგო — რივერ პლეიტი 1:3; ტალიერესი — ესტუდიანტესი 2:1; ლანუსი — რასინგი 2:1; ბოკა ხუნიორსი — ველესი 2:0; ბანფილდი — კოლონი 0:0; ინდეპენდიენტე — არსენალი 3:2; უნიონი — ჩაკარიტა 1:2

**თავდამსხმელმა** ანდრეს დალესანდრომ ბოლო სამ თამაშში მეოთხე გოლი გაიტანა, მისმა „რივერ პლეიტმა" კი 3:1 მოუგო უმწვერთნელო „ნუევა ჩიკაგოს" და ფეხდაფეხ მისდევს აპერტურას ლიდერ „ინდეპენდიენტეს".

„ბოკა ხუნიორსმა" და „სან ლორენსომაც" მოიგეს თავიანთი შეხვედრები, რაც იმას ნიშნავს, რომ უარს სულაც არ ამბობენ საჩემპიონო ბრძოლაზე. სამაგიეროდ, ჩამოვარდა ლუის მონტის „როსარიო სენტრალი", რომელმაც მაჩაჩალა „ურაკანთან" ვერ მოიგო, 2:2.

ამ ტურში მარცხს გადაურჩა ლიდერი „ინდეპენდიენტე". პატარა „არსენალმა" იმედი ქნა, რომ 2:0 უგებდა „ინდეპენდიენტეს", მაგრამ ჯამში 2:3 წააგო, რითაც ამ უკანასკნელმა პირველი ადგილი შეინარჩუნა 11 თამაშიდან 26 ქულით, „რივერს" კი ორით ნაკლები აქვს.

„ბოკას" მწყობრში დაბრუნება კი გოლით აღნიშნა გილერმო ბაროს შელოტომ. მან „ველეს სარსფილდის" კარში ორიდან ერთი გოლი გაიტანა. პირველი კი ახლადშეძენილი კარლოს ტევესისა იყო. „ბოკამ" შმრალად მოიგო.

პარაგვაელმა ნახევარმცველმა კლაუდიო მორელ როდრიგესმა და როდრიგო ასტუდილიომ გაამარჯვებინეს „სან ლორენსოს" „ნიუელს ოლდ ბოიზთან" 2:1 ერთადერთი საპასუხო დამიან მონსომ გაიტანა.

მეხუთე მატჩია ვერ იგებს აღრინდელი ლიდერი „როსარიო სენტრალი". ამ ჯერზე მონტის გუნდმა 15 წუთში კი გაუტანა ორი გოლი „ურაკანს", მაგრამ პირველ ტაიმშივე გაუშვა ორი საპასუხო. ამასობაში კი კვლავ გაუჭირდა ოსვალდო არდილესის „რასინგს", რომელმაც 1:2 წააგო „ლანუსთან" და მეთოთხმეტე ადგილამდე ჩავარდა. „რასინგი" იგებდა მარიანო გონსალესის გოლით, მაგრამ არდილესმა მეტად უცნაურად გამოცვალა ორი მთავარი თავდამსხმელი და შედეგად 1:2 წააგო.

„ურაკანს" კი ბოლო ადგილს შეეცილა „ესტუდიანტესი", რომელმაც ზედიზედ მეოთხე შეხვედრა წააგო ტალერესელი კრისტონ დევაისის ბოლო წუთზე გატანილი საჯარიმო დარტყმით.

### ტურნირის ცხრილი (ტურნირის ბუსტოს დოქსიძი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინდეპენდიენტე | 11 | 8 | 2 | 1 | 32:12 | 26 |
| რივერ პლეიტი | 11 | 7 | 3 | 1 | 22:8 | 24 |
| ბოკა ხუნიორსი | 11 | 6 | 3 | 2 | 19:9 | 21 |
| სან ლორენსო | 11 | 5 | 4 | 2 | 16:13 | 19 |
| როსარიო | 11 | 5 | 3 | 3 | 24:15 | 18 |
| ველესი | 11 | 5 | 3 | 3 | 14:7 | 18 |
| ჩაკარიტა | 11 | 5 | 2 | 4 | 12:13 | 17 |
| კოლონი | 11 | 4 | 5 | 2 | 14:16 | 17 |
| არსენალი | 11 | 4 | 3 | 4 | 15:13 | 15 |
| ოლდ ბოიზი | 11 | 4 | 3 | 4 | 12:12 | 15 |
| უნიონი | 11 | 4 | 3 | 4 | 11:12 | 15 |
| ტალიერესი | 11 | 3 | 4 | 4 | 11:14 | 13 |
| ლანუსი | 11 | 3 | 4 | 4 | 7:14 | 13 |
| რასინგი | 10 | 3 | 3 | 4 | 13:19 | 12 |
| ოლიმპო | 11 | 2 | 5 | 4 | 14:16 | 11 |
| ბანფილდი | 11 | 2 | 5 | 4 | 7:10 | 11 |
| ხიმნასია | 11 | 2 | 4 | 5 | 9:14 | 10 |
| ნუევა ჩიკაგო | 10 | 1 | 4 | 5 | 7:12 | 7 |
| ურაკანი | 11 | 1 | 3 | 7 | 10:25 | 6 |
| ესტუდიანტესი | 11 | 1 | 2 | 8 | 8:23 | 5 |

## სამხრეთული დარდუბალა

# გაქცევა ტაქსით

### ურუგვაი

ჩემპიონი „ნასიონალი" „დანუბიუსთან" სტუმრად 1:3 შერცხვა და მასპინძელთა გაავებული ფანებისაგან ფეხბურთელები პოლიციამ იხსნა. ნასიონალელები სტადიონიდან საკუთარი მანქანებითა და ტაქსებით გააპარეს.

მიუხედავად ამისა, პირველ ადგილს კვლავაც „ნასიონალი" ინარჩუნებს, თუმცა ჩემპიონატის მეორე წრეში ოდენ ერთი ქულა აიღო. მეორე ადგილზე „პენიაროლია".

### ჩილე

„უნივერსიდად დე ჩილეს" მოთამაშეებმა ორი თვის მიუღებელი ხელფასი არად ჩააგდეს და „ქოფუიმბო" შინ 1:0 დაამარცხეს, რითაც კლაუსურაში პირველი ადგილი შეინარჩუნეს.

გონს მოდის სეზონის დასაწყისში გაკოტრებული „კოლო კოლო". მან გასვლაზე „სანტიაგო მორნინგი" 5:1 გაანადგურა. დაუმარცხებელი სერია შეწყვიტეს „უნივერსიდად კათოლიკამ" და „კობრელოამ" — პირველმა „პუაჩიპატოსთან" წააგო 1:3, „კობრელოა" კი, რომელსაც ჩილეს ნაკრების ყოფილი მწვრთნელი ნელსონ აკოსტა წვრთნის, „სან ფილიპესთან" დამარცხდა იმავე ანგარიშით.

### ბოლივია

„ვილსტერმანმა" საკუთარ მოედანზე პოტოსის „რეალთან" ფრედ 2:2 ითამაშა. „ვილსტერმანს", ვისმა ფეხბურთელებმაც წინა ტურში „ბოლივართან" თამაზე ჯამაგირის გადაუხდელობის გამო უარი განაცხადეს, პოტოსელებთან მატჩში ჩხუბი ატეხეს, რის გამოც ორი ფეხბურთელი გაუგდეს. ორი ყვითელი ბარათისთვის „რეალსაც" გაუშვეს ერთი ფეხბურთელი და საბოლოოდ მატჩი 19-მა კაცმა ჩაამთავრა.

კვლავ გაიტანა ყმაწვილმა ალფრედო კასტილიომ. „ინდეპედიენტე სურსის" შემადგენლობაში კასტილიომ თავისი 34-ე გოლი შეაგდო, მისმა გუნდმა კი „გეიმბრა" დაამარცხა 2:0.

პირველ ადგილზე „იბეროამერიკანას" 5:1 გამცამტვერებელი „ბოლივარია". ნელ-ნელა ქვევით მიცოცავს „ბლუმინგი". ხოსე ბრაუნის გუნდმა ამჯერად „სან ხოსესთან" წააგო 2:3.

### კოლუმბია

ქვეყნის 13-გზის ჩემპიონი „მილიონარესი" მარცხიან სერიას აგრძელებს. „მილიონარესმა" ამჯერად საკუთარ მოედანზე „ამერიკასთან" 0:2 წააგო და მწვრთნელ ჯერვერლეონ გუესტას დებიუტი ჩაუშწარა.

ჩემპიონატის ლიდერმა კალის „დეპორტივომ" საკუთარ მოედანზე „ტოლიმასთან" ფრეზე უკეთეს შედეგს ხელი ვერ გამოჰკრა. „დეპორტივოს" „პასტო" მიჰყვება, რომელმაც ბოლო ტურში „ტულუასთან" წააგო 0:2.

### ეკვადორი

საკუთარ მოედანზე „აუკასთან" 2:2-ის შემდეგ მეორე დივიზიონში გავარდნა გაინალდა ორი წლის წინანდელმა ჩემპიონმა „ოლმედომ". სხვათა შორის, „ოლმედო" ოთხი სეზონის წინ ქვეყნის პირველი პროვინციელი ჩემპიონი გახდა.

მეორე წრეში დაუმარცხებელია კიტოს „დეპორტივო". კიტოელებმა ამჯერად გუენსას „დეპორტივო" გააკრეს ბეჭებზე ანგარიშით 2:0. „ელ ნასიონალმა" „ემელეკი" დაამარცხა მინიმალური ანგარიშით — 1:0.

**სერგი ტორიძე**



ნელსონ აკოსტა



ჰასან სალიჰამიჯიჩს იმედი მიხაელ ბალაკზე მეტი შერჩენია

# რა აკლია ბაიერნს?

## სილამაზის მზაკვარი ძალა

საქმეს ისეთი სუნი სდის, რომ „ბაიერნი" ჩემპიონთა ლიგის მეორე ეტაპამდეც კი ვერ მიაღწევს – ბავარიელებს სამი თამაშიდან მხოლოდ ერთი ქულა აქვთ და დარჩენილი სამი მატჩი თუ ვერ მოიგეს, უეფას თასზე მოუწევთ გადაბარგება, სულაც მეოთხენი თუ არ დარჩნენ.

არადა, ბოლო წლებში „ბაიერნი" ჩემპიონთა ლიგის ერთ-ერთი ყველაზე მრისხანე გუნდი გახლდათ და მისი ამ ტურნირიდან ნაადრევად გაბუნძულება დღეს უმთავრესი სალაპარაკო თემაა გერმანულ საფეხბურთო წრეებში. ისე, „ბაიერნი" თუ გავარდება, ამით ჩემპიონთა ლიგას მართლაც მოაკლდება ეშხი.

„ბაიერნის" ვებ-გვერდმა კი ამ თემაზე მცირე ინტერვიუები ჩამოართვა გუნდის ფეხბურთელებს – ბოსნიელი ჰასან სალიჰამიჯიჩი და მიხაელ ბალაკი „ბაიერნის" ჩავარდნის მიზეზებსა და პერსპექტივებზე საუბრობენ.

**— „ბაიერნის" ჩემპიონთა ლიგაში გამოსვლა ყველას სალაპარაკო გახდა. როგორ ფიქრობთ, რატომაა რომ გუნდი განსხვავებულ შედეგებს აღწევს ბუნდესლიგასა და ჩემპიონთა ლიგაში?**

***სალიჰამიჯიჩი:*** შეცდომების გამო ჩემპიონთა ლიგაში გაცილებით სწრაფად და მკაცრად ისჯები. „მილანთან" სულ ორი შეცდომა დავუშვით და ამ ორმა შეცდომამ დაგვღუპა. „მილანი" და „დეპორტივო" ძალიან მაღალი კლასის გუნდები არიან და უბრალოდ შეუძლებელია, მათთან სრულიად უშეცდომოდ თამაში. სამწუხაროდ, მეტოქეებმა ჩვენი ყველა შეცდომა გამოიყენეს.

**— მართლა გჯერათ, რომ ლიგის მეორე ეტაპზე გახვალთ?**

***სალიჰამიჯიჩი:*** აბსოლუტურად. უბრალოდ, ამისთვის „მილანს" უნდა მოვუგოთ. თუ ეს შევძელით, მეორე ეტაპისკენ გზა გაგვიფართოვდება. რასაკვირველია, ბევრს განაპირობებს ისიც, „მილანი", „დეპორი" და „ლანსი" ერთმანეთში როგორ ითამაშებენ. ამ სეზონში, ობიექტურად, ჩვენ სამივე მეტოქეზე ძლიერები ვართ, დიდი გუნდი გვყავს. აქ დიდი ამბები დატრიალდება.

**— ეს გუნდის საერთო აზრია?**

***სალიჰამიჯიჩი:*** ნებისმიერმა ჩვენთაგანმა იცის თავისი მოვალეობა — უნდა მოვიგოთ ბუნდესლიგა და ჩემპიონთა ლიგაში მაქსიმალურად წინ წავიწიოთ. ჩვენს სამზარეულოში ბრწყინვალე ატმოსფეროა.

**— მომდევნო მატჩი 19 ოქტომბერს გიწევთ როსტოკში „ჰანზასთან", ოთხი დღის შემდეგ კი „მილანი" გელით — ბოლო შანსი ყველაზე პრესტიჟულ ევროტურნირში...**

***სალიჰამიჯიჩი:*** აშკარაა, ამ პერიოდში უნდა მოვუმატოთ. ეს ყველას ეხება, ფორვარდებით დაწყებული, ოლივერ კანით დამთავრებული.

**— „მილანთან" წაგების შემდეგ შექმნილ სიტუაციას როგორ შეაფასებდით?**

***ბალაკი:*** დიდ ამბიციებზე ლაპარაკი უკვე აღარ ღირს. ჩვენ მხოლოდ ერთი ქულა გვაქვს, სიტუაციას ასე შევაფასებ — „მილანთან" უნდა მოგვეგო. ვინც რეალისტია, ის კარგად ხედავს, რომ ერთი მატჩიც რომ მოვიგოთ, ჯგუფში მესამე ადგილზე გავალთ. მაგრამ ისიცაა, რომ ჩვენ სამივე დარჩენილი თამაშის მოგებაზე ვფიქრობთ. ამისი გვჯერა კიდეც, მაგრამ დროა, ცოტა დაბლა დავეშვათ.

**— მაინც, რაშია საქმე, სხვა გუნდები „ბაიერნზე" ძლიერები არიან თუ „ბაიერნი" არ არის მზად სათანადოდ ამ მომენტისთვის?**

***ბალაკი:*** ვფიქრობ, კრიტიკას არ ვიმსახურებთ, ამის საბაბს ჩვენ არ ვიძლევით. „მილანთან" მებრძოლი ხასიათი გამოვავლინეთ, სულ წინ წასვლას ვცდილობდით. „მილანი" სუპერგუნდია, მაგრამ ჩვენ მაინც გვქონდა რამდენიმე კარგი შანსი. თუმც უნდა ვაღიაროთ, რომ ამ მომენტისთვის საკმარისად აგრესიულები არ ვიყავით. ეს პრობლემა ისე გაგვიჯდა, როგორც ავადმყოფობა. გამარჯვებისთვის აუცილებელი ნებისყოფა უნდა დავიბრუნოთ და თუ აუცილებელი გახდა, ბრძოლის სხვა მეთოდებსაც უნდა მივმართოთ.

**— „ლევერკუზენიდან" „ბაიერნში" პირველ რიგში ალბათ იმიტომ გადმოხვედით, რომ ტიტულების მოპოვება გსურდათ. ჩემპიონთა თასის აწევა ახლა თითქოს შორეული ოცნებაა და ამას ძალიან განიცდით?**

***ბალაკი:*** ამ დროისთვის ჩვენ სხვა სანერვიულო გვაქვს — ჩვენი პრიორიტეტი ნებისმიერი მატჩის მოგებაა, ხოლო ჩემპონთა თასზე ფიქრი ადრეა.

**— იქნებ გვითხრათ, რა დაემართა „ბაიერნის" ლეგენდარულ დაუნდობლობას?**

***ბალაკი:*** ჩვენ სიამოვნების მომგვრელ ფეხბურთს ვთამაშობთ, უკეთესს, ვიდრე ჩვენი მეტოქეები, მაგრამ არა შედეგის მომტანს. ეს საშიში ტენდენციაა და არ უნდა დავუშვათ, რომ ეს სისხლში გაგვიჯდეს. მნიშვნელობა არ აქვს როგორ თამაშობ, ფეხბურთის არსი სამი ქულაა. გამარჯვებული გუნდი ყოველთვის უკეთესია და ამას ვერანაირი არგუმენტი ვერ გააქარწყლებს.

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

### გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი). XII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 11 ოქტომბერი | | | | | | |
| 22.30 | 001 | კელნი-კობლენცი(მ) | 2,05 | 3,2 | 3,3 | 1,24 | 1,26 | 1,62 |
| | | 12 ოქტომბერი | | | | | | |
| 17.00 | 002 | დრეზდენი-ჰამბურგი(მ) | 2,15 | 3,2 | 3,1 | 1,28 | 1,26 | 1,57 |
| 17.00 | 003 | აუე-ესენი | 1,9 | 3,1 | 3,8 | 1,17 | 1,26 | 1,7 |
| 17.00 | 004 | ურდინგენი-ქემნიცი | 2,4 | 3,0 | 2,8 | 1,33 | 1,29 | 1,44 |
| 17.00 | 005 | ვერდერი(მ)-ბაბელსბერგი | 1,55 | 3,4 | 5,6 | 1,06 | 1,21 | 2,11 |
| 17.00 | 006 | ლევერკუზენი(მ)-ვატენშაიდი | 2,1 | 3,2 | 3,2 | 1,26 | 1,26 | 1,6 |
| 17.00 | 007 | ოსნაბრუკი-მიუნსტერი | 1,6 | 3,3 | 5,3 | 1,07 | 1,22 | 2,03 |
| | | 13 ოქტომბერი | | | | | | |
| 17.00 | 008 | პადერბორნი-დინამო | 2,2 | 3,0 | 3,2 | 1,26 | 1,3 | 1,54 |
| 18.00 | 009 | დორტმუნდი(მ)-ფერლი | 1,6 | 3,3 | 5,3 | 1,07 | 1,22 | 2,03 |

### გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი). XIV ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 11 ოქტომბერი | | | | | | |
| 21.00 | 010 | ზაარბრიუკენი-კიკერსი | 1,65 | 3,4 | 4,4 | 1,11 | 1,2 | 1,91 |
| 21.00 | 011 | ფულენდორფი-ჰოფენჰაიმი | 1,85 | 3,2 | 3,8 | 1,17 | 1,24 | 1,73 |
| | | 12 ოქტომბერი | | | | | | |
| 17.00 | 012 | ერფურტი-ლაუტერნი(მ) | 1,55 | 3,4 | 5,6 | 1,06 | 1,21 | 2,11 |
| 17.30 | 013 | შვაინფურტი-რეგენსბურგი | 3,0 | 3,2 | 2,2 | 1,54 | 1,26 | 1,3 |
| 17.30 | 014 | ნიურნბერგი-ბაიერნი(მ) | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 17.30 | 015 | აუგსბურგი-უნტერჰახინგი | 2,7 | 3,1 | 2,4 | 1,44 | 1,27 | 1,35 |
| 17.30 | 016 | დარმშტადტი-აინტრახტი(მ) | 1,6 | 3,3 | 5,3 | 1,07 | 1,22 | 2,03 |
| 17.30 | 017 | აალენი-ულმი | 1,65 | 3,3 | 4,7 | 1,1 | 1,22 | 1,93 |
| | | 13 ოქტომბერი | | | | | | |
| 18.00 | 018 | ზიგენი-ელვერსბერგი | 1,55 | 3,4 | 5,6 | 1,06 | 1,21 | 2,11 |

### ინგლისი. I დივიზიონი. XIII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 12 ოქტომბერი | | | | | | |
| 19.00 | 020 | ბრედფორდი-დერბი | 2,3 | 3,1 | 2,9 | 1,32 | 1,28 | 1,49 |
| 19.00 | 021 | ბერნლი-უოლსოლი | 1,9 | 3,1 | 3,8 | 1,17 | 1,26 | 1,7 |
| 19.00 | 022 | იფსვიჩი-უენსდი | 1,65 | 3,2 | 5,0 | 1,08 | 1,24 | 1,95 |
| 19.00 | 023 | მილუოლი-უიმბლდონი | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1,15 | 1,24 | 1,77 |
| 19.00 | 024 | როტერჰემი-ველინგემი | 1,9 | 3,2 | 3,6 | 1,19 | 1,24 | 1,69 |
| 19.00 | 025 | უოტფორდი-გრიმსბი | 1,45 | 3,6 | 6,5 | 1,03 | 1,18 | 2,31 |
| | 026 | უოტფორდი-გრიმსბი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 | | | |

### ინგლისი. II დივიზიონი. XIII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 12 ოქტომბერი | | | | | | |
| 16.00 | 029 | პიტერბორო-მენსფილდი | 1,75 | 3,2 | 4,2 | 1,13 | 1,23 | 1,81 |
| 19.00 | 030 | ბარნსლი-ბრისტოლი | 2,4 | 3,0 | 2,8 | 1,33 | 1,29 | 1,44 |
| 19.00 | 031 | კარდიფი-უიკომბი | 1,5 | 3,4 | 6,5 | 1,04 | 1,21 | 2,23 |
| 19.00 | 032 | ჩესტერფილდი-ტრანმერი | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1,15 | 1,24 | 1,77 |
| 19.00 | 033 | ჰადერსფილდი-ნოტსი | 2,3 | 3,1 | 2,9 | 1,32 | 1,28 | 1,49 |
| 19.00 | 034 | ლუტონი-ჩელტენემი | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,11 | 1,22 | 1,85 |
| 19.00 | 035 | ნორთჰემპტონი-ბრენტფორდი | 2,3 | 3,1 | 2,9 | 1,32 | 1,28 | 1,49 |
| 19.00 | 036 | პლიმუთი-უიგანი | 2,7 | 3,1 | 2,4 | 1,44 | 1,27 | 1,35 |
| 19.00 | 037 | პორტ ვეილი-ოლდემი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 19.00 | 038 | სტოკპორტი-კრიუ | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 19.00 | 039 | სუინდონი-კოლჩესტერი | 2,1 | 3,2 | 3,2 | 1,26 | 1,26 | 1,6 |
| | | 14 ოქტომბერი | | | | | | |
| 23.45 | 040 | ქუინს პარკ-ბლეკპული | 1,7 | 3,1 | 4,7 | 1,09 | 1,24 | 1,86 |

### ინგლისი. III დივიზიონი. XIII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 12 ოქტომბერი | | | | | | |
| 19.00 | 041 | ბოსტონი-ტორკი | 2,7 | 3,1 | 2,4 | 1,44 | 1,27 | 1,35 |
| 19.00 | 042 | როჩდეილი-ლინკოლნი | 2,3 | 3,0 | 3,0 | 1,3 | 1,3 | 1,5 |
| 19.00 | 043 | ბერი-დარლინგტონი | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,11 | 1,22 | 1,85 |
| 19.00 | 044 | კარლაილი-შრუსბერი | 2,4 | 3,1 | 2,7 | 1,35 | 1,27 | 1,44 |
| 19.00 | 045 | ექსეტერი-რაშდენი | 2,9 | 3,1 | 2,3 | 1,49 | 1,28 | 1,32 |
| 19.00 | 046 | ჰალი-როჩდეილი | 2,4 | 3,1 | 2,7 | 1,35 | 1,27 | 1,44 |
| 19.00 | 047 | კიდერმინსტერი-მაკლსფილდი | 1,65 | 3,2 | 5,0 | 1,08 | 1,24 | 1,95 |
| 19.00 | 048 | ოქსფორდი-სუონსი | 1,65 | 3,3 | 4,7 | 1,1 | 1,22 | 1,93 |
| 19.00 | 049 | სკანთორპი-კემბრიჯი | 2,2 | 3,1 | 3,1 | 1,28 | 1,28 | 1,54 |
| 19.00 | 050 | საუთენდი-იორკი | 2,1 | 3,2 | 3,2 | 1,26 | 1,26 | 1,6 |
| 19.00 | 051 | რექსემი-ლეიტონი | 1,55 | 3,4 | 5,6 | 1,06 | 1,21 | 2,11 |
| | | 13 ოქტომბერი | | | | | | |
| 19.00 | 052 | ბორნმუთი-ჰარტლპული | 2,25 | 3,1 | 3,0 | 1,3 | 1,28 | 1,52 |

### იტალია. სერია "B". VII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 12 ოქტომბერი | | | | | | |
| 18.00 | 053 | ანკონა-სიენა | 1,8 | 2,7 | 5,3 | 1,08 | 1,34 | 1,78 |
| 18.00 | 054 | ბარი-ლეჩე | 2,25 | 2,7 | 3,4 | 1,22 | 1,35 | 1,5 |
| 18.00 | 055 | კალიარი-ასკოლი | 1,65 | 2,9 | 6,0 | 1,05 | 1,29 | 1,95 |
| 18.00 | 056 | ლივორნო-ტერნანა | 1,9 | 2,7 | 4,7 | 1,11 | 1,35 | 1,71 |
| 18.00 | 057 | მესინა-ვიჩენცა | 2,4 | 2,7 | 3,1 | 1,27 | 1,35 | 1,44 |
| 18.00 | 058 | სალერნიტანა-პალერმო | 2,15 | 2,8 | 3,5 | 1,21 | 1,33 | 1,55 |
| 18.00 | 059 | სამპდორია-კატანია | 1,5 | 3,2 | 7,5 | 1,02 | 1,25 | 2,24 |
| 18.00 | 060 | ტრიესტინა-კოზენცა | 2,2 | 2,7 | 3,5 | 1,21 | 1,35 | 1,52 |
| 18.00 | 061 | ვერონა-ნაპოლი | 2,3 | 2,7 | 3,3 | 1,24 | 1,35 | 1,48 |
| | | 13 ოქტომბერი | | | | | | |
| 18.00 | 062 | ვენეცია-ჯენოა | 1,85 | 2,8 | 4,7 | 1,11 | 1,32 | 1,75 |

### იტალია. სერია. "C1-A". I ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 9 ოქტომბერი | | | | | | |
| 18.00 | 063 | ალბინოლეფე-რეჯანა | 1,75 | 2,7 | 5,6 | 1,06 | 1,33 | 1,82 |
| 18.00 | 064 | ჩიტადელა-პრატო | 1,7 | 2,8 | 5,6 | 1,05 | 1,3 | 1,86 |
| 18.00 | 065 | ლუმეცანე-ვარეზე | 1,6 | 2,9 | 7,0 | 1,03 | 1,3 | 2,05 |
| 23.30 | 066 | კარარეზე-ლუკეზე | 2,4 | 2,6 | 3,2 | 1,24 | 1,37 | 1,43 |
| 23.30 | 067 | ჩეზენა-არეცო | 1,5 | 3,2 | 7,5 | 1,02 | 1,25 | 2,24 |
| 23.30 | 068 | პისტოიეზე-პადოვა | 2,0 | 2,7 | 4,2 | 1,14 | 1,35 | 1,64 |
| 23.30 | 069 | პროპატრია-ალძანო | 1,85 | 2,7 | 5,0 | 1,09 | 1,35 | 1,75 |
| 23.30 | 070 | სპალ-პიზა | 2,4 | 2,7 | 3,1 | 1,27 | 1,35 | 1,44 |
| 23.30 | 071 | ტრევიზო-სპეცია | 1,6 | 2,9 | 7,0 | 1,03 | 1,3 | 2,05 |

### იტალია. სერია. "C1-B". I ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 9 ოქტომბერი | | | | | | |
| 18.00 | 082 | მარტინა-ტორესი | 1,65 | 2,9 | 6,0 | 1,05 | 1,29 | 1,95 |
| 23.30 | 083 | ბენევენტო-ჯულიანოვა | 2,0 | 2,7 | 4,2 | 1,14 | 1,35 | 1,64 |
| 23.30 | 084 | კიეტი-პეზარო | 1,9 | 2,7 | 4,7 | 1,11 | 1,35 | 1,71 |
| 23.30 | 085 | ფერმანა-კროტონე | 2,9 | 2,6 | 2,6 | 1,37 | 1,37 | 1,29 |
| 23.30 | 086 | აკვილა-პატერნო | 1,65 | 2,9 | 6,0 | 1,05 | 1,29 | 1,95 |
| 23.30 | 087 | პესკარა-ვიტერბეზე | 1,45 | 3,3 | 8,0 | 1 | 1,22 | 2,33 |
| | 088 | პესკარა-ვიტერბეზე 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 | | | |
| 23.30 | 089 | სამბენედეტეზე-ტარანტო | 2,25 | 2,6 | 3,5 | 1,2 | 1,36 | 1,49 |
| 23.30 | 090 | ტერამო-სორა | 1,55 | 3,2 | 6,5 | 1,04 | 1,25 | 2,14 |

### ესპანეთი. II დივიზიონი. VI ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 12 ოქტომბერი | | | | | | |
| 21.30 | 102 | ფეროლი-ალმერია | 1,6 | 3,1 | 6,0 | 1,05 | 1,26 | 2,04 |
| 21.30 | 103 | ეხიდო-ხერესი | 2,6 | 2,9 | 2,6 | 1,37 | 1,29 | 1,37 |
| 22.30 | 104 | ლევანტე-ლას პალმასი | 2,5 | 2,9 | 2,7 | 1,34 | 1,29 | 1,39 |
| | | 13 ოქტომბერი | | | | | | |
| 20.00 | 105 | ალბასეტე-სპორტინგი | 1,75 | 3,0 | 4,4 | 1,1 | 1,25 | 1,78 |
| 20.00 | 106 | კომპოსტელა-სარაგოსა | 2,6 | 2,9 | 2,6 | 1,37 | 1,29 | 1,37 |
| 20.00 | 107 | ოვიედო-ხეტაფე | 1,8 | 3,0 | 4,4 | 1,12 | 1,27 | 1,78 |
| 20.00 | 108 | სალამანკა-ელჩე | 2,0 | 2,9 | 3,8 | 1,18 | 1,31 | 1,64 |
| 20.00 | 109 | ტენერიფე-ეიბარი | 1,7 | 3,0 | 5,0 | 1,08 | 1,26 | 1,87 |
| 20.00 | 110 | მურსია-ტერასა | 2,0 | 3,0 | 3,6 | 1,2 | 1,28 | 1,63 |
| 20.00 | 111 | კორდობა-ნუმანსია | 1,9 | 2,9 | 4,2 | 1,14 | 1,3 | 1,71 |
| 23.30 | 112 | ლეგანესი-ბადახოსი | 1,8 | 2,9 | 4,7 | 1,11 | 1,3 | 1,79 |

### ბელგია. II დივიზიონი. გადადებული მატჩი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 9 ოქტომბერი | | | | | | |
| 23.00 | 115 | ტინენი-რუსელარე | 2,2 | 3,0 | 3,2 | 1,26 | 1,3 | 1,54 |

### ბელგია. II დივიზიონი. IX ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 12 ოქტომბერი | | | | | | |
| 22.30 | 116 | დესელი-ვირტონი | 1,95 | 2,9 | 4,0 | 1,16 | 1,31 | 1,68 |
| 23.00 | 117 | ვარეგემი-ჰეუსდენი | 2,5 | 2,9 | 2,7 | 1,34 | 1,29 | 1,39 |
| 23.00 | 118 | ეუპენი-ლიეჟი | 1,9 | 2,9 | 4,2 | 1,14 | 1,3 | 1,71 |
| | | 13 ოქტომბერი | | | | | | |
| 18.00 | 119 | რონსე-დაინცე | 2,15 | 3,0 | 3,3 | 1,25 | 1,3 | 1,57 |
| 18.00 | 120 | დენდერლეუვე-გეელი | 2,0 | 3,0 | 3,6 | 1,2 | 1,28 | 1,63 |
| 18.00 | 121 | ვიზეტი-სტრომბეკი | 2,25 | 3,0 | 3,1 | 1,28 | 1,3 | 1,52 |
| 18.00 | 122 | სერკლი-ვიგორი | 1,95 | 2,9 | 4,0 | 1,16 | 1,31 | 1,68 |
| 18.00 | 123 | ინგელმუნსტერი-რუსელარე | 1,55 | 3,3 | 6,0 | 1,05 | 1,23 | 2,12 |
| 18.00 | 124 | ტინენი-პატრო | 2,0 | 2,9 | 3,8 | 1,18 | 1,31 | 1,64 |

### შოტლანდია. I დივიზიონი. გადადებული მატჩი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 12 ოქტომბერი | | | | | | |
| 17.00 | 125 | კლაიდი-ქუინი | 1,75 | 3,3 | 4,0 | 1,14 | 1,21 | 1,8 |

### შოტლანდია. III დივიზიონი. გადადებული მატჩი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 12 ოქტომბერი | | | | | | |
| 19.00 | 126 | გრეტნა-ალბიონი | 2,45 | 3,3 | 2,45 | 1,4 | 1,22 | 1,4 |

### საფრანგეთი. ლიგის თასი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 10 ოქტომბერი | | | | | | |
| 23.00 | 127 | მარტიგი-რეიმსი | 2,2 | 2,8 | 3,4 | 1,23 | 1,33 | 1,53 |
| | | 11 ოქტომბერი | | | | | | |
| 23.00 | 128 | ამიენი-გენიონი | 1,8 | 3,0 | 4,4 | 1,12 | 1,27 | 1,78 |
| 23.00 | 129 | ბოვე-კაენი | 2,2 | 2,9 | 3,3 | 1,25 | 1,32 | 1,54 |
| 23.00 | 130 | გრენობლი-კანი | 1,6 | 3,3 | 5,3 | 1,07 | 1,22 | 2,03 |
| 23.00 | 131 | ისტრი-ლორიანი | 2,6 | 2,9 | 2,6 | 1,37 | 1,29 | 1,37 |
| 23.00 | 132 | ლე მანი-ვალანსი | 1,55 | 3,3 | 6,0 | 1,05 | 1,23 | 2,12 |
| 23.00 | 133 | მეცი-ნიორი | 1,7 | 3,0 | 5,0 | 1,08 | 1,26 | 1,87 |
| 23.00 | 134 | ნანსი-შატორუ | 2,4 | 2,8 | 3,0 | 1,29 | 1,33 | 1,44 |
| 23.00 | 135 | ნიმი-ანჟე | 2,5 | 2,9 | 2,7 | 1,34 | 1,29 | 1,39 |
| 23.00 | 136 | სტ.ეტიენი-ტულუზი | 2,4 | 2,9 | 2,9 | 1,31 | 1,31 | 1,45 |
| 23.00 | 137 | ვაკვალი-ლავალი | 1,9 | 3,0 | 4,0 | 1,16 | 1,28 | 1,71 |
| 23.00 | 138 | კრეტეი-კლერმონი | 1,75 | 3,0 | 4,7 | 1,1 | 1,27 | 1,83 |

### პოლონეთი. თასი. 1/8 ფინალი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 11 ოქტომბერი | | | | | | |
| 18.00 | 139 | პლოცკი-ოსტროვეცი | 1,65 | 3,2 | 5,0 | 1,08 | 1,24 | 1,95 |

### 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 12 ოქტომბერი | | | | | | |
| 18.30 | 140 | მოლდოვა-ჩეხეთი | 6,0 | 3,5 | 1,5 | 2,21 | 1,2 | 1,04 |
| 19.00 | 141 | შვედეთი-უნგრეთი | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,83 |
| 19.00 | 142 | საქართველო-რუსეთი | ანგარიში5,0 | | | | | |
| 19.00 | 143 | ისლანდია-შოტლანდია | 2,35 | 3,1 | 2,8 | 1,33 | 1,27 | 1,47 |
| 20.00 | 144 | ბულგარეთი-ხორვატია | 2,2 | 3,1 | 3,1 | 1,28 | 1,28 | 1,54 |
| 20.30 | 145 | ბელარუსი-ავსტრია | 2,3 | 3,1 | 2,9 | 1,32 | 1,28 | 1,49 |
| 21.00 | 146 | უკრაინა-საბერძნეთი | 1,9 | 3,1 | 3,8 | 1,17 | 1,26 | 1,7 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 147 | ლიტვა-ფარერის კუნძულები | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1,02 | 1,16 | 2,46 |
| 21.00 | 148 | ფინეთი-აზერბაიჯანი | 1,1 | 7,0 | 14,0 | 1 | 1,01 | 4,66 |
| 22.00 | 149 | მალტა-ისრაელი | 8,0 | 4,4 | 1,3 | 2,83 | 1,11 | 1 |
| 22.00 | 150 | რუმინეთი-ნორვეგია | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,11 | 1,22 | 1,85 |
| 22.00 | 151 | პოლონეთი-ლატვია | 1,25 | 5,0 | 9,0 | 1 | 1,09 | 3,21 |
| 22.00 | 152 | მაკედონია-თურქეთი | 5,3 | 3,3 | 1,6 | 2,03 | 1,22 | 1,07 |
| 22.15 | 153 | დანია-ლუქსემბურგი | 1,02 | 10,0 | 20,0 | 1 | 1 | 6,66 |
| 22.30 | 154 | სლოვაკეთი-ინგლისი | 4,7 | 3,3 | 1,65 | 1,93 | 1,22 | 1,1 |
| 23.00 | 155 | ანდორა-ბელგია | 16,0 | 8,0 | 1,05 | 5,33 | 1 | 1 |
| 23.00 | 156 | ალბანეთი-შვეიცარია | 4,0 | 3,2 | 1,8 | 1,77 | 1,24 | 1,15 |
| 23.45 | 157 | საფრანგეთი-სლოვენია | 1,25 | 5,0 | 9,0 | 1 | 1,09 | 3,21 |
| 23.45 | 158 | იტალია-იუგოსლავია | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1,02 | 1,16 | 2,46 |
| 00.45 | 159 | ესპანეთი-ჩრდ. ირლანდია | 1,12 | 6,0 | 14,0 | 1 | 1,03 | 4,19 |
| | | **2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტური. (21 წლამდე)** | | | | | | |
| | | **11 ოქტომბერი** | | | | | | |
| 16.00 | 160 | საქართველო-რუსეთი ანგარიში | 5,0 | | | | | |
| 17.00 | 161 | ბელარუსი-ავსტრია | 2,0 | 3,1 | 3,5 | 1,21 | 1,27 | 1,64 |
| 17.00 | 162 | ალბანეთი-შვეიცარია | 4,4 | 3,4 | 1,65 | 1,91 | 1,2 | 1,11 |
| 18.00 | 163 | ბულგარეთი-ხორვატია | 2,3 | 3,1 | 2,9 | 1,32 | 1,28 | 1,49 |
| 18.00 | 164 | პოლონეთი-ლატვია | 1,2 | 5,6 | 10,0 | 1 | 1,07 | 3,58 |
| 18.00 | 165 | მაკედონია-თურქეთი | 5,0 | 3,6 | 1,55 | 2,09 | 1,18 | 1,08 |
| 19.30 | 166 | ისლანდია-შოტლანდია | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 20.00 | 167 | უკრაინა-საბერძნეთი | 1,9 | 3,2 | 3,6 | 1,19 | 1,24 | 1,69 |
| 20.30 | 168 | ფინეთი-აზერბაიჯანი | 1,25 | 5,0 | 9,0 | 1 | 1,09 | 3,21 |
| 21.00 | 169 | სლოვაკეთი-ინგლისი | 3,8 | 3,2 | 1,85 | 1,73 | 1,24 | 1,17 |
| 21.00 | 170 | მალტა-ისრაელი | 4,7 | 3,3 | 1,65 | 1,93 | 1,22 | 1,1 |
| 21.30 | 171 | დანია-ლუქსემბურგი | 1,05 | 8,0 | 16,0 | 1 | 1 | 5,33 |
| 22.00 | 172 | შვედეთი-უნგრეთი | 1,5 | 3,6 | 5,6 | 1,05 | 1,18 | 2,19 |
| 22.00 | 173 | რუმინეთი-ნორვეგია | 2,0 | 3,1 | 3,5 | 1,21 | 1,27 | 1,64 |
| 23.00 | 174 | ესპანეთი-ჩრდ. ირლანდია | 1,15 | 6,0 | 12,0 | 1 | 1,04 | 4 |
| 23.45 | 175 | საფრანგეთი-სლოვენია | 1,2 | 5,6 | 10,0 | 1 | 1,07 | 3,58 |
| 24.00 | 176 | იტალია-იუგოსლავია | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1,02 | 1,16 | 2,46 |
| | | **12 ოქტომბერი** | | | | | | |
| 16.00 | 177 | მოლდოვა-ჩეხეთი | 6,5 | 3,6 | 1,45 | 2,31 | 1,18 | 1,03 |
| | | **ამხანაგური მატჩები** | | | | | | |
| | | **11 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23.30 | 198 | ბოსნია ჰერცოგოვინა-გერმანია | 7,0 | 3,8 | 1,4 | 2,46 | 1,16 | 1,02 |
| | | **12 ოქტომბერი** | | | | | | |
| 01.00 | 199 | პორტუგალია-ტუნისი | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,83 |
| | | **ჰოკეი. რუსეთი** | | | | | | |
| | | **9 ოქტომბერი** | | | | | | |
| 15.30 | 609 | ნოვოკუზნეცკი-სიბირი | 1,45 | 4,7 | 3,8 | 1,1 | 1,04 | 2,1 |
| | | **ჰოკეი. გერმანია** | | | | | | |
| | | **10 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22.30 | 667 | ნიურნბერგი-ჰამბურგი | 1,5 | 4,7 | 3,5 | 1,13 | 1,04 | 2 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **11 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22.30 | 668 | კიოლნი-შვენინგი | 1,4 | 4,7 | 4,2 | 1,07 | 1,04 | 2,21 |
| 22.30 | 669 | ჰანოვერი-დიუსელდორფი | 2,15 | 4,2 | 2,25 | 1,42 | 1,09 | 1,46 |
| 22.30 | 670 | მანჰაიმი-ფრანკფურტი | 1,5 | 4,7 | 3,5 | 1,13 | 1,04 | 2 |
| 22.30 | 671 | კასელი-იზერლონი | 1,6 | 4,4 | 3,2 | 1,17 | 1,06 | 1,85 |
| 22.30 | 672 | აუგსბურგი-აისბარენი | 2,25 | 4,2 | 2,15 | 1,46 | 1,09 | 1,42 |
| 23.00 | 673 | კრეფელდი-ინგოლშტადი | 1,7 | 4,4 | 2,8 | 1,22 | 1,05 | 1,71 |
| | | **ჰოკეი. ფინეთი** | | | | | | |
| | | **10 ოქტომბერი** | | | | | | |
| 20.30 | 700 | ჰელსინკი-იუვესკიულე | 1,4 | 4,7 | 4,2 | 1,07 | 1,04 | 2,21 |
| 20.30 | 701 | ილვესი-სეიპა | 1,85 | 4,2 | 2,6 | 1,28 | 1,08 | 1,6 |
| 20.30 | 702 | კერპეტი-ტაპარა | 2,1 | 4,2 | 2,3 | 1,39 | 1,09 | 1,48 |
| 20.30 | 703 | ტურკუ-ესპოო | 1,4 | 4,7 | 4,2 | 1,07 | 1,04 | 2,21 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ჰოკეი. NHL** | | | | | | |
| | | **9 ოქტომბერი** | | | | | | |
| 05.00 | 712 | კაროლინა-რეინჯერსი | 2,0 | 4,0 | 2,45 | 1,33 | 1,1 | 1,51 |
| 05.00 | 713 | კოლორადო-დალასი | 1,65 | 4,2 | 3,1 | 1,18 | 1,07 | 1,78 |
| 07.30 | 714 | ლოს ანჯელესი-ფინიქსი | 1,85 | 4,2 | 2,6 | 1,28 | 1,08 | 1,6 |
| | | **10 ოქტომბერი** | | | | | | |
| 04.00 | 715 | ბუფალო-აილენდერსი | 2,1 | 4,0 | 2,35 | 1,37 | 1,1 | 1,48 |
| 04.00 | 716 | ოტავა-ნიუ ჯერსი | 2,0 | 4,2 | 2,4 | 1,35 | 1,09 | 1,52 |
| 04.00 | 717 | კოლუმბუსი-ჩიკაგო | 2,5 | 4,2 | 1,9 | 1,56 | 1,07 | 1,3 |
| 04.30 | 718 | პიტსბურგი-ტორონტო | 2,2 | 4,0 | 2,25 | 1,41 | 1,11 | 1,44 |
| 04.30 | 719 | ფლორიდა-ტამპა ბეი | 1,9 | 4,2 | 2,5 | 1,3 | 1,07 | 1,56 |
| 05.00 | 720 | სტ.ლუისი-ანაჰაიმი | 1,45 | 4,4 | 4,0 | 1,09 | 1,06 | 2,09 |
| 06.00 | 721 | კალგარი-ვანკუვერი | 2,2 | 4,0 | 2,25 | 1,41 | 1,11 | 1,44 |
| 06.00 | 722 | ედმონტონი-ფილადელფია | 2,3 | 4,0 | 2,15 | 1,46 | 1,11 | 1,39 |
| 07.30 | 723 | სან ხოსე-დეტროიტი | 2,45 | 4,0 | 2,0 | 1,51 | 1,1 | 1,33 |


**24 საათი თქვენს განკარგულებაში**

ავტოტრანსპორტით, თანამედროვე
ტექნიკური აღჭურვილობითა და იარაღით

**დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური**

**შპს «დარაკა»**

- პერსონალური დაცვა, საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნების სხვადასხვა სფეროში დასაქმებული მოქალაქეებისთვის.
- დაცვითი ღონისძიებების უზრუნველყოფა.
- საოფისე, ადმინისტრაციული შენობების, საცხოვრებელი სახლების, წარმომადგენლობებისა და ორგანიზაციების დაცვა.
- იურიდიული კონსულტაცია.
- საადვოკატო მომსახურება.
- სასამართლო წარმომადგენლობა.
- აუდიტი.

ჩვენ ვიცავთ კანონს! კანონის უზენაესობა უპირობოა!

მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 41, სართული 5.
ტელ: (99532) 394003, ტელ/ფაქსი: (99532) 225186


**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**


**გაიხსნა კროკოს ახალი ბიუროები**

ვარკეთილი, კალოუბნის „აბ" კორპუსი №48, მელიქიშვილის ქ. №15

**გამოვიდა სარბიელის დამატება**

**კროკო**

**პროფესიონალთათვის**

ორშაბათობით ყველა შედეგი,
ხუთშაბათობით კოეფიციენტები, ბადე-ცხრილები

ფასი 20 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარბიელი

სპორტული ლატარია

CROCO

BOOKMAKERS

კროკო

# ქროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური ფოსტამტი |
| | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, I კორპუსი | |
| | ვარკეთილი, კალოუბნის „აბ" კორპუსი №48 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა№ 27 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | ცხინვალის გზატკეცილი №11 | წმინდაწყლის დასახლება |
| | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |
| | კოსტავას გამზირი №23 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა №21 | ყოფილი სტალინის ქუჩა |
| | ერას ქუჩა №66 | ყოფილი გორკის ქუჩა |
| | ჯავახიშვილის ქუჩა №78 | |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 113 | |
| | ალმაშენებლის ქუჩა № 21 | (სავაჭრო ცენტრი ალამი 1) |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 13 | |
| ხელვაჩაური | ალმაშენებლის ქუჩა № 50 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| ოზურგეთი | გურიის ქუჩა №23 | |
| გურჯაანი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| ფოთი | რკალი, რუსთაველის №18 | |
| საგარეჯო | დავით ალმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ახმეტა | ჩოლოყაშვილის ქუჩა №49 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| ქობულეთი | სასტუმრო „ივერიის" მიმდებარე ტერიტორია | |
| სარფი | საბაჟო პუნქტის პირდაპირ | |

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.

# ევროლიგა

**დღეს ევროლიგა დაიწყება და წინანდელზე მეტ თვალს მიიზიდავს. ეს ტურნირი სხვებზე დიდი და პოპულარულია ევროპაში, ბებერმა კონტინენტმა კი წლეულს საკმაო აღიარება ჰპოვა საკალათბურთო სამყაროში. ნბა-ს ბოლო დრაფტმა და ინდიანაპოლისში გასრულებულმა მსოფლიოს ჩემპიონატმა მანამდე არნახული რეკლამა გაუკეთა ევროპულ საკალათბურთო ბაზარს: დრაფტზე ამერიკელებმა ხარბად დაიტაცეს არაამერიკელები, ხოლო იუგოსლავიელთა მიერ ინდიანაპოლისურ ფინალში ნბა-ს თუნდაც მეორე ნაკრების ძლევამ იანკები სადრაფტო არჩევანის სისწორეში დაარწმუნა**



მსოფლიოს ჩემპიონი დეიან ბოდიროგა ევროლიგის ჩემპიონობასაც აპირებს

# დიდები და ქართველებიც

## პატარძალი ევროპა სიძე ამერიკას ეპრანჭება

**ასე რომ,** მომავალ ევროლიგას ოკეანგაღმიდან უფრო მეტი მზვერავი ეყოლება. რეკლამირებული „საქონელიც" მაქსიმალურად ეცდება ნბა-ს სკაუტებისთვის თავის მოწონებას და შესაბამისად გულშემატკივარიც მოუმრავლდება.

წლევანდელი ევროლიგა რომ უფრო საინტერესო იქნება, ამის იმედს მონაწილეთა რაოდენობაც იძლევა. ტურნირის ორგანიზატორებმა გუნდების შემცირებით ბევრი კლუბი კი გაანაწყენეს, მაგრამ ამით ხარისხს მოიგებენ. აქამდე ევროლიგაში 32 გუნდი თამაშობდა, ახლა კი 24 იქნება. ულებ-მა (ევროპის საკალათბურთო ლიგათა კავშირი) გაუძლო ფიბა-ევროპის მიერ დაარსებულ ჩემპიონთა ლიგის კონკურენციას და ყველა ევრობობოლა შეინარჩუნა, მათ შორის ბოლო ჩემპიონი „პანათინაიკოსიც".

მონაწილეებს და ჯგუფებს თავადაც გაეცნობით, ჩვენ კი ლიდერებსა და „ქართულ" გუნდებზე გავამახვილებთ ყურადღებას. რახან „ბენეტონი" ევროლიგის ფავორიტად მიიჩნევა და თან ქართველიც ჰყავს, მისით დავიწყებთ.

ყველა კლუბს როდი შეუძლია, ორი მოთამაშე და მთავარი მწვრთნელი ნბა-ში გაუშვას და ძველი ძალა შეინარჩუნოს. სწორედ ასეთია „ბენეტონი". ტრევიზოელებმა დამრიგებელ მაიკ დანტონის „ფინიქსში" დაულოცეს გზა, ლიდერი ბოსტიან ნახბარი და ახალბედა ქართველი ნიკოლოზ ცქიტიშვილი კი დრაფტზე მაღალ ნომრებად აირჩიეს ნბა-ს კლუბებმა. ბენეტონელთა ერთადერთი ხმაურიანი შენაძენი ალიასკელ ასასინად წოდებული ტრაიან ლანგდონია. იგი წინა სეზონში კლივლენდელი იყო და ნბა-ში ოდესმე მოთამაშე ერთადერთ ალიასკელად ითვლება.

ახალგაზრდა ახალწვეულნი კი „ბენეტონს" არაერთი ჰყავს და მათ შორის მანუჩარ მარკოიშვილიც. ჩვენებური სერია A-ს განაცხადში ვერ მოხვდა, თუმცა ევროლიგაში მწვანე შუქი უნთია. თუ რამდენ ხანს ათამაშებს მარკოიშვილს „კონდერიდან" მოსული ეტორე მესინა, ვერავინ იტყვის, თუმცა ამერიკელი გამთამაშებელი ტაიუს იდნი რომ მოედანზე საკმაო დროს გაატარებს, უეჭველია. იდნი „ბენეტონის" ლიდერია, მას ევროლიგის მოსაგებად არანაკლებნი — მარკო პიტისი, ხორხე გარბახოსა, მარსელო ნიკოლა და, ცხადია, დანარჩენებიც დაეხმარებიან.

ევროლიგის ჩემპიონობის უპირველეს კანდიდატად „ბარსელონა" მიიჩნევა. კატალონიაში წლეულს ევროპის მყვირალა სახელებმა მოიყარეს თავი. სხვებზე რომ არაფერი ვთქვათ, მწვრთნელად ჰყავთ სვეტისლავ პეშიჩი — კაცი, რომელმაც იუგოსლავია გაამსოფლიოსჩემპიონა. გუნდის ყოჩი კი ევროპაში მოთამაშეთაგან საუკეთესო დეჯან ბოდიროგაა. ყველა დანარჩენიც ევროვარსკვლავია: გრეგორ ფუჩკას სიძლიერეზე ლაპარაკი ზედმეტია, ხუან კარლოს ნავარო წლეულს „ვაშინგტონმა" დრაფტზე აირჩია და ამ სეზონში ბარსელონელობას დაცლის, პატრიკ ფემერლინგი კი გერმანიის ნაკრებში დირკ ნოვიცკის შემცვლელი იყო. ლიტველი შარუნას იასიკევიჩუსი აღიარებული მსროლელია, დანარჩენები ესპანეთის ნაკრების წევრები არიან. „ბარსელონა" ნებისმიერი გუნდისთვის არასასურველი მეტოქეა, თავად კატალონიელთათვის კი ევროლიგის ვერმოგება ტრაგიკული ამბავი იქნება.

ვის ვის, და ცსკა-ს კი მიიჩნევენ ოთხთა ფინალში რიხინ-რიხინით გასვლის კანდიდატად. შესაძლოა, უფრო მეტსაც მიაღწიონ — ამბობენ ევროპაში. არადა, არმიელებმა წლეულს დიდი დანაკლისი განიცადეს, მაგრამ შემცვლელებიც ისეთები გამონახეს, რომ ბევრი სპეციალისტი თავიანთ ძალაზე აალაპარაკეს. რუსებს დაშორდა შარშანდელი ევროლიგის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე, გათურქებული სერბი მირსად თურქჯანი. ნბა-ს მიაშურა გამოცდილმა ხორვატმა გამთამაშებელმა გორდან გირიჩეკმა. ამ ორი ევროვარსკვლავის თავგამოდების მიუხედავად, ცსკა-მ შარშან ვერაფერს გაჰკრა კბილი. ევროსარბიელს ვინ ჩივის, არმიის კლუბმა რუსეთის ჩემპიონატის ნახევარფინალსაც ვერ უწია. ჩავარდნას ხავერდოვანი რევოლუცია მოჰყვა: გუნდის თავს ალექსანდრ ტიხონენკოს და კიდევ ბევრს კარიერის სხვაგან გაგრძელება ურჩიეს.

ცსკა-ს ევროპაში ცნობილი იუგოსლაველი მწვრთნელი დუშან ივკოვიჩი უთავკაცებს. სერბმა გამოცდილებთან ერთად ახალგაზრდა, პერსპექტიული მოთამაშეებიც შემოიკრიბა. გაარმიელდა ნბა-ში 15 წელს ნაბურთავები, ბოლოს „მაიამიში" ვლადიმერ სტეფანიას თანაგუნდელი კრის გატლინგი. მოსკოველებს ემედებათ ნადრაფტალ დარიუს სონგალიასიც. ყველაზე მეტად კი რუსეთში ახალ კრილენკოდ მონათლულ ვიქტორ ხრიაპას გადაბირება ახარებთ. ხრიაპას ამბავი ქართველებმაც ვიცით. შარშან თბილისში ავტოდორელად ჩამოსულმა ვიქტორმა მაკაბელებს მწვრთნელ ანანა კორაჩის თასზე ძალების მოსინჯვა. ამათ გარდა არმიელებს ავკული ჯეი არ ჰოლდენი და ოლიმპიაკოსელი თეოდოროს პაპალუკასი ჰყავთ. თამამად ითქმის: წითელარმიელებს პირველი ჯგუფური ეტაპიდან გასვლაში წითელი არ აუნთებათ, ვინძლო მეორიდანაც.

ეს სამი გუნდი მიიჩნევა ევროლიგის პირველხარისხოვან ფავორიტებად, რომელთა გვერდშიც მიუხედავად მნიშვნელოვანი დანაკარგისა, „პანათინაიკოსიც" დგას.

ნახსენებ გუნდებთან ვერ მივა ვლადიმერ ბოისას „ოლიმპია". ლიუბლიანური გუნდი დაიშალა და ახლებით შეივსო. ძველი ოლიმპიელებიდან ახალში მხოლოდ ბოისა, ილიევსკი და ჰუკიჩი თამაშობენ. სლოვენიელებმა ჯგუფიდან თუ გააღწიეს, მადლობა უნდა თქვან, ჩვენ კი იმით დავარხეინდეთ, რომ ხუთეულში ფეხგადგმული ბოისა მოედანზე უწინდელზე მეტს დაჰყოფს.

ჯგუფიდან გასვლის რეალური შანსი აქვს მესამე ქართველის გუნდს. ზაზა ფაჩულიას „ულქერმა" კადრე ლოლისის, ასიმ ფარსის, რობერტს შტელმახერსის სანაცვლოდ სკაოლინელები — ჯოზეფ ბლერი და მელვინ ბუკერი მიიღო. ზაზაც ევროლიგურ მოედანზე ალბათ უწინდელზე მეტხანს გამოჩნდება. შარიანი მურათ დიდინის ნაცვლად „ულქერში" თავკაცად თოლგა ოლგორენი მივიდა, თანაც გამოცდილი ასიმ ფარსი შედარებით სუსტი ცენტრით ფათიჰ შოლაკით შეუცვლიათ.

გათამაშების ფორმატი თითქმის უცვლელია. მეორე ჯგუფურ ეტაპზე უწინდელივით 16 გუნდი გავა — პირველი ჯგუფურის ხუთ-ხუთი საუკეთესო და ერთიც ყოჩაღი მეექვსეადგილოსანი. ამათგან ოთხი ოთხგუნდა ჯგუფი შეიქმნება და გამარჯვებულები 9-11 მაისს ბარსელონაში ოთხთა ფინალს ითამაშებენ.

**ირაკლი ბერტაია**

| A ჯგუფი | B ჯგუფი | C ჯგუფი |
|---|---|---|
| **ბენეტონი** (იტალია) | **პანათინაიკოსი** (საბერძნეთი) | **კინდერი** (იტალია) |
| **ბარსელონა** (ესპანეთი) | **მაკაბი** (ისრაელი) | **ოლიმპიაკოსი** (საბერძნეთი) |
| **ეფესი** (თურქეთი) | **ტაუ** (ესპანეთი) | **რეალი** (ესპანეთი) |
| **აეკ** (საბერძნეთი) | **ოლიმპია** (სლოვენია) | **ცსკა** (რუსეთი) |
| **სკიპერი** (იტალია) | **სიენა** (იტალია) | **ულქერი** (თურქეთი) |
| **პო ორტეზი** (საფრანგეთი) | **უნიკახა** (ესპანეთი) | **ვილერბანი** (საფრანგეთი) |
| **ციბონა** (იუგოსლავია) | **ჟალგირისი** (ლიტვა) | **შლიონსკი** (პოლონეთი) |
| **ალბა** (გერმანია) | **ბუდუჩნოსტი** (იუგოსლავია) | **პარტიზანი** (იუგოსლავია) |



# ეკლსტოუნის შარზეა

## ფერარის დაფეხმძიმებას უპირებს





ბერნი ეკლსტოუნი მიხაელ შუმახერს ეომება?

### პროტესტის ნიშნად

ჯერჯერობით მხოლოდ ორი საფორმულო საჯინიბოს უფროსობამ ამოიღო ხმა საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ ბერნი ეკლსტოუნის ზეისტორიული გადაწყვეტილების საწინააღმდეგოდ. მალე მათ ალბათ სხვებიც შეუერთდებიან.

საქმე ასე გახლავთ: ბოლო ორ სეზონში ფანტასტიკური „ფერარისა" და მიხაელ შუმახერის არნახულმა დომინირებამ სამეფო რბოლების 71 წლის მეპატრონე საგონებელში ჩააგდო, მაყურებელთან ერთად უამრავმილიონიანი შემოსავალიც ხელიდან მეცლებაო და, თავისი ჭკუით, „წითელი ბარონის" თარეშის დასაოკებელი ეფექტური გეგმაც მოიფიქრა, ეგრეთ წოდებული ჰანდიკაპის პრინციპი — მოდი, შუმის მანქანას დავამძიმებ, რათა სხვებს წამოწევის საშუალება მიეცეთ, მაშინ ფერარისტებს იმხელა უპირატესობა აღარ ექნებათ, რომ ავსტრიისა და აშშ-ის მსგავსი ცირკი მოაწყონო.

ფორმულა 1-ის გადარჩენის ბერნისეული პროექტით, ყოველი რბოლის წინ ჩემპიონატის ლიდერის (სულერთია, შუმახერი იქნება თუ სხვა) ბოლიდში იმდენკილოგრამიანი ბალასტი, ანუ ზედმეტი ტვირთი უნდა ჩაიდოს, რამდენი ქულითაც იქნება იგი წინ სატურნირო ცხრილში უახლოეს კონკურენტზე, რაც შესაბამისად გამოიწვევს სისწრაფის შემცირებას. „ბერნის წესი" უკვე რომ წესობდეს, მომავალ კვირას იაპონური ეტაპის სტარტზე მიხაელის „ფერარიში" 63 კილო ჯართი იდებოდა, ეს კი პრაქტიკულად სავსე ავზით ჯირითის ტოლფასია. შუმი მაშინ მაინც „დანელდებოდა" და დანარჩენებს, მათ შორის დაფეხვილ „ეროუს-მინარდებსაც" მისი გასწრების შანსი გაუჩნდებოდათ. ცნობისთვის, მსგავსი წესი ავტორბოლის ერთ-ორ სახეობაში მოქმედებს, თუმც ვერ ვიტყვით, მონაწილეთა აღფრთოვანებას იწვევდეს.

ეკლსტოუნი თავისაზე დგას: „ფერარელთა ტოტალური „ტერორის" პირობებში დროა, რადიკალური გამოსავალი ვეძებოთ, რათა სამეფო რბოლებს ინტრიგა და მაყურებელი შევუნარჩუნოთ. აუცილებელია ტრასებზე ბრძოლის ფაქტორის გაზრდა, რადგან სადღეისოდ ამ საკითხში უზარმაზარი პრობლემებია. ყოველმხრივ ვეცდებით, მეტოქეები თანაბარ პირობებში ჩავაყენოთ, რათა საგაისო ჩემპიონატი კვლავ მიმზიდველი შოუ გახდეს".

ფორმულის მამა-მარჩენლის ოპონენტები, „უილიამსისა" და „მაკლარენის" შეფები, კატეგორიულად აცხადებენ, აბსურდულ საბალასტო პროექტს ხელს არ მოვაწერთ — მართალია, სკუდერიელები მთელი თავით გვჯობნიან, მაგრამ არავინ მოისურვებს ახალი წესით სარგებლობას და მათ წინ ყოფნას იმის ხარჯზე, რომ ბოლიდები დაუმძიმდათო.

**გია ახალაძე**



# ლიგას კონტროლი არ უნდა

## უეინ გრეცკის ჰოკეის სულში და სისხლში ჩახედვა უნდა



უეინ გრეცკი

**საკმაოდ** მოულოდნელი რამ განაცხადა ამ დღეებში ყველა დროის უდიადესმა ჰოკეისტმა, ამჟამად კი ფინიქსის თანამფლობელმა უეინ გრეცკიმ. მისი აზრით, ნჰლ-მა სასწრაფოდ უნდა შემოიღოს დოპინგ-კონტროლი. „ვფიქრობ, ეს დიდ სარგებლობას მოუტანს ნჰლ-ს, პირველ ყოვლისა, საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტთან თანამშრომლობის თვალსაზრისით" — ასე განმარტა გრეცკიმ თავისი განცხადება. ჭეშმარიტების მარცვალი ამაში, რა თქმა უნდა, არის. მას შემდეგ, რაც ნჰლ-ის ჰოკეისტები ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობენ, მათთვის დოპინგ-კონტროლი უცხო ხილი როდია, მაგრამ, მეორე მხრივ, ოკეანგაღმელები დოპინგტესტებს ყოველთვის სპორტსმენის უფლებების შელახვად მიიჩნევდნენ. ამიტომაც შესაძლოა, გრეცკის წინადადება დიდ წინააღმდეგობას წააწყდეს. ისე თუ ნჰლ-ის მიმქანცველ ჩემპიონატში ორმოცსგადაბიჯებული ჰოკეისტების მოუღლელ გარჯას გავიხსენებთ, მართლაც ბევრი რამაა გასაკვირი.

საინტერესოა, რომ თავად გრეცკის ჟურნალისტებმა საკმაოდ პროვოკაციული კითხვები დაუსვეს. მაგალითად, დაეხმარებოდა თუ არა მას დოპინგი კარიერის გაგრძელებასა და კიდევ უფრო დიადად გახდომაში. „არა, ჰოკეი ისეთი სახეობაა, სადაც დოპინგი ხელს უფრო გიშლის, ვიდრე გეხმარება" — ამაყად უპასუხა „დიადმა".

ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. თუ ლიგის მესვეურებმა უეინ გრეცკის წინადადება ყურად იღეს, ვინ იცის, რამდენი რამ გამოაშკარავდება, როგორი სენსაციური ამბების მოწმენი გავხდებით.

**სამველ ლარიბიანი**



REUTERS ფოტო

იურგენ მელცერი

# რბოლა შანხაისკენ

## კოსტა პოზიციებს ვერ იმაგრებს

წლევანდელი მეროლანგაროსის, ესპანელი ალბერტ კოსტას ბოლოდროინდელი ვაინაჩრობანი იმ დღეს ვენურ მაგარსაფარზეც გაგრძელდა. კოსტა, ვინაც ანდრეი პაველთან შეხლის პირველ სეტში შვიდი სეტბურთი ვერ გამოიყენა, უკანასკნელ 8 მატჩში უკვე 6 წაგებას მოითვლის, ხოლო პარიზულ სეფეთიხნარზე გალაღების შემდეგ სულ 16 შეხვედრა გამართა და რამდენჯერაც მოიგო, იმდენივე მარცხი იგემა.

კარიერის განმავლობაში კოსტას 12 ტიტული მოუნაგრავს და 12-ვე თიხნარზე. თავის სათულფე საფარზე წლეულს მან 36-ჯერ იჩოგნავა და მეტოქეებს მხოლოდ 8 მატჩი დაანება. სხვა საფრიან კორტებზე კი ის 16-ჯერ გავიდა და გამარჯვება ოდენ 6 მათგანში მოიპოვა.

თუკი კოსტა მომდევნო კვირებშიც ასე უნდილად ითამაშებს, შესაძლოა, 12-17 ნოემბერს შანხაიში გასამართი მასტერსთასის მიღმაც დარჩეს. წლის დამაგვირგვინებელ რვაკაცა ტურნირში მონაწილეობის მიღება კი — მისი გამორჩეული სტატუსის გამო — კაცთა საჩოგნეთში ერთობ პრესტიჟულ ამბად მიიჩნევა.

შეგახსენებთ, რომ მასტერსთასი ATP ტურის ერთგვარ სეზონფინალს წარმოადგენს და მასში პირველობას ერთმანეთს ჩემპიონთა რბოლაში პირველ შვიდ ადგილზე გასული მეჩოგნე პლუს ზეოცეულში ყველაზე მაღალ საფეხურზე მდგომი იმწლევანდელი მესლემტიტულე ეცილება.

კოსტას რბოლაში ამჟამად 393 ქულა აქვს და მე-7 საფეხური უპყრია, მაგრამ უშუალო მდევრებთან — ტომი ჰაასთან (388), ენდი როდიკსა (383) თუ როჯერ ფედერერთან (360) არც ისე დამაჯერებლად უპირატესობს. ერთი ეგაა, წლევანდელ მესლემტიტულეთაგან მე-12 ადგილზე მყოფი და 347 ქულის მქონე პიტ სამპრასი სეზონის დარჩენილ ტურნირებს მხოლოდ ტელეეკრანიდან შეხედავს, რაკიღა სადღაც ერთ თვეში პირმშოს ელოდება და სხვა აღარაფერი აინტერებს, მეთოთხმეტე ადგილზე მდგომ ტომას იოჰანსონს კი, ვინაც იანვარში ავსტრალიის ღია პირველობაზე იმარჯვა, ჯერ მხოლოდ 312 ქულა გააჩნია.

ბარემ აქვე იმასაც მოგაგონებთ, რომ კოსტას წინ „მრბოლი" ექვსი მეჩოგნიდან — ესენი ლეიტონ ჰიუიტი (697), ანდრე აგასი (554), მარატ საფინი (460), ხუან კარლოს ფერერო (425), ტიმ ჰენმანი (420) და კარლოს მოია (402) გახლავან — შანხაიში მონაწილეობა ამთავითვე უკვე მხოლოდ ჰიუიტმა და აგასიმ დაიბევს...

კოსტა: „სამი ტურნირი ჯერაც წინა მაქვს. შანხაიში გამოსვლა ძალიან მინდა და ამიტომ დარჩენილ მატჩებში გიჟივით ვითამაშებ. კაცს რამდენიმე დიდი მიზანი უნდა გქონდეს. ერთი დიდი სლემის მოგებაა, მეორე კი მასტერსთასზე თამაში და იქ წარმატების ძებნა".

კოსტასგან განსხვავებით, წლის მეხუთე ტიტულისთვის ომი ყისმათიანად დაიწყო მისმა თვისტომმა, კარლოს მოიამ (4), რომელიც — აკი ზემოთ გაუწყეთ — თავადაც შანხაიში მოსახვედრთა რიგშია ჩამდგარი.

მოია: „ვენაში მესამედ ვარ და მოგება კი პირველად შევძელი... უახლოეს მიზნებზე რა გითხრათ, ყველაფერი ისედაც ნათელია — ვისაც შანსი გვაქვს, ყველა შანხაიში მოსახვედრად ვიბრძვით. მასტერსთასზე გამოსვლას ჩემთვის უდიდესი მნიშვნელობა ექნება. თუკი ეს მოვახერხე, ჩავთვლი, რომ დიდ ჩოგბურთში მართლაც დავბრუნდი".

სხვაფრივ — არგენტინელმა გილერმო კორიამ ჭერქვეშა მაგარსაფარზე ცხოვრებაში პირველად ითამაშა და დებიუტით უთუოდ ნაამები უნდა დარჩენილიყო. ჭერგარე მაგარსაფარზე რომ რიგიანად ბურთაობა შეეძლო, ეგ წინა თვეში ბრაზილიაშიც ცხადყო, სადაც ფინალამდე იარა და იქ სამსაათიან ბუღრაობაში გუსტავო კუერტენთან დათმო.

დანარჩენი ორი შეხვედრიდან კი ერთში ვეტერანმა არგენტინელმა აგუსტინ კალერიმ ჭაბუკი ამერიკელის, ტეილორ დენტის მდულარე ჯიგარი დააცხრო, ხოლო ბოგდან ულირახმა მიხელ კრატოხვილთან პაექრობისას მესამე სეტში 4-გეიმიანი დეფიციტი (1:5) აღმოფხვრა და მომდევნო წრეში გავიდა.

კიდევ ერთი არგენტინელი მარიანო ზაბალეტა კი ავსტრიული პუბლიკის სიხარულის ირიბი მიზეზი შეიქნა — სამსეტიან დაძაბულ ბრძოლაში მასპინძელ იურგენ მელცერისგან დაიჩოგნა.

ამ ტურნირის გამარჯვებული 119 750 დოლარს მიიღებს — სჯობს, ეგ ამბავი აქედანვე ვიცოდეთ.

**ვენის საერთაშორისო ტურნირი**
ჰარდი. საპრიზო 765 ათასი $

**პირველი წრე**

**ანდრეი პაველი** (რუმინეთი) — ალბერტ კოსტა (3, ესპანეთი) 7:6 (8:6), 6:1; **კარლოს მოია** (4, ესპანეთი) — იან ვაცეკი (ჩეხეთი) 6:4, 6:3; **გილერმო კორია** (არგენტინა) — ნიკოლას ლაპენტი (ეკვადორი) 5:7, 7:5, 7:5; **აგუსტინ კალერი** (არგენტინა) — ტეილორ დენტი (აშშ) 6:4, 5:7, 6:3; **ბოგდან ულირახი** (ჩეხეთი) — მიხელ კრატოხვილი (შვეიცარია) 6:3, 6:7 (2:7), 7:6 (7:2); **ნიკოლაი დავიდენკო** (რუსეთი) — დავიდ ნალბანდიანი (8, არგენტინა) 6:3, 6:2; **იურგენ მელცერი** (ავსტრია) — მარიანო ზაბალეტა (არგენტინა) 6:3, 3:6, 7:6 (7:4); **ირჟი ნოვაკი** (5, ჩეხეთი) — ალბერტო მარტინი (ესპანეთი) 6:2, 6:4; **რაინერ შუტლერი** (გერმანია) — დომინიკ ხრბატი (სლოვაკეთი) 6:4, 6:3

**ლიონის საერთაშორისო ტურნირი**
ხალიჩა. საპრიზო 761 ათასი $

**პირველი წრე**

**ტომას იოჰანსონი** (4, შვედეთი) — ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) 5:7, 7:6 (8:6), 6:2; **ფერნანდო გონსალესი** (6, ჩილე) — ხოსე აკასუსო (არგენტინა) 6:4, 7:5; **უეინ არტურსი** (ავსტრალია) — ფერნანდო ვისენტე (ესპანეთი) 7:6 (7:3), 6:7 (5:7), 6:4

ალ კოსტასი არ იყოს, ამ ბოლო დროს ტომას იოჰანსონიც ბითურად თამაშობს. ლიონში რომ ადგილობრივთა ფალავანთაგანს, ტურნირის 1997 წლის ჩემპიონ ფაბრის სანტოროს აჯობა, ეგ უკანასკნელ 7 შეხვედრაში მისი მეორე გამარჯვება იყო. საკუთრივ სანტოროსთან კი შვედს ცხოვრებაში შვიდჯერ უთამაშია და ამ შვიდიდან მისთვის მხოლოდ ერთხელ დაუთმია.

ასეთი ხარისხიანი განდაგანა ჯერ არც ერთხელ გამოგვსვლიაო, ამბობდა მერე იოჰანსონი, ვისაც — გეხსომებათ — აშშ-ის ღია პირველობა მხრის ტრავმის გამო გაუცდა.

იოჰანსონის საშანხაიო შანსებზე აქ აღარაფერს ვიტყვით — ამ თემის შესახებ ზემოთ ისედაც ბევრი ვილაპარაკეთ და მიმხვედრი იქვე მიხვდებოდა, წლევანდელი მეავსტრალიე ალ კოსტაზე უარეს მდგომარეობაში რომ იმყოფება.

მეექვსე ნომრად განთესილმა ჩილელმა ფერნანდო გონსალესმა კი არგენტინელ დოსტ ხოსე აკასუსოს აჯობა. მეგობრები და მესპარინგენი ერთმანეთს რვა დღის წინ პალერმოული თიხნარტურნირის ფინალშიც წაექიშპნენ და ამღლევანდლის დარად მაშინაც ჩილელმა იხეირა. 22 წლის გონსალესმა ორიოდე წლით უმცროსი აკასუსო ადრესეზონში ვინა დელ მარის მეოთხედფინალშიც დაჩოგნა, სადაც მერე კარიერის პირველი ტიტულიც ირგუნა.

ჯიშად მეთიხნარე, იგი ახლა უფრო სწრაფ საფართან გაშინაურებასაც ცდილობს და იმედი აქვს, ლიონური ხალიჩა საამისოდ კარგი სარბიელი იქნება...

ისე კი — ტურნირზე წინა შაბათს მოსკოვში ჩაფლავებული მარატ საფინი და ევგენი კაფელნიკოვიც გამოვლენ, ხოლო გამარჯვებული ჯილდოსთან ერთად 100 500 დოლარითაც დასაჩუქრდება.

**ლევან ძელაურაძე**

# სერენა სხეულს ამზადებს

**WTA ტურმა** გამოაქვეყნა იმ რვა მეჩოგნე ქალის ვინაობა, ვისაც ლოს ანჯელესურ „სტეიპლს სენტერში" 6 ნოემბრიდან 11 ნოემბრამდე გასამართ 16-ქალა ტურნირში მონაწილეობა უკვე გარანტირებული აქვს. ეს ქალები სერენა და ვინუს უილიამსები, ჯენიფერ კაპრიატი, მონიკა სელეში, ამელი მორესმო, ჟუსტინ ენენი და მარტინა ჰინგისი არიან.

16-ქალა ჩემპიონატი, რომელსაც ფირმა „პორშე" მთავარსპონსორობს, ქალთა საჩოგბურთო სეზონს 1972 წლიდან აგვირგვინებს ხოლმე. 1979-2000 წლებში ამ ტურნირს ნიუიორკული „მედისონ სკუერ გარდენი" მასპინძლობდა. შარშან ქალები მიუნხენში შეიყარნენ, წლევანდელი სეზონფინალი კი ლოს ანჯელესში, იქაურ საკალათბურთო და საჰოკეიო კლუბთა — „ლეიკერსის", „კლიპერსისა" და „კინგსის" ბუნაგში გაიმართება. ფსონი 3 მილიონი დოლარი ყოფილა, გამარჯვებულს კი 765 ათასს არგუნებენ.

სერენა უილიამსი, რომელიც შარშანდელი გამარჯვებული გახლავთ, საამტურნიროდ გამორჩევით ემზადება და როგორც ამ დღეებში განაცხადა, იქ თამაშამდე ჩოგანს არსად გაანძრევს — არც ფილდერსშტადტში ამ კვირაში მიმდინარე ტურნირზე და არც მომდევნო კვირებში ციურიხსა და ლინცში გასამართ ასპარეზობებზე.

„უკანასკნელი ხუთი თვის განმავლობაში სერიოზული ბრძოლები გადავიტანე, უამრავი მატჩი ვითამაშე და ჰა, თუ ფიზიკურად, ჰა, თუ მენტალურად ძალიან დავიღალე. ეს სამი კვირა თუ არ გავჩერდი, შეიძლება, დავშავდე ანდა ისე გამოვიფიტო, რომ აღარაფრის თავი არ მქონდეს. ჩემი უმთავრესი მიზანი ახლა ისაა, სხეული რაც შეიძლება უკეთ მოვამზადო ერთ თვეში დასაწყები ჩემპიონატისთვის"— თქვა სერენამ.

მასხავით მოელის ამ ტურნირს ვინუსიც, რომელსაც წინა ორ პირველობაზე თამაშის საშუალება ტრავმის გამო არ მიეცა.

სხვაფრივ — ჯენი კაპრიატი ეცდება, როგორმე ნავსი გატეხოს და პირველად გასცდეს მეოთხედფინალს, სადაც ის სამჯერ — 1991, 1992, 2001 წლებში დაიჩოგნა. მონიკა სელეშს თუმც დასამტკიცებელი არაფერი აქვს — ჩემპიონატი მას თავის დროზე (1990-92) ზედიზედ სამჯერ აუოხრებია — მაგრამ მორიგ ტიტულზე უარს დასტურ არ იტყვის. ისევე როგორც ორგზის ჩემპიონი მარტინა ჰინგისი და ჩემპიონი ლინდსი დევენპორტიც, რომელიც „გარანტირებულ რვიანში" კი ვერ მოხვდა (რაკიღა „პორშეს რბოლაში" ოდენ მე-20 საფეხური ეპყრა), მაგრამ კრემლის თასის ფინალში გასვლის შემდეგ „სტეიპლს სენტერში" გარონიება თითქმის უეჭველად დაიბევა.

ამათ გარდა იქ ალბათ დანიელა ჰანტუხოვა, კიმ კლაისტერსი, ანასტასია მისკინა და სხვა მაგარ-მაგარი გოგონებიც ითამაშებენ.



სერენა უილიამსი

# დონ კინგის მოულოდნელი აღსარებანი

## ვინუსი და სერენა ჩემს ხელში გაიზარდნენ. ციხეში რომ ვიჯექი, ჩემპიონი ვიყავი

**კრივის** ყოვლისმაქნის პრომოუტერს, დონ კინგს ქუჩის ცუდბიჭობიდან პროფესიულ საკრივეთში უგაელენიანეს ბობოლობამდე იმხელა გზა გაუვლია, რომ რა საგანი უნდა იყოს, შთამბეჭდავად და საქმის კაი მცოდნესავით არ ისაუბროს. ამას წინათ ერთი ოკეანისგაღმური ჟურნალის წარმომადგენლები მას ჩოგბურთზეც შელაპარაკებიან. 71 წლის კინგს სათქმელი ამ თემაზეც საკმაოდ აღმოაჩნდა. გაირკვა, რომ მთელი მისი ცხოვრების განმავლობაში ის ჩოგბურთის თავგადაკლული ფანი ყოფილა...

„ჩოგბურთი ყოველთვის მაგრად მიყვარდა, ქომაგიც ვიყავი, თავადაც მითამაშია და სხვებსაც დავხმარებივარ. სხვა თუ არავინ, ვინუს და სერენა უილიამსები ხომ ჩემს ხელში გაიზარდნენ. მაგათ მამა რიჩის ჩემს მეტი არავინ ეხმარებოდა. ეს პატარა ანგელოზები ვარჯიშზე ჩემი მაისურებით დადიოდნენ. მე მათი სპონსორივით ვიყავი... ყოველთვის უდიდესი სიამოვნებით ვუყურებ სამპრასისა და აგასის შეხვედრებს, მონიკა სელეშიც ძალიან მიყვარს — მაგარი მებრძოლია. ალან კინგი, ჩემი ებრაელი ძმა და მე მთელ დროს „სიზარს პალასში" ვატარებდით ცნობილ პანჩო გონსალესთან ერთად"...

„უილიამსების და ჩემი ურთიერთობის თუ არ გჯერათ, თავად რიჩის ჰკითხეთ, ეგრე აჯობებს. თორემ ისედაც სიაფანდს მეძახიან და კიდევ ერთ შარში გახვევა არაფერში მჭირდება".

„მაინც რატომ მიყვარს ჩოგბურთი? აქაც, კრივის არ იყოს, ყველაფერი ერთი ერთზე ირკვევა. ფაიზალი კაცობაც და ქალობაც სწორედ მაშინ ჩნდება, როცა ერთი ერთზეა"...

„როცა ვიჯექი, ჩემპიონი ვიყავი. ოო, ეს მაგარი ვარჯიში იყო. იცით, რას ვურტყამდი! ეისებიც გამომდიოდა. ერთი ასმილიანი მოწოდება ნაღდად მექნებოდა. ბააააჰ! ზუსტად ხაზზე ვაბრახუნებდი. მერე ხელუკულმა... ბუუუუუხ! მაგრამ როცა გამოვედი, მივხვდი, დიდ კორტზე მაინც ვერ გავქაჩავდი და თავი დავანებე."

„ყველაზე მაგრად რა გამიხარდა? როცა ალტეა გიბსონმა (შავკანიანი მეჩოგნე ქალი გახლდათ) უიმბლდონი მოიგო. ჩოგბურთს ადრე მხოლოდ თეთრები თამაშობდნენ და ყველაზე მეტი, რაც ჩვენ შეიძლებოდა იქ გაგვეკეთებინა, ეს გასახდელში მათი ფეხსაცმელების წმენდა იყო. ალტეამ კი კორტისკენ მიმავალი გზა შავკანიანებსაც გაუხსნა და საზოგადოების დემოკრატიული განვითარების ამბავში ძალზედ დადებითი როლი შეასრულა".



დონ კინგი

„ყველაზე დიდი გულისდაწყვეტა? ალბათ მაინც არტურ ეშის, დიდი შავკანიანი მეჩოგნის გარდაცვალება. არტური ტკბილი კაცი იყო".

„ყველა დროის ფავორიტებს რაც შეეხება, ერთხელ ერთი უცნობი გოგოს თამაში ვნახე — პატარა ქალი იყო, თანაც ფლორიდიდან, ზუსტად ჩემი ქალაქიდან... მერე ყველამ გავიგეთ, რომ ეს კრის ევერტი ყოფილა. მას შემდეგ ის ჩემი მთავარჯილა გახლდათ. კაცებში კი ჯერ ჯიმი კონორსი — გახსოვთ ალბათ, რა მხეციც იყო. მერე კი აგასი გამოჩნდა... თუმცა ყველაზე მეტად, იცით, ვინ მიყვარდა — აბა, თუ მიხვდებით? ერთი ძალიან ცუდი ბიჭი. ჰმ — რასაკვირველია, ჯონ მაკინროი".

**ლევან ძელაურაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

2003 წლის მსოფლიოს თასი. შესარჩევი ტურნირი

13 ოქტომბერი. თბილისი. «ეროვნული». 15 საათი

# საქართველო — რუსეთი



საქართველო — რუსეთი: ფიცხელი იყო, ფიცხელი იქნება

## დღეიდან კვირამდე ყოველდღე ორშაბათია

**გუშინ** გამთენიისას საფრანგეთიდან ნაწილ-ნაწილ ჩამოფრენილი ბორჯღალოსნები დილის რვა საათზე რაგბის კავშირთან შეიკრიბნენ და მცხეთისკენ აიღეს გეზი. ზოგმა ოჯახის მონახულებაც ვერ მოასწრო, ისე წავიდა სანაკრებო შეკრებაზე.

მცხეთაში ნაკრების მწვრთნელმა კლოდ სორელმა 31 მორაგბე იახლა. ამათგან სორელი მატჩის წინა დღეს იმ 22-კაციან შემადგენლობას შეარჩევს, რომელსაც რუსებს დაახვედრებს.

ამ მატჩის მნიშვნელობა სორელზე კარგად ვინ იცის და აქამდე უჩვეულო მკაცრი რეჟიმი დააწესა. მორაგბეებს აეკრძალათ ინტერვიუების მიცემა. ვარჯიშზე ჟურნალისტების დასწრება ნებადართულია, ოღონდ მორაგბეებთან საუბარი არა. ერთი სიტყვით, ნაკრები ყაზარმულ რეჟიმზე გადავიდა. როგორც რაგბის კავშირის ხელმძღვანელებმა გვითხრეს, ბორჯღალოსანთა სიმყუდროვეს ჩიტიც ვერ დაარღვევს. მორაგბეთა სიწყნარეს შეიარაღებული ხალხი იცავს და სორელის ნებართვის გარეშე მორაგბეებთან მიახლოებას ვერავინ შეძლებს.

სორელმა ამგვარი წესები ადრეც შემოიღო, როცა წლეულს ნაკრებს სარუმინეთოდ ამზადებდა. ოღონდ, მაშინდელი წესები გაცილებით შერბილებული იყო.

გუშინ ბორჯღალოსანთა მწვრთნელმა ნამგზავრი და გამოუძინებელი შეგირდები დიდად არ დატვირთა. შეკრებაზე მყოფებს დასვენების საშუალება მისცა და მხოლოდ თეორიული მეცადინეობა ჩაუტარა.

დილის ძილის შემდეგ ბორჯღალოსნებმა ჯაკუზით მიიღეს კუნთები, მერე ტრენაჟორებზე ივარჯიშეს და შუადღისას რუსეთის მატჩების ვიდეოფირიც ნახეს.

გამეორება ცოდნის დედააო და ბორჯღალოსნებმაც ერთხელ ნანახი რამდენჯერმე დაატრიალეს. რუსეთის ნაკრების თამაშის დეტალური განხილვის შემდეგ თეორიული მეცადინეობის დროც დადგა. დაფაზე ტაქტიკური მონახაზების ახსნა-გარჩევის შემდეგ მორკინალები და უკანახაზელები ცალ-ცალკე შეიკრიბნენ და რამდენიმე სათამაშო ნიუანსი შეათანხმეს.

ასეთი იყო ბორჯღალოსანთა გუშინდელი დღე. დღეიდან კი საქართველოს ნაკრებისთვის ყოველი დღე ორშაბათი იქნება. ნაკრები დღეში ორჯერ საგანგებო რეჟიმში ივარჯიშებს. რას იზამ, სასწორზე მსოფლიოს თასის საგზური დევს. მეტოქე კი რუსეთია!

**ბაჩო სვანიძე**

## რუსული ცირკი

### ციმბირელი დათვები და აფრიკელი მომთვინიერებელი

რუსეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა — სამხრეთაფრიკელმა ჯეიმს შტოფბერგმა და მისმა თანაშემწემ ალექსანდრ პერვუხინმა ის 29 მორაგბე დაასახელეს, თბილისში რომ ჩამოიყვანენ. მატჩის წინა დღეს ამათგან 22-კაციან საბრძოლო შემადგენლობას შეარჩევენ.

როგორც უწინ, რუსები ამჯერადაც ასაიდუმლოებენ თბილისში დროებით საცხოვრებელ ადგილს და ნაკრების ვარჯიშის გრაფიკს. დაზუსტებით მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ 40-კაციანი დელეგაცია მოსკოვიდან 11 ოქტომბერს ჩამოფრინდება თბილისში. ჩამოსულებში არ იქნებიან გულშემატკივრები და ჟურნალისტები, რადგან ისინი უფრო ადრე რუსეთის საფეხბურთო ნაკრებს ჩამოჰყვებიან.

თბილისში ჩამოსვლამდე რუსეთის სარაგბო ნაკრები მოსკოვის „სლავას" ბაზაზე ვარჯიშობს. უქმეების შემდეგ ბორჯღალოსანთა მთავარმეტოქის ბანაკშიც მატებაა. გუნდს შეუერთდნენ საფრანგეთში მოთამაშე ლეგიონერები: მონტობანელები — სერგეი სერგეევი, ვიაჩესლავ გრაჩოვი, კონსტანტინ რაჩკოვი და ჩვენებური ვასილ კაცაძის თანაკლუბელი, გრენობლელი მურატ უამბაევი. ამათ რამდენიმე სავარჯიშო დღე საკლუბო მატჩების გამო გააცდინეს. საგულისხმო ფაქტი — ბორჯღალოსნების გაფართოებულ, 31-კაციან შემადგენლობაში 23 ლეგიონერია, როცა რუსებს მხოლოდ ოთხი „ფრანგი" ჰყავთ. მიუხედავად ამისა, რუსები მაინც აზრხებენ, ტოლ-სწორად ეჭიდავონ ბორჯღალოსნებს. აი, რას ნიშნავს ეროვნული ჩემპიონატის დონე. რუსებს კი ამ მხრივ საქმე კარგად აქვთ. განსაკუთრებით ძლიერი ორი ციმბირული კლუბია: კრასნოიარსკის „ენისეი სიბტიაჟმაში" და „კრასნი იარი". „კრასნი იარიდან" ნაკრებში 10 მორაგბეა გამოძახებული, „სიბტიაჟმაშიდან" — 6. რუსთა მწვრთნელებიც ამ კლუბებს თავკაცობენ. პერვუხინი „სიბტიაჟმაშის", ხოლო შტოფბერგი „კრასნი იარის" მწვრთნელია.

შტოფბერგი და პერვუხინი თბილისში ამ მორაგბეებს ჩამოიყვანენ:

მორკინალები: *ოლეგ შუკაილოვი, იგორ ნიკოლაიჩუკი, ვალერი ფედჩენკო, რენე ფოლხენკი, იოჰან პენდრიქსი, რაშიდ საგდეევი, ოლეგ აზარენკო (ყველა „კრასნი იარი"), ვიაჩესლავ ზიკოვი, რომან რომაკი (ორივე „ენისეი სიბტიაჟმაში"), ალექსეი ტრავკინი, ალექსანდრ ხროკინი (ორივე ვვა-პოდმოსკოვიე), ვიაჩესლავ გრაჩოვი, სერგეი სერგეევი (ორივე „მონტობანი"), სერგეი შუკინი („სლავა"), მურატ უამბაევი („გრენობლი");*

უკანა ხაზი: *იგორ დიმჩენკო, ალექსეი კორობეინიკოვი, პაველ ნოვიკოვი, სერგეი კუზმენკო (ყველა „ენისეი სიბტიაჟმაში"), ვლადიმირ სიმონოვი, ვერნერ პიტერსი, ალექსანდრ ზაკარლიუკი (ყველა „კრასნი იარი"), ანდრეი კუზინი, ვიქტორ მოტორინი, ალექსეი სერგეევი (ყველა ვვა-პოდმოსკოვიე), ოლეგ ჟუკოვი („ფილი"), კონსტანტინ რაჩკოვი („მონტობანი"), სერგეი სუგრობოვი („სლავა"), ალექსანდრ იანიუშკინი („პენზა").*



## იყიდეთ, თორემ...

### მატჩის დღეს ბილეთი აღარ იქნება

ახლა ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რამხელა ინტერესს იწვევს მსოფლიოს თასის შესარჩევი მატჩი საქართველოსა და რუსეთის ნაკრებებს შორის, რომელიც თბილისში, „ეროვნულ" სტადიონზე გაიმართება.

ამ მატჩის უსაფრთხოდ და უექსცესებოდ ჩატარების რაობაზე გუშინ სპორტის დეპარტამენტში თათბირი ჩატარდა. დეპარტამენტის თავმჯდომარის ირაკლი მეძმარიაშვილის კაბინეტში ქალაქის პოლიციის ხელმძღვანელობამ და რაგბის კავშირის უფროსობამ მოიყარეს თავი.

გადაწყდა, რომ მატჩის დღეს ბილეთები არ გაიყიდება. ასე რომ, ქომაგს ადრევე მოუწევს თადარიგის დაჭერა და მატჩის ბილეთების შეძენა. ბილეთები კი, შეგახსენებთ, 3 და 5 ლარი ღირს. გარდა ამისა, სტადიონზე მისასვლელი სატრანსპორტო გზები ავტობუსებით გადაიკეტება. ბილეთიან ქომაგს რამდენიმე ცოცხალი კორდონის გავლაც მოუწევს. ამით მინიმუმამდე შემცირდება იმის ალბათობა, რომ უბილეთოებმა სტადიონზე შეაღწიონ. ტრიბუნებზე მაქსიმალურად გაიზრდება წესრიგის დამცველთა რიცხვი. გამორიცხული არაა, აიკრძალოს გამაგრილებელი სასმელის შუშის ბოთლებით გაყიდვა და ხალხმა ყელის გასველება მხოლოდ პლასტმასის ჭიქებით შეძლოს.

## საქართველო ძლიერია, მაგრამ...

**რუსეთის რაგბის კავშირმა ქართველ კოლეგებს მიჰბაძა და ნაკრების მთავარ მწვრთნელად უცხოელი, სამხრეთაფრიკელი ჯეიმს შტოფბერგი დანიშნა. მანამდე შტოფბერგი ალექსანდრ პერვუხინის კონსულტანტი იყო. ახლა კი როლები შეიცვალა. ნაკრების მთავარ მწვრთნელობას სამხრეთაფრიკელი კრასნოიარსკის „კრასნი იარის" თავკაცობასაც უთავსებს.**

**შტოფბერგის დებიუტი რუსეთის ნაკრების მწვრთნელის რანგში ირლანდიასთან მატჩში შედგა, რომელიც რუსებმა 3:35 წააგეს. ახლა შტოფბერგი რუს „დათვებს" საქართველოსთან საომრად რაზმავს. აქედან რა გამოვა, ეს 13 ოქტომბერს გამოჩნდება, მანამდე კი სამხრეთაფრიკელმა მწვრთნელმა კრასნოიარსკულ გაზეთს მცირე ინტერვიუ მისცა**

**— რა სიძნელეებს წააწყდით, როცა სამუშაოდ ციმბირში ჩამოხვედით?**

— მთავარი პრობლემა რუსეთის სიდიდე და ციმბირული კლიმატია. მაგალითად, როცა მოსკოვში სათამაშოდ მოვდივართ, საჭიროა რამდენიმე ათასი კილომეტრის დაფარვა და ოთხსაათიანი ფრენა. ამისთვის გუნდის მგზავრობას ძალიან დიდი ფული სჭირდება. არც ერთ ევროპულ ქვეყანაში გუნდის გადაადგილებისთვის ამხელა თანხა არ იხარჯება. აქედან გამომდინარე, ნაკრების ყველა წევრის ერთ ადგილზე თავმოყრა დიდ პრობლემას წარმოადგენს.

**— რით არ მოგწონთ ციმბირული კლიმატი?**

— რაგბი ისეთი თამაშია, სეზონისთვის გუნდს მანეჟში ან დარბაზში ვერ მოამზადებ. მორაგბეები ღია ცის ქვეშ, მოედანზე უნდა ვარჯიშობდნენ. კრასნოიარსკში კი ყინვა ზოგჯერ მინუს 30 გრადუსს აღწევს. ასეთ პირობებში მორაგბე უბრალოდ გამეყინება. ერთი გამოსავალი გვრჩება, ნაკრები იქნება თუ კლუბი, შეკრებაზე საზღვარგარეთ უნდა წავიყვანოთ, ეს კი სოლიდურ დაფინანსებას მოითხოვს.

**— სამხრეთაფრიკელი მორაგბეები თქვენი რეკომენდაციით მოხვდნენ რუსულ კლუბებში. ნაკრებში მათი აყვანაც თქვენი მოთხოვნა იყო?**

— მე უბრალოდ ვურჩიე პერვუხინს, რომ ჩემი თანამემამულეები ნაკრებში აეყვანა. მან დამიჯერა და არაფერი წაუგია. პიტერსი, ფოლხენკი და პენდრიქსი დღეს გუნდის ლიდერები არიან. მათ გარეშე რუსეთის ნაკრებს ძალიან გაუჭირდებოდა.

**— ირლანდიასთან წაგებულ მატჩში თქვენი ბიჭების თამაშით კმაყოფილი ხართ?**

— ანგარიშის მიუხედავად, რუსეთის ნაკრებს ცუდად არ უთამაშია. ლელოს გატანის რამდენიმე მომენტი გვქონდა, მაგრამ ვერ გამოვიყენეთ. ისეთ მეტოქესთან, როგორიც ირლანდიაა, ერთი შანსის გამოუყენებლობაც კი არ შეიძლება იმიტომ, რომ მეორე შეიძლება აღარ მოგეცეს. მთლიანობაში ამ მატჩში ჩვენთვის პოზიტიური უფრო მეტი იყო, ვიდრე ნეგატიური.

**— საქართველოსთან მომავალ მატჩზე რას იტყვით?**

— საქართველოს ძლიერი ნაკრები ჰყავს. ამას ბევრი მტკიცება არ სჭირდება, მაგრამ, ვფიქრობ, დღეს რუსეთი და საქართველო ერთი დონის გუნდები არიან. ვიმედოვნებ, 13 ოქტომბერს მთავარ ამოცანას გადავჭრით და საქართველოს მოვუგებთ. მთავარია, მეტოქეს არ მივცეთ შესაძლებლობა, ინიციატივას დაეუფლოს, თორემ მერე მისი დამარცხება ძალიან გაგვიჭირდება. საქართველოს ერთადერთი უპირატესობა აქვს. ეს საკუთარი მოედნის ფაქტორია. დანარჩენებში თანაბარ პირობებში ვართ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



REUTERS მიუნხენიდან

# ოქტობერფესტზე

შემოდგომაც მოსულა და გერმანიაშიც გახურებულა ოქტობერფესტი, მთელთვიანი ქეიფობა, ცეკვა-თამაში და სახალხო დროსტარება. ბავარიელ შავტუხებს მიუნხენის ოქტობერფესტზე დიახაც რომ შეამჩნევთ. სამი კუფურს ქალიშვილი გოდივა და ცოლი ფრანჩესკა მოუყვანია, ჯოვანი ელბერს კი მთლად ბავარიულად გამოწყობილ-ჩაწნული მეუღლე ცინტია. ოღონდ კი, თუ კუფურიანთ ოჯახი ლუდს დაძალებია, ელბერს ლიმონათი აურჩევია.





REUTERS

# აზიის ჩემპიონი

აზიის თამაშებზე კი ბილიარდიც გახურებულა. ცხრაბურთას თამაშში პირველობა არავისთვის დაუთმიათ ფილიპინელებს, ანტონიო ლინინგსა (სურათზე) და ფრან ბუსტამანტეს. მათ ფინალში სამხრეთკორეული წყვილი დაუმარცხებიათ.

# გაიქე, ბიჭო

ამნაირი რამე თუ გინახავთ: შუა ბარსელონაში ბარმენთა შეჯიბრი ტარდება. მოქნილმა ბიჭებმა ასი მეტრი უნდა გაირბინონ სასმელებით დახუნძლული ლანგრით. შარშანდელი შეჯიბრის რეკორდი 15.34 წამი ყოფილა.




REUTERS ბარსელონიდან



REUTERS ამანიდან

# პრინცესა და ბებერი ცხენი

იორდანიის პრინცესას, ზეინ ბინტ ალ-ჰუსეინს ყველა იცნობს, როგორც ცხენოსნობის დიდ მოყვარეს, მის ცხენს, კერეშანას ბებერ ჰუნეთა შეჯიბრი მოუგია ამანში გამართულ არაბულთა შეჯიბრზე. პრინცესაც ხარობს.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქცია: გია აზალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge